პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრ. კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ.
№ 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 11 საათიდან 3 საათამდე და
საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრ., № 34
ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი
1 თვით 1 მანეთი
1 წლით—12 მან.
უცხოეთში
1 თვით—3 მანეთი
გაზეთის მიუღებლობის შემთხვევაში დარეკეთ ტელ. № 17—55

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—1 მ., ტექსტის შიგნით—2 მ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს, თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტისშეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. სამგლოვიარო განცხადებები—20 და 25 მ. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43.

დ ღ ი უ რ ი

- ჰენდერსონის განცხადება განიარაღების კონფერენციისადმი საბჭოთა მთავრობის დამოკიდებულების შესახებ.
- ამხ. შტეკერი ამხელს გერმანელ ფაშისტების დემაგოგიურ მანევრს.
- გერმანიის ახალი კრედიტები საბჭოთა კავშირთან ვაჭრობისათვის.
- აჭარისტანის ახალი მთავრობის შემადგენლობა.

პარასკევი, 13 თებერვალი 1931 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 37 (2992)

საქ. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შედეგები და ამოცანები

ამხ. ს. მამულიას მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ცეკას პლენუმზე 1931 წლის 12 თებერვალს

I

ამხანაგებო, საქართველოში ჩვენ გვაქვს სამი წლის მუშაობის გამოცდილება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დარგში. ეს გამოცდილება ჩვენს წინაშე შლის ჩვენი მიღწევების და ნაკლოვანებების ნათელ სურათს საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაზე ჩვენი ხელმძღვანელობის ხარისხის სურათს, საკოლმეურნეო მშენებლობაში ქვედა პარტიულ, კომკავშირულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების როლის სურათს, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დარგში ჩვენი მუშაობის დადებით და უარყოფით მხარეების სურათს, კლასობრივი ბრძოლის გამწვავების და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისადმი კულაკობის გააფთრებული წინააღმდეგობის სურათს, სურათს მომაკვდავი კლასების, განსაკუთრებით კულაკობის წინააღმდეგობისა, რაიც გამოხატულებას პოულობს ჩვენი პარტიის შიგნით მემარჯვენე-„მემარცხენე“ გადახრის სახით.

ეს გამოცდილება ჩვენ საშუალებას გვაძლევს ხარისხობრივი და რაოდენობრივი მხრივ ჯამი გაუკეთოთ საქართველოს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას მიმდინარე 31 წლის დასაწყისისათვის და დავსახოთ მისი კონკრეტული ამოცანები შემდეგისათვის.

ამიტომ ჩემს მოხსენებას მე ვყოფ ორ ნაწილად:

საკოლმეურნეო მშენებლობის შედეგები და მდგომარეობა 1931 წლის პირველ იანვრისათვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი კოლექტივიზაციის ძირითადი ამოცანები.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საკითხი ჩვენი ცეკას პლენუმებზე პირველად არ ისმება. მაგრამ ამ საკითხის დასმა ახლანდელ პლენუმზე განირჩევა და უნდა განირჩეოდეს მისი დაყენებისაგან წინანდელ პლენუმებზე, ჯერ ერთი, იმით, რომ ეს საკითხი ამჟამად ისმება ისეთ პირობებში, როცა ჩვენ საქართველოში გვაქვს კოლექტივიზაციაქმნილ ღარიბ-საშუალო მეურნეობათა ერთი მეხუთედზე მეტი; როცა ამ კოლმეურნეობებმა თავიანთი თავი გაამართლეს; როცა ჩვენ გვაქვს კოლმეურნეობიდან არა გასვლის, არამედ ნებაყოფლობის საფუძველზე კოლმეურნეობებისაკენ შემდგომი ჯანსაღი მისწრაფების ფაქტები, რასაც წინად ადგილი არ ჰქონია; როცა ჩვენ გვაქვს ახალი დასაყრდენი პოზიცია სოფლის მეურნეობის შემდგომი კოლექტივიზაციისათვის. მეორე: ეს საკითხი ისმება მაშინ, როცა ჩვენ გვაქვს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ორი სამი წლის მუშაობის გამოცდილება, შინა საკოლმეურნეო საორგანიზაციო — საწარმოო მუშაობის გამოცდილება. და პირველად კოლმეურნეობებში შემოსავლის და ჭირნახულის განაწილების გამოცდილება, სასოფლო სამეურნეო არტელის სამოდელო წესდების თანახმად. მესამე, ის ისმება მაშინ, როცა ჩვენ გვაქვს დიდი მიღწევები საბჭოთა მეურნეობების, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მშენებლობის და სოფლის მეურნეობის ტეხნიკური გარდაქმნის დარგში. მეოთხე, ის ისმება მაშინ, როცა ჩვენ პრაქტიკულად ვატარებთ კულაკობის ნამდვილი შეზღუდვის და შევიწროების პოლიტიკას გეგმიან დამზადებებსა (ხორბლის, ქერის, სიმინდის, სოიას, პირუტყვის, თივის დამზადება და სხვ.) და სხვა სამეურნეო - პოლიტიკურ კამპანიებთან დაკავშირებით (სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, ფულადი სახსრების მობილიზაცია და სხვ.). უნდა ითქვას მოურიდებლად, ბოლშევიკური პირდაპირობით და გულახდილობით, რომ სულ უკანასკნელ დრომდე, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, ჩვენ პრაქტიკულად მთელი მასშტაბით არ ვატარებდით კულაკობის გადამჭრელი შეზღუდვის და შევიწროების პოლიტიკას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კულაკების „განკულაკებას“ საქართველოს ცალკე რაიონებში „წარმატებათაგან თავბრუდახვევის“ დროს, რაც წარმოადგენდა პარტიის ხაზის დარღვევას, რამდენადაც ეს განკულაკება ხდებოდა არა მთლიანი კოლექტივიზაციის ბაზაზე; ამ პოლიტიკის გატარებას სრული მასშტაბით ჩვენ ვიწყებთ ახლა გეგმიან დამზადებებსა და სხვა სამეურნეო - პოლიტიკურ კამპანიებთან დაკავშირებით. თუ 1930 წელს გამოაშკარავებულ კულაკების პროცენტი საქართველოში შეადგენდა 0,7-ს, ხოლო გამოაშკარავებულ შეძლებულთა პროცენტი—0,6-ს, სამაგიეროდ 1931 წელს ის შეადგენდა 2-3 პროც. კულაკურ მეურნეობებისა და 3—4 პროცენტს—შეძლებულთა; თუ 1931 წელს კულაკობას დამზადებები და სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, უაღრესად სუსტად ხვდებოდა, ხოლო დასავლეთ საქართველოში დამზადებები მას სრულიადაც არ ხვდებოდა, სამაგიეროდ ახლა მას ხვდება ისე, რომ ის ფიზიკურად გრძნობს თავის აუცილებელ დაღუპვას. მეხუთე, კოლექტივიზაციის საკითხი ისმება მაშინ, როცა კულაკობის გადამჭრელი შეზღუდვის და შევიწროების საფუძველზე და მოჯამაგირეობასა და ღარიბ გლეხობასთან ხანგრძლივი მუშაობის შედეგად, მოჯამაგირეობა და ღარიბი გლეხობა უკეთესად არიან დარაზმულნი, უფრო მაღალია მათი აქტივობა, უფრო მტკიცეა მათი კავშირი საშუალო გლეხობასთან და უფრო სუსტია მათზე კულაკობის გავლენა, ვიდრე ამას წინად ჰქონდა ადგილი. მეექვსე, ის ისმება მაშინ, როცა ჩვენი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები საგრძნობლად განმტკიცდნენ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გამოცდილებაზე, დამზადებათა გამოცდილებაზე, კულაკობასთან ბრძოლის გამოცდილებაზე, ჩვენი პარტიის გენერალური ხაზისათვის, მისი პრაქტიკულად გატარებისათვის ორ ფრონტზე ბრძოლის გამოცდილებაზე და სხვ. მეშვიდე, ის ისმება მაშინ, როცა ჩვენ გვყავს საკოლმეურნეო კურსებ და საკოლმეურნეო მუშაობის პრაქტიკა გავლილი ასეული და ათასეული საკოლმეურნეო კადრები, როცა ჩვენ გვყავს ასეულობით და ათი ათასობით კოლმეურნეები, რომელნიც სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საუკეთესო აგიტატორებს წარმოადგენენ. მერვე, ამ საკითხის დასმა უნდა იყოს უფრო გაღრმავებული, გადაწყვეტილებანი ამ საკითხის გამო უნდა იყვნენ უფრო კონკრეტული, ისეთნი, რომელნიც ადგილებს ნამდვილად დაეხმარებიან მუშაობაში სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის. იმედი მაქვს, რომ ამ მხრივ ჩემი მოხსენებისა და რეზოლიუციის წარმოდგენილი პროექტის ხარვეზს შეავსებენ ადგილებიდან აქ დამსწრე ამხანაგები,—საკოლმეურნეო მშენებლობის პრაქტიკოსები და, ბოლოს, მეცხრე, ამ პლენუმის შედეგად და მის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ჩვენ მეორე ბოლშევიკური გაზაფხული უნდა ჩავატაროთ ნამდვილად ბოლშევიკურად, — „მემარცხენე“—საშუალო გლეხობის საწინააღმდეგო გადახრების გარეშე, რომელნიც ახასიათებდნენ საქართველოს ორგანიზაციების უმრავლესობის მუშაობას პირველ ბოლშევიკურ გაზაფხულზე, და მემარჯვენე ოპორტუნიზმისა და თვითმიმდინარეობისადმი მინდობის გარეშე, რაც ახასიათებდა საქართველოს მთელ რიგ ორგანიზაციებს გასული წლის შემოდგომის კამპანიაში.

II

„ორი“ რეკონსტრუქცია

საქართველოს თავისებურებანი და მისი სოფლის მეურნეობის სტრუქტურა

სანამ ჩემი მოხსენების ძირითად განყოფილებებზე გადავიდოდე, მე საჭიროდ მიმაჩნია გავაკეთო ერთი აუცილებელი შენიშვნა, რაც გამოწვეულია საქართველოს თავისებურობით, რომელიც მას ანსხვავებს ჩვენი კავშირის ბევრ სხვა რაიონებისაგან.

ეს თავისებურება მდგომარეობს იმ შეუფარდებლობაში, რომელიც არსებობს საქართველოს ნიადაგის ან კლიმატიურ პირობებსა და აქ გავრცელებულ სოფლის მეურნეობის დარგებს შორის.

ეს თავისებურება წარმოადგენს წყეული წარსულის შედეგს—შორეული წარსულის, როცა საქართველო იყო ყოფილი რუსეთის იმპერიის კოლონია, და ახლობელი მენშევიკური წარსულის შედეგს, როცა საქართველო წარმოადგენდა დასავლეთ ევროპის კაპიტალიზმის აგრარულ დამატებას.

საქართველოს ნიადაგისა და კლიმატიური პირობები მთლიანად ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი.

საქართველოს ნიადაგის და კლიმატის თვისებებზე მეცნიერული და პრაქტიკული დაკვირვებანი და ცდები ჯერ კიდევ არა საკმაოდაა ჩატარებული.

ამ შესწავლის და მოხდენილ დაკვირვებათა და ცდების მასალები მთლიანად ჯერ კიდევ არ არის დამუშავებული.

მთელი გამოსადეგი მიწის ფართობიდან, რომლის გამოყენება შეიძლება სპეციალურ და ტეხნიკურ კულტურებისათვის, ამ კულტურებს ჯერ-ჯერობით 111.600 ჰექტარი უკავიათ, ხოლო დანარჩენი მოდის სიმინდსა და სხვა მარცვლეულ კულტურებზე.

ერთი სიტყვით, სიმინდი ჯერ კიდევ განაგრძობს ზრდას იქ, სადაც წარმატებით შეიძლება გაშენებული იქნას ჩაი, ბამბა, რამი, კენდირი, კენაფი, მთრთილავი, კორპის; ეთეროვანი და კაუჩუკ-ვანი მცენარეები, ვენახი, ხილეული, ფორთოხალი, ლიმონი და სხვ.

მიწის ეს „უაზრო ფლანგველობა“ და ეს „სირცხვილი“, როგორც ეს მოვლენა სრულიად სწორად დაახასიათა ამხ. იაკოვლევმა ჩვენი პარტიის მე-16 ყრილობაზე, ჩვენ ანდერძად მივიღეთ წყეული ცარიზმისა და მენშევიზმისაგან. ჩვენ უკვე შეუდექით ამ სამარცხვინო მემკვიდრეობის ლიკვიდაციას.

მეფის და მენშევიკების პოლიტიკას საქართველოს სოფლის მეურნეობა მიჰყავდა არასწორი გზით დეგრადაციისაკენ

მემამულე-ფეოდალური წყობილება ხასიათდება ნატურალური მეურნეობით.

ნატურალური მეურნეობის დროს ლაპარაკიც არ შეიძლებოდა არა მის სწრაფ განვითარებაზე, არც მის სპეციალიზაციაზე, არც მის რაციონალურ წარმოებაზე.

სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია ნორმალურად იწყება ნატურალური მეურნეობიდან სასაქონლო - კაპიტალისტური მეურნეობაზე გადასვლასთან ერთად, შრომის ფართო საზოგადოებრივი და ტეხნიკური განაწილების საფუძველზე.

სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის ღრმა პროცესი თან ახლავს სამრეწველო პროლეტარიატის მძლავრ განვითარებას.

როგორც ცნობილია, საქართველო წარმოადგენდა რუსეთის კაპიტალიზმის კოლონიალურ ქვეყანას, და ამ განაპირა კუთხეში ხელოვნურად აჩერებდნენ სამრეწველო განვითარებას.

ასევე ხელოვნურად აჩერებდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებასაც მის სპეციალიზაციის საფუძველზე.

კიდევ მეტი: საქართველოში, ისე, როგორც მთელ ამიერ-კავკასიაში, ხელოვნურად სტოვებდნენ ნახევრად ნატურალურ სასოფლო მეურნეობას, რაც ქმნიდა მისი დაქვეითების პირობებს.

საქართველოს სამარცვლეულო მეურნეობის დაქვეითებაში დაინტერესებულნი იყვნენ რუსი მემამულეები, რომელნიც ცდილობდნენ უზრუნველეყოთ შინაური ბაზარი თავიანთი ზედმეტი მარცვლეულის გასასაღებლად.

მემამულეთა და კაპიტალისტების რუსეთი არ ფიქრობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის რაციონალურ წარმართვაზე. მის სპეციალიზაციაზე ტეხნიკური და სპეციალური კულტურების ხაზით. მემამულეებისა და კაპიტალისტების წყობილების დროს შეუძლებელიცაა მეურნეობის რაციონალური წარმართვა.

თებერვლის რევოლიუციის მომენტისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობა იმყოფებოდა გაძლიერებული დეგრადაციის პროცესში, რომელიც მსოფლიო ომმა უფრო გააღრმავა.

1918—21 წლების მენშევიკურმა ბატონობამ კიდევ უფრო გააძლიერა ამ დეგრადაციის პროცესი.

მენშევიკებმა, რომლებმაც აიღეს კურსი საქართველოს „საწარმოო ძალების განსავითარებლად“ დასავლეთ-ევროპის კაპიტალიზმის მოზიდვისაკენ, საქართველო მოსწყვიტეს რუსეთს და ამით საქართველოს სოფლის მეურნეობა კატასტროფამდე მიიყვანეს. საქართველო, რომელიც მოწყვეტილ იქნა რუსეთის ბაზარს და რომელიც პურის დიდ დეფიციტს განიცდიდა, იძულებული იყო სასურსათო რესურსები ქვეყნის შიგნით ეძებნა და წავიდა სოფლის მეურნეობისათვის დამღუპველი გზით.

სპეციალური და ტეხნიკური კულტურების დაკავებულ ფართობზე გლეხობა შეუდგა მარცვლეული კულტურების მოყვანას, რისთვისაც ის სჩეხავდა ვენახებს, ხილის ბაღს, ჩაის მცენარეს და სხვ.

მებამბეობა მოისპო, ხოლო მეთამბაქოეობა და მეაბრეშუმეობა მინიმალურ დონემდე იქნა დაყვანილი.

ასე, მაგ., თამბაქოს ნათესი 1920 წელს უდრიდა 1457 ჰექტარს, 1913 წლის 104,44 ჰექტართან შედარებით. ბამბის ნათესი სულ არ იყო, მაშინ, როცა 1913 წელს ის შეადგენდა 8.193 ჰექტარს.

ვენახი 1913 წელს გაშენებული იყო 45.000 ჰექტარზე, ხოლო 1920 წელს 30.000 ჰექტარზე. მსხვილი რქოსანი საქონელი 1913 წელს უდრიდა 1.301.700-ს, ხოლო მენშევიკების დროს — 900.000-ს. ცხვარი იყო 1913 წელს—1.663.500, მენშევიკების დროს კი—1.200.000.

ამგვარად, მენშევიკების ბატონობამ არამც თუ შეაჩერა საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია სპეციალურ და ტეხნიკური კულტურების ხაზით, არამედ ნულამდე დაიყვანა იმ დროისათვის არსებული სპეციალიზაცია და ამით საქართველო უკან დასწია კარჩაკეტილ, ნახევრად ნატურალურ მეურნეობისაგან.

საბჭოთა ხელისუფლებამ უზრუნველჰყო საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების და მისი სპეციალური და ტეხნიკური კულტურების ხაზით სპეციალიზაციის პირობები

სოფლის მეურნეობის განვითარებას და მის რაციონალურ წარმართვას ჩვენ ვხედავთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ეს წარმატებები უზრუნველყვეს ჩვენ მიერ გატარებულმა აგრარულმა რევოლიუციამ, გაუმჯობესებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღების და მანქანების გავრცელებამ და მუშური სახელმწიფოს გეგმიანმა ხელმძღვანელობამ.

1924-25 წლისათვის ჩვენ შევსძელით ტეხნიკურ კულტურების ომამდე არსებული ფართობის აღდგენა, გადაჭარბებაც კი და მისი აყვანა 19.531 ჰექტ.-დან 20.843 ჰექტარამდე. 31 წლის დასაწყისისათვის სპეციალურ და ტეხნიკურ კულტურების ფართობი, 1913 წ.-თან შედარებით, გაიზარდა 56 პროცენტით (71531 ჰექ.-დან 111600 ჰექტარამდე) და 199 პროცენტით 1920 წელთან შედარებით (37.327 ჰექტარიდან 111.600 ჰექტარამდე).

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ჩვენ გავავრცელეთ ისეთი მაღალ-ღირებული კულტურები (რამი, კენაფი, არახისი, ეთეროვანი მცენარე და სხვ), რომელთაც ის წინად სრულიად არ იცნობდა.

მეაბრეშუმეობა საქართველოში მენშევიკების დროს უაღრესად დაეცა. 1919 წ. გაცოცხლებულ იქნა სულ 20.000 კოლოფი თესლი და მიღებულ იქნა 327 ტონა პარკი, 1913 წლის 80.000 კოლოფსა და 1.556 ტონასთან შედარებით. ხოლო 30 წელს გაცოცხლებულ იქნა 86.500 კოლოფი თესლი. და პარკის მოსავალი უდრიდა 3.260 ტონას. ჩვენ მივაღწიეთ თუთის ხის ლუფის გადამუშავებას ბოჭკოდ საფეიქრო მრეწველობისათვის.

თუთის ხეს ახალი დანიშნულება მიეცა. ამიერიდან მისი ფოთლით ჩვენ გამოვკვებავთ აბრეშუმის ჭიას, ხოლო მისი ტოტების ბოჭკოთი მოვამარაგებთ ჩვენს საფეიქრო მრეწველობას.

„თუთიელის“ პრობლემა ხდება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად ჩვენი საფეიქრო მრეწველობისათვის ნედლეულის ბაზის საკითხის გადაჭრაში.

სოფლის მეურნეობის განვითარება და სპეციალიზაცია ჩვენში სწარმოებს მისი სოციალისტური რეკონსტრუქციის საფუძველზე.

სპეციალურ და ტეხნიკურ კულტურების განვითარება ჩვენში სწარმოებს საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების გაშლილი მშენებლობის, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ორგანიზაციის, გაუმჯობესებულ საწარმოო საშუალებათა, სასუქის, აგროცოდნის გავრცელების საფუძველზე და სხვ.

1930 წელს სპეციალურ და ტეხნიკურ კულტურებით დაკავებულ 58.000 ჰექტარიდან საბჭოთა მეურნეობებზე მოდიოდა — 5.700 ჰექტარი (9,8 პროცენტი), კოლმეურნეობებზე—15.430 ჰექტარი (26.6 პროც.), ინდივიდუალურ სექტორზე—36.870 ჰექტარი (63.6 პროც.). სპეციალურ და ტეხნიკურ კულტურების რაიონებში ჩვენ გვაქვს სამი სამანქანო-სატრაქტორო სადგური 156 ტრაქტორით, მიმდინარე წლის გაზაფხულისათვის ვაწყობთ სამ სამანქანო-სატრაქტორო სადგურს 130 ტრაქტორით, გარდა ამისა, ჩაის საბჭოთა მეურნეობებში მუშაობს 81 ტრაქტორი, ამა წლის გაზაფხულისათვის სულ შემოტანილი იქნება 172 ტრაქტორი.

ნათქვამიდან სჩანს, რომ სპეციალური და ტეხნიკური კულტურების გავრცელებისა და განვითარების საქმეში ჩვენ საქართველოში საგრძნობი მიღწევები გვაქვს.

მაგრამ ეს მიღწევები სრულიად არ არის საკმაო იმ შესაძლებლობათა თვალსაზრისით, რომლებსაც მათი განვითარებისათვის საქართველოს ნიადაგის და კლიმატის პირობები იძლევა, და იმ მოთხოვნათა თვალსაზრისით, რომლებსაც სას.-სამეურნეო ნედლეულს ჩვენი მსუბუქი მრეწველობის სწრაფი განვითარება უყენებს.

ეს მიღწევები საკმარისი არ არის შრომის სოციალისტური განაწილების აუცილებლობის თვალსაზრისით არა მარტო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობას შორის, საერთოდ, არამედ სოფლის მეურნეობაში საბჭოთა კავშირის ცალკე რაიონებს შორისაც.

ეს მიღწევები საკმარისი არ არის ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის სახალხო-სამეურნეო გეგმის თვალსაზრისით, რომელიც დამყარებულია არა მარტო დაგროვებული სიმინდის, არამედ ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის და მის ცალკე რაიონების ბუნებრივ პირობებში ჩამარხულ შესაძლებლობათა მაქსიმალურ და რაციონალურ გამოყენებაზე. ეს მიღწევები არამც თუ საკმარისი არ არის, არამედ სოციალისტური მშენებლობის სახალხო-სამეურნეო ამოცანებს ჯერ კიდევ არ შეეფერებიან სპეციალურ და ტეხნიკურ კულტურების განვითარების ჩვენში არსებული ტემპები, ჩვენში არსებული დამოკიდებულება საქართველოს სოფლის მეურნეობის აგრო-საწარმოო გარდაქმნის ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემისადმი, —გარდაქმნისა და მისი ნიადაგის და კლიმატის პირობებსა, გლეხობის ძირითადი მასების სწორად გაგებული ინტერესების და პროლეტარულ სახელმწიფოს სახალხო-სამეურნეო ინტერესებთან შეფარდებით:

აქ საჭიროა გადამჭრელი გარდატეხა ამ კულტურების განვითარების ტემპებში. საჭიროა გადამჭრელი გარდატეხა ჩვენს დამოკიდებულებაში ტეხნიკურ და სპეციალურ კულტურების პრობლემისადმი. საჭიროა არსებითი გარდატეხა ჩვენი პარტიულ და საბჭოთა მუშაკების აზროვნებასა და განწყობილებაში.

სოფლის მეურნეობის არა მარტო კოლექტივიზაცია, არამედ მისი აგრო-საწარმოო რეკონსტრუქციაც:

ჩვენს წინაშე სდგას საქართველოს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ამოცანა.

მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, განვითარების ისტორიული პირობების გამო ჩვენ გვაქვს შეუფარდებლობა საქართველოს ნიადაგის და კლიმატის პირობებსა და აქ გაბატონებულ სასოფლო მეურნეობის დარგება შორის.

საქართველოში, მის ნიადაგის და კლიმატის პირობებთან უფრო შესაფერ სპეციალურ და ტეხნიკურ კულტურების ნაცვლად, გაბატონებულია მარცვლეული კულტურები (სიმინდი, ხორბალი და სხვ.).

საქ. სოფლის მეურნეობის სოც. რეკონსტრუქციის საკითხები არ შეიძლება გადაჭრილ იქნან სიმინდის და ხორბლის ბაზაზე, მარცვლეული კულტურების ბაზაზე.

ეს საკითხები შეიძლება და უნდა გადაიჭრან საქართველოს ნიადაგის და კლიმატის პირობებთან სიმინდსა და ხორბალზე უფრო შესაფერ მაღალ-ღირებულ სპეციალურ და ტეხნიკურ კულტურების ბაზაზე.

ამგვარად, როცა ჩვენ ვაყენებთ საქართველოს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საკითხებს, ჩვენს წინაშე უნდა დავსვათ არა მარტო უკვე არსებულ კულტურების საფუძველზე მისი სოციალისტური რეკონსტრუქციის ამოცანა, არამედ ამოცანაც მისი რეკონსტრუქციისა არსებულ და ახალ მაღალ-ღირებულ ტეხ. და სპეციალურ კულტურების გავრცელების საფუძველზე,—მარცვლეული კულტურების განდევნის და ჯერ კიდევ გამოუყენებელი ფართობის დამუშავების გზით, უნდა დავსვათ მისი აგრო-საწარმოო რეკონსტრუქციის ამოცანა. აი, ამხანაგებო, რატომ წაუმძღვარე მე ჩემს მოხსენებას საქართველოს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შესახებ „ორი“ რეკონსტრუქციის საკითხი.

ამხ. ს. მამულია

ეს „ორი“ რეკონსტრუქცია ერთმანეთს არ უპირდაპირდება! არ შეიძლება ერთი მეორეს დაუპირდაპიროთ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ამოცანები და მისი აგრო-საწარმოო რეკონსტრუქციის ამოცანები.

ეს დიდი შეცდომაა და, ამიტომ, დაუშვებელი იქნებოდა, ორივე ეს ამოცანა წარმოადგენს სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის მთლიანი პროცესის ორ მხარეს.

როგორც წესი, ღარიბ-საშუალო მეურნეობათა კოლექტივიზაციის გზით [illegible] სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია წინ გაუსწრებს მის აგროსაწარმოო რეკონსტრუქციას. როგორც წესი, სოფლის მეურნეობის აგრო-საწარმოო რეკონსტრუქცია ჩატარდება მისი კოლექტივიზაციის, მისი სოციალისტური რეკონსტრუქციის საფუძველზე.

მაგრამ შეიძლება პირიქითაც: სოფლის მეურნეობის აგრო-საწარმოო რეკონსტრუქციის საფუძველზე სპეციალურ და ტეხნიკურ კულტურების გავრცელების, მათ მიერ მარცვლეულ კულტურების განდევნის საფუძველზე მოხდეს მისი კოლექტივიზაცია და სხვ...

და ამ და მეორე შემთხვევაში „ორივე“ ეს რეკონსტრუქცია წარმოადგენს სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის მთლიანი პროცესის ორგანიულ ნაწილებს.

აქ, საქართველოში, ასე ჩვენ იმიტომ ვუსვამთ ხაზს „ორი“ რეკონსტრუქციის საკითხს, რომ საბჭ. კავშირის ბევრ სხვა რაიონებისაგან განსხვავებით, ჩვენში სოფ. მეურნეობის სოც. რეკონსტრუქციის ამოცანა არ შეიძლება მთლიანად გადაიჭრას სიმინდის და ხორბლის საფუძველზე, რომელნიც ამჟამად გაბატონებულნი არიან.

ის შეიძლება გადაჭრილ იქნას მათი უკვე არსებული და სრულიად ახალი, გლეხობის მოსახლეობისთვის ჯერ კიდევ უცნობი, სპეციალური და ტეხნიკური კულტურებით განდევნის საფუძველზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის წინაშე გადასაჭრელად ისმება არა მარცვლეულის, არამედ ნედლეულის პრობლემა.

აი, ამხანაგებო, რატომ გაუსვით ჩვენ ხაზი „ორი“ რეკონსტრუქციის საკითხს.

აი როგორ უნდა გვესმოდეს ეს „ორი“ რეკონსტრუქცია.

უახლოეს წლებში საქართველო „სიმინდის“ რესპუბლიკიდან უნდა გადაიქცეს სპეციალურ და ტეხნიკურ კულტურების რესპუბლიკად

ერთ დროს საქართველოს, საბჭოთა ქვეყნის „ხორბლეულ“ რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, დაცინვით „სიმინდის“ რესპუბლიკას უწოდებდნენ.

საქართველოს პატრიოტებს ეს სწყინდათ, მათ სწყინდათ ის, რომ საქართველოს მიწაზე მეტი წარმატებით შენდება სიმინდი და არა ხორბალი.

საქართველოს პატრიოტებს მაშინ არ გაეგებოდათ, რომ არა ხორბლის ნატვრა იყო საჭირო, არამედ მიწის რაციონალურად გამოყენებაზე ჩაფიქრება, ჩაფიქრება იმაზე, თუ რა კულტურები მეტი წარმატებით და სახალხო მეურნეობისათვის მეტი სარგებლით, ვიდრე სიმინდი, შეიძლებოდა გაშენებული ყოფილიყო საქართველოს მიწაზე.

მიუხედავად საბჭოთა პერიოდის განმავლობაში მომხდარი საგრძნობი ცვლილებებისა სოფლის მეურნეობის სტრუქტურაში, საქართველო დღემდიც „სიმინდის“ რესპუბლიკად რჩება.

სიმინდი ცუდი რამ არ არის, ის მეტად სასარგებლო მცენარეა.

მაგრამ სამარცხვინოდ და უაზრო მფლანგველობად უნდა ჩაითვალოს, როგორც ამას ამხ. იაკოვლევი ჩვენი პარტიის მე-16 ყრილობაზე ამბობდა, რომ **„სიმინდი მოჰყავთ იქ, სადაც წარმატებით შეიძლება იხეიროს ბამბამ, ჩაიმ, რამიმ, ხილმა, ყურძენმა, ფორთოხალმა და სხვ.“**,—რომ სიმინდი მოჰყავთ იქ, სადაც, **„შეიძლება და უნდა შეიქმნას ჩვენი კალიფორნია და ფლორიდა“**.

მფლანგველობას წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ ჩვენ მრავალ ათ მილიონ ოქროს მანეთს ვხარჯავთ შემოზიდულ ნედლეულზე, მაშინ როცა ამ ნედლეულის მიღება ჩვენ შეგვიძლია ჩვენი ქვეყნის შიგნით. სასოფლო-სამეურნეო ნედლეული საზღვარს უდებს ჩვენი მსუბუქი ინდუსტრიის განვითარებას, რომლის პროდუქციის მწვავე ნაკლებობას ჩვენ განვიცდით. ამავე დროს კი ჩვენში ისეთი რაიონები, რომელთაც შეუძლიათ ჩვენი მსუბუქი ინდუსტრიის სანედლეულო ბაზებად გარდაიქმნენ, მარცვლეული კულტურის რაიონებად რჩებიან.

ჩვენში, საბჭოთა კავშირში, მოიპოვებიან უდიდესი ფართობები, სადაც წარმატებით ხარობენ მარცვლეული კულტურები, მაგრამ სადაც ვერ იხეირებენ სპეციალური კულტურები.

მიწის ათეული მილიონი ჰექტარები, რომლებიც მხოლოდ მარცვლეულ კულტურებისთვისაა გამოსადეგი, ჯერ კიდევ არ არიან დამუშავებული. ფართობებს, რომლებიც მხოლოდ მარცვლეული კულტურებისათვისაა გამოსადეგი, შეუძლიათ მოგვცენ იმდენი მარცვალი, რომ ჩვენ საშუალება გვექნება გადაჭარბებით დავფაროთ საბჭოთა კავშირის ყველა შინაური მოთხოვნილება და სხვა ქვეყნებშიც ასეული მილიონი ფუთობით გავიტანოთ.

უკვე მიმდინარე წელს, როცა მარცვლეული კულტურებისათვის გამოსადეგი ათეული მილიონი ჰექტარები ჯერ კიდევ არ არის დამუშავებული, ჩვენ ეს შესაძლებლობა მივიღეთ.

ასეთ პირობებში უაზრობა და დანაშაულია მუშათა სახელმწიფოს წინაშე მარცვლის თესვა იქ, სადაც სპეციალური და ტეხნიკური კულტურები იხეირებენ.

მიმდინარე წლიდანვე ჩვენ ენერგიულად უნდა შეუდგეთ იმ ლოზუნგის ფართო მაშტაბით განხორციელებას, რომელიც ამხ. იაკოვლევმა ჩვენი პარტიის მე-16 ყრილობაზე წამოაყენა: **„შორს სიმინდი ამიერ კავკასიიდან“**.

ეს ლოზუნგი უნდა გა[illegible] საქართველოს მთელი კომპარტიის [illegible] ცალკე ორგანიზაციების პრაქტიკ[illegible] ლოზუნგად.

საქართველოში, სადაც უმდიდრესი შესაძლებლობა მოიპოვება სპეციალურ და ტეხნიკურ კულტურების განვითარებისათვის, ჩვენ განსაკუთრებული დაჟინებით უნდა მოვკიდოთ ხელი ჩვენი პარტიის მე-16 ყრილობის შემდეგი გადაწყვეტილების განხორციელებას: **„მუშათა და გლეხთა ფართო მასების მოთხოვნილების ზრდა და მათი მატერიალური და კულტურულ დონის სისტემატიური ამაღლების ამოცანა, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ბაზის განასაზღვრულობა, რაც ზღუდავს მსუბუქი ინდუსტრიის დარგების განვითარების შესაძლებლობას,—მოითხოვენ, რათა დარჩენილ სამი წლის მანძილზე უზრუნველყოთ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავებელი მრეწველობის არსებითად განთავისუფლება უცხოეთის ბაზრის დამოკიდებულებისაგან და საბჭოთა კავშირის მრეწველობის სანედლეულო ბაზის იმ დონემდე აყვანა, რომელიც უზრუნველყოფს 5 წლიან გეგმის მთლიანად განხორციელებას და მსუბუქი ინდუსტრიის სათანადო დარგების არსებული მოწყობილობის მაქსიმალურად დატვირთვას“.**

ჩვენ გაბედულად და გადაჭრით უნდა შეუდგეთ სიმინდის და სხვა მარცვლეული კულტურების განდევნას სპეციალურ და ტეხნიკურ კულტურებით.

ჩვენ სოციალისტურ მრეწველობას ნედლეული უნდა მივაწოდოთ, ჩვენთვის საჭირო მარცვალი საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებიდან უნდა შემოვიტანოთ.

საქართველო დღემდე სამომხმარებლო რაიონად ითვლება, ვინაიდან მას არ შეუძლია საკუთარი მარცვლით თავის გამოკვება. მიუხედავად იმისა, რომ სიმინდი მოჰყავთ იქ, სადაც შეიძლება ხარობდნენ მაღალ-ღირებული სპეციალური და ტეხნიკური კულტურები.

და მართლაც, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, საქართველო სამომხმარებლო რაიონს წარმოადგენს, რადგან ის ხმარობს კავშირის სხვა რაიონებიდან შემოზიდულ პურს, ხოლო სამაგიეროდ ძალიან ცოტას იძლევა.

ასეთი მდგომარეობიდან საქართველო უნდა გამოვიყვანოთ. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მან შემოიტანოს პური, რომელიც სიმინდზე უფრო გემრიელი და ნოყიერია, მაგრამ სამაგიეროდ გაზიდოს სასოფლო-სამეურნეო ნედლეული.

საქართველოს უნდა მოეხსნას სახელწოდება „სამომხმარებლო რაიონი“ და ის გადაიქცეს ნედლეული კულტურების მწარმოებელ რაიონად.

საქართველო სამომხმარებლო რაიონიდან უნდა გადავაქციოთ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მწარმოებელ რაიონად მთლიანად როგორც საბჭოთა კავშირის, ისე, კერძოდ, საქართველოს სოციალისტური მრეწველობის ნედლეულ ბაზად.

ეს უფრო ხელსაყრელი იქნება სახალხო მეურნეობისათვისაც მთლიანად და გლეხობის ღარიბ-საშუალო მასებისათვისაც კერძოდ.

ბოლშევიკური სიმტკიცით და დაჟინებით დავსძლიოთ ყველა დაბრკოლებანი საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალურ და ტეხნიკურ კულტურების რელსებზე გადაყვანის საქმეში

მარცვლეული კულტურების სპეციალური და ტეხნიკური კულტურებით შეცვლის ამოცანა საკმაოდ ძნელი ამოცანაა. აქ ჩვენ, ეჭვს გარეშე, მთელი რიგი სერიოზული დაბრკოლებანი და წინააღმდეგობანი გადაგველობებიან წინ.

პირველყოვლისა, ჩვენ გააფთრებულ წინააღმდეგობას გაგვიწევს სოციალიზმის და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ყველაზე უფრო შეურიგებელი მტერი—კულაკი.

ამ საქმეში კულაკობას ეჭვს გარეშე მხარს დაუჭერს სოფლის შეძლებული ზედაფენა.

კულაკობის ბრძოლას მარცვლეული კულტურების ტეხნიკური და სპეციალური კულტურებით შეცვლის წინააღმდეგ ნაწილობრივ ხელს შეუწყობს აგრეთვე ჩვენი გლეხობის ერთი ნაწილის საწარმოო ჩამორჩენილობა, გლეხობის აღნიშნულ ნაწილს პირველ ხანებში გაუძნელდება შეჩვეულ მამაპაპურ კულტურებზე ხელის აღება და ახალ, უცნობ კულტურებთან შეჩვევა.

კულაკობის გააფთრებულ ბრძოლას და გლეხობის ჩამორჩენილობას ხელს შეუწყობენ სხვადასხვა ნაციონალისტური ელემენტები კონტრ-რევოლიუციონური მენშევიზმის მეთაურობით. აღნიშნული ელემენტები ოცნებობენ საქართველოს დამოუკიდებლობაზე საბჭოთა კავშირისაგან და ცდილობენ კარჩაკეტილი მეურნეობის შექმნას საქართველოში.

სოფლის კულაკურ—შეძლებულ ფენების, მენშევიკურ და ნაციონალისტურ ელემენტების წინააღმდეგობა და გლეხობის ერთი ნაწილის საწარმოო ჩამორჩენილობა თავის გამოხატულებას ჰპოვებს ჩვენი პარტიის რიგებშიაც.

მემარჯვენე პანიკიორები, „მემარცხენე“ მოლაყბენი და ჩვენი პარტიის ცალკე მერყევი ელემენტები, ეჭვს გარეშე, კულაკების, მენშევიკების, ნაციონალისტების და გლეხური ჩამორჩენილობის საყვირად გადაიქცევიან.

ყველაფერი ეს ჩვენ დავინახეთ აგრეთვე იმ მუშაობის გამოცდილებიდან, რომელიც აქამდის ჩავატარეთ ტეხნიკურ და სპეციალურ კულტურების გავრცელების საქმეში.

ჩვენში ბამბა გადაიქცა იმ ელემენტად, რომლის გარშემო გაიშალა გააფთრებული კლასობრივი ბრძოლა. კულაკმა ბამბას სასტიკი ომი გამოუცხადა.

კულაკების ბრძოლამ ბამბის წინააღმდეგ, რასაც ქვედა საფეხურის ადგილობრივი პარტიულ და კომკავშირული ორგანიზაციები საკმაო წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ ღარიბ გლეხობის არასაკმაო ორგანიზაციული დარაზმულობის პირობებში, ეჭვს გარეშე, ძლიერი გავლენა მოახდინა იმ ჩამორჩენაზე, რომელიც ჩვენ გასულ წელს მივიღეთ მებამბეობის დარგში.

ჩვენ უკვე გვსმენია საქართველოს ნაციონალისტური ელემენტების ხმა სიმინდის დასაცავად ტეხნიკურ და სპეციალურ კულტურების წინააღმდეგ.

აგრონომი ნ. იაშვილი 1929 წელს სწერდა: „ადამიანს ბევრი მოთხოვნილება აქვს; პურეულის გარდა მას ესაჭიროება ბოსტნეული, ხილი, ღვინო, რძე, ნედლეული, კვერცხი, ხორცი და სხვ. ამ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გლეხი იძულებულია აწარმოოს მრავალფეროვანი მეურნეობა. ერთის შეხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ გლეხს ბაზარზედაც შეუძლიაა სასურსათო პროდუქტების შეძენა, მაგრამ ცხოვრება გვიჩვენებს, რომ გლეხისათვის უმჯობესია და საჭიროა პირველი მოთხოვნილების პროდუქტები დაამზადოს თავის მეურნეობაში. ამ შემთხვევაში გლეხის კეთილდღეობას უფრო მტკიცე ბაზა აქვს. და როცა გლეხი ამ მხრივ უზრუნველყოფილია, მან რაც შეიძლება უფრო უნდა განავითაროს ის დარგი, რომელსაც მაქსიმალურად ხელს უწყობს ადგილობრივი ბუნება“ (ნ. იაშვილი, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის და ორგანიზაციის საკითხები, პროფ. გ. გე[illegible] რედაქციით. სახელგამის გამოცემა 1929 წელი, გვ. 97, ქართულ ენაზე)

იაშვილმა შემდეგ უარყო ეს თვალსაზრისი, მაგრამ მას ჯერ კიდევ ბევრი იზიარებს.

დაახლოებით ასეთივე „თეორიით“ გამოვიდნენ ამიერ-კავკასიის თათბირზე სასოფლო-სამეურნეო დარაიონების შესახებ აგრონომები: ყაზახიშვილი, სავიცკი, ყანდაუროვი და სხვ.

ჩვენ უკვე გვქონდა საქმე ისეთ ფაქტებთან, როცა ქვედა საფეხურის მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციები სპეციალურ და ტეხნიკურ კულტურების გეგმის შესრულების საქმეში გეზს იღებდენ თვითმიმდინარეობაზე.

იყო ისეთი ფაქტები, როცა საქართველოს მებამბეობის მთელ რიგ რაიონებში კულაკები „დაიკარგნენ“.

მებამბეობის თითქმის ყველა რაიონებში ადგილი ჰქონდა აგრეთვე კულაკის წინააღმდეგობის არა საკმაოდ შეფასებას და, მაშასადამე, სრულიად არა საკმაო ბრძოლას კულაკობის წინააღმდეგ ბამბის გეგმის შესრულებისათვის.

ცალკე პასუხისმგებელ ამხანაგებს, რომელნიც იგზავნებოდნენ ბორჩალოში, ყარაიაში, ალაზანზე და სხვ. ბამბის აკრეფის ორგანიზაციისათვის და გაზაფხულის კამპანიის მოსამზადებლად, საეჭვოდ მიაჩნდათ ბამბის გამარჯვება აღნიშნულ რაიონებში.

გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის განხილვის დროს ჩვენ ზოგიერთი ამხანაგებისაგან გვესმოდა, რომ შეუძლებელია „ტეხნიკური და სპეციალური კულტურების „გეგმის შესრულება“, რომ ასეთი „ტემპები ჩვენს ძალღონეს აღემატება“, რომ ეს კულტურები „არარენტაბელურია“ გლეხობისათვის და, რომ ჯერ გლეხობა უნდა დავარწმუნოთ ამ კულტურების რენტაბელობაში, ხოლო შემდეგ დავიწყოთ მათი გავრცელებაო და სხვ....

ჩვენ ჯერ კიდევ არ შევუდგომივართ პრაქტიკულ მუშაობას სპეციალურ და ტეხნიკურ კულტურების გავრცელების 1931 წლის გეგმის განსახორციელებლად და ზოგიერთი რაიონული მუშაკები უკვე გაჰყვირიან ამ გეგმის შესრულების შეუძლებლობაზე.

დაღლილობის გრძნობამ ძალიან ადრე იჩინა თავი, ამხანაგებო!

ის ბოლშევიკი არ არის ბოლშევიკი, რომელიც დაღლილობას იგრძნობს თუ გინდ ყველაზე უფრო ძნელი, ყველაზე უფრო მძიმე მუშაობის დასაწყისშივე.

ნამდვილი ბოლშევიკია ის, რომელიც მძიმე მუშაობის დაწყების წინ, უძნელეს ამოცანების შესრულების წინ იგრძნობს ახალ ძალას და ენერგიას, ახალ ენტუზიაზმს და მტკიცედ გადასწყვეტს—ყოველ მიზეზს გარეშე შეასრულოს ეს მძიმე სამუშაო, გადასჭრას ეს ძნელი ამოცანა, აღგზნებული ენერგიით, ენტუზიაზმით მოჰკიდებს ხელს ამ ძნელ საქმეს და კიდევ უფრო მაგრად იგრძნობს თავს სხვა უფრო ძნელი ამოცანების გადასაჭრელად.

აი როგორი თვისება უნდა გვქონდეს ყველას ჩვენ, თუ გვინდა რომ მივაღწიოთ გამარჯვებას. სხვა გვარი მოვლენას, სხვაგვარ განწყობილებას არ უნდა ექნეს ადგილი. **„თუ დიდი სურვილი გვექნება შეგვიძლია მივაღწიოთ ყველაფერს, შეგვიძლია დავსძლიოთ ყველაფერი“**, სთქვა ამხ. სტალინმა მრეწველობის მუშაკთა პირველ სრულიად საკავშირო ყრილობაზე.

თუ ყველაფერი ეს ჩვენ გვქონდა მაშინ, როცა ჯერ კიდევ ფართო და გაშლილი ფრონტით არ ვანხორციელებდით მარცვლეული კულტურების სპეციალურ და ტეხნიკურ კულტურებით შეცვლის პოლიტიკას, თუ ყველაფერი ეს ჩვენ გვქონდა ამ პოლიტიკის განხორციელების დაწყებითი პერიოდში, ეჭვს გარეშე, ჩვენ ეს კიდევ უფრო მეტად გვექნება მაშინ, როცა პრაქტიკულად შევუდგებით ამ პოლიტიკის განხორციელებას.

ჩვენ ეს აქედანვე მტკიცედ უნდა გვახსოვდეს.

უნდა გვახსოვდეს იმისათვის, რომ აქედანვე ვამზადოთ ჩვენი ძალები ყველა იმათთვის სასტიკი წინააღმდეგობის გასაწევად, ვინც აშკარად თუ ფარულად შეეცდება ხელი შეუშალოს ჩვენი გრანდიოზული გეგმის განხორციელებას—საქართველოს გარდაქმნას სიმინდის რესპუბლიკიდან ძვირფას ტეხნიკურ და სპეციალურ კულტურების რესპუბლიკად, ჩვენი მსუბუქი სოციალისტური ინდუსტრიის ბაზად, საბჭოთა კალიფორნიად და ფლორიდად, ვეებერთელა და მთლიანი საბჭოთა სოციალისტური ორგანიზმის მომქმედ ელემენტად, რომელიც ყველა თავისი შესაძლებლობით აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების გრანდიოზული მთლიანი სახალხო-სამეურნეო გეგმის განხორციელებაში.

საჭიროა ბრძოლა კულაკობის წინააღმდეგ ყველა საშუალებებით, რომლებიც ჩვენს განკარგულებაში მოიპოვებიან.

საჭიროა ვაიძულოთ სოფლის კულაკურ შეძლებული ზედაფენა ზუსტად, მტკიცედ, გადაუხვევლად და უსიტყვოთ შეასრულოს ყველა ჩვენი დავალებანი.

საჭიროა კოლმეურნეები, მოჯამაგირეები, ღარიბი და საშუალო გლეხები დავრაზმოთ გეგმის შესასრულებლად და კულაკობასთან საბრძოლველად.

განსაკუთრებით უნდა გავაძლიეროთ და უფრო მაღალ საფეხურზე ავსწიოთ მუშაობა სოფლის ღარიბ მოსახლეობას შორის.

საჭიროა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოთ საქართველოს მენშევიკურ და ნაციონალისტურ ელემენტებს, რომელნიც ხელზე დაიხვევენ „თეორიას“ საბჭოთა კავშირისაგან საქართველოს „დამოუკიდებლობის“ შესახებ პურის საკითხში.

საჭიროა გამოვააშკარავოთ მთელი კონტრ-რევოლიუციონური ბუნება ამ „თეორიის“, რომელსაც საქართველოს სოფლის მეურნეობა მიჰყავს დეგრადაციისაკენ, თავადაზნაურული დროის ნახევრად ნატურალურ ფორმებისაკენ, რომელსაც უნდა გამოგლიჯოს საქართველო სოციალისტური მშენებლობის საერთო ტალღიდან, გამოსთიშოს იგი სოციალიზმის მშენებლობის მთლიანი საკავშირო სახალხო-სამეურნეო გეგმას და სოციალიზმის მშენებლობის ორგანიზმის აქტიური ელემენტიდან გადააქციოს მომხმარებელ ელემენტად.

საჭიროა, რომ ჩვენი პარტიის შიგნით გაბედულად და მაგრად დავკრათ თვითმიმდინარეობის განწყობილებებს საქართველოს სოფლის მეურნეობის აგრარულ-საწარმოო რეკონსტრუქციის გრანდიოზული გეგმის შესრულების საქმეში, საჭიროა აღმოვფხვრათ ყოველგვარი ეჭვები ამ გეგმის შესრულების შესახებ, საჭიროა ვამხილოთ ყოველგვარი ლაყბობა სპეციალურ და ტეხნიკურ კულტურების „არა-რენტაბელობის“ შესახებ საქართველოს პირობებში როგორც სრულიად დაუსაბუთებელი, უაზრო და საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგო შეხედულება.

საბჭოთა კავშირში ჩვენ გვაქვს სოციალისტური მშენებლობის მთლიანი სახალხო სამეურნეო გეგმა.

საბჭოთა კავშირის თვითეულმა რაიონმა უნდა შეასრულოს ის ფუნქციები, რომელთა შესრულებაც მას ყველაზე უფრო ეხერხება და რომელნიც ყველაზე უფრო ხელსაყრელნი არიან საერთო სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების თვალსაზრისით.

თვითეულმა რაიონმა უნდა შეასრულოს თავის სახელმწიფოს სოციალური დაკვეთა.

საბჭოთა სახელმწიფოს სოციალური დაკვეთა განისაზღვრება სარგებლობით როგორც სახელმწიფოსათვის მთლიანად, ისე აგრეთვე იმ რაიონებისათვის, რომელსაც ეს დაკვეთა ეძლევა.

საბჭოთა სახელმწიფოს სოციალური დაკვეთა საქართველოს მიმართ შეიძლება იყოს და უნდა იყოს არა სიმინდი და ხორბალი, რომლებიც უფრო მეტი წარმატებით, ვიდრე საქართველოში, მოჰყავთ საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებში, არამედ სპეციალური და ტეხნიკური კულტურები, რომელთა შორის ბევრი სრულებით ვერ ხარობს საბჭოთა კავშირის ვეებერთელა ტერიტორიაზე, ან მის ცალკე რაიონებში მოჰყავთ უფრო ნაკლები წარმატებით, ვიდრე საქართველოში.

ნუ თუ შრომის ფუნქციების და მოვალეობათა ასეთი განაწილება არ არის ყველაზე უფრო მიზანშეწონილი, ყველაზე უფრო გონიერი, როგორც საერთო სახელმწიფო ინტერესების, ისე ცალკე რაიონების ინტერესების თვალსაზრისით?

ნუთუ აღმოჩნდება ისეთი იდიოტი, რომელიც შეეცდება დაამტკიცოს, რომ ის რაც ხელსაყრელია საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების თვალსაზრისით არ არის ხელსაყრელი ამ სახელმწიფოს მშრომელთათვის, რომელთაც იგი ემსახურება?

ამის მტკიცება შეუძლია მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოს მტერს, მუშებისა და გლეხების მტერს, კონტრრევოლიუციონერს, რომლისთვისაც ხელსაყრელია სოფლის ცხოვრების იდიოტიზმისათვის მხარის დაჭერა.

გარდა ამისა ჯერ ხომ არავის დაუმტკიცებია, რომ ყარაიაზელ ან ბორჩალოელ გლეხისათვის უფრო ხელსაყრელია ხორბლის დათესვა, ვიდრე ბამბის, ან მეგრელ და გურულ გლეხისათვის უფრო ხელსაყრელია სიმინდის დათესვა, ვიდრე ჩაის, კენაფის, რამის და სხვ. გაშენება იმ პირობით, თუ მას საკმაო რაოდენობით მიაწვდიან პურს და სამრეწველო საქონელს, თუ მას შრომას შეუმსუბუქებენ მანქანებით და სხვა გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღებით, თუ ის და მისი ოჯახის წევრები წელიწადში 6 თვეს არ იქნებიან უმუშევრად, არამედ იმუშავებენ ხორბალსა და სიმინდთან შედარებით უფრო შრომისტევად სპეციალურ და ტეხნიკური კულტურების დარგში, ან სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელ საწარმოებში, რომლებიც იქვე მის გვერდით იქნება.

მაგრად და გადაჭრით უნდა დავჰკრათ მემარჯვენე ელემენტებს ჩვენს პარტიაში და ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ „მემარცხენე“ გადამხვევთა შესახებ, რომელნიც შეეცდებიან ნაკლები წინააღმდეგობის ხაზით წასვლას და ორგანიზაციულ მასიური და პოლიტიკურ ახსნა-განმარტებითი მუშაობის შეცვლას ადმინისტრატიული ზომებით და ბრძანებლობითი სოფლის ღარიბ და საშუალო გლეხურ მასის მიმართ, და სოფლის მეურნეობის აგრარულ-საწარმოო რეკონსტრუქციის გეგმის შესრულების დროს მეთოდებს, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნან კულაკის მიმართ, გაავრცელებენ აგრეთვე საშუალო გლეხზედაც.

ორ ფრონტზე ბრძოლით ჩვენ უზრუნველვყოფდით ყველა ჩვენი გეგმების შესრულებას, ჩვენს წინაშე დასმული ყველა ამოცანების გადაჭრას.

ორ ფრონტზე ბრძოლით—მემარჯვენე გადახრასთან, როგორც თანამედროვე ეტაპის მთავარ საფრთხესთან, „მემარცხენე“ გადახვევებთან, რომელნიც წყალს ასხამენ მემარჯვენეთა წისქვილზე და აძლიერებენ კულაკობის პოზიციას, თვალთმაქცობასთან, მემარჯვენე-„მომემარცხენო“ ბლოკთან და გადახრებისადმი შემარიგებლობასთან ბრძოლით ჩვენ განვახორციელებთ საქართველოს სოფლის მეურნეობის სოციალისტური და აგრარულ-საწარმოო რეკონსტრუქციის გრანდიოზულ გეგმას, რომელიც საქართველოს მომხმარებელ რაიონიდან გადააქცევს სპეციალურ და ტეხნიკურ კულტურების რაიონად, სწრაფი განვითარების გზაზე დამდგარი მსუბუქი ინდუსტრიის ნედლეულის ბაზად, საბჭოთა ფლორიდად და კალიფორნიად.

მეცხოველეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგია

საქართველოში აგრეთვე საუცხოვო პირობებია პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარებისათვის. ნედლეულის პრობლემის გადაჭრის დროს, როცა ჩვენ გეზი გვაქვს აღებული საქართველოს სოფლის მეურნეობაში სპეციალური და ტეხნიკური კულტურების დანერგვაზე, არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას დავიწყებული, რომ ნედლეულის პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს პროდუქტიული მეცხოველეობის პრობლემის გადაჭრა, კერძოდ, მეცხვარეობისა და მეაბრეშუმეობის პრობლემა, რომლის დროსაც არ უნდა იქნას გაშვებული მხედველობიდან ხორცისა და რძის პრობლემის გადაჭრა.

საჭიროა მთელი ბოლშევიკური გულახდილობით ვაღიაროთ, რომ, მიუხედავად ერთგვარი მიღწევებისა მეცხვარეობის განვითარების საქმეში, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევსძელით მოგვეწყო რაციონალური მეცხვარეობა საბჭოთა მეურნეობის შექმნისა და ღარიბ-საშუალო მეცხვარეების მეურნეობათა კოლექტივიზაციის ბაზაზე.

ჩვენი ძირითადი მიზანია მოხდეს მეცხვარეობის მომთაბარული ხასიათის ლიკვიდაცია და ყოველმხრივ ვიზრუნოთ ცხვრის საერთო რაოდენობის გადიდებისათვის განსაზოგადოების ბაზაზე. ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ მატყლი ძირითადი ნედლეულია სწრაფი განვითარების გზაზე დამდგარი ჩვენი ინდუსტრიისათვის, რომ მატყლი ჩვენ უნდა გვექნეს ბევრჯერ მეტი იმასთან შედარებით, ვიდრე მას ჩვენ ამჟამად ვფლობულობთ. ჩვენში ამისათვის მოიპოვება ობიექტიური პირობები, საჭიროა მხოლოდ იმის უნარი და ცოდნა, რომ ბოლშევიკურად ჩავუდგეთ სათავეში მაღალსაქონლიოვანი მეცხვარეობის მეურნეობათა მასიური შექმნის საქმეს.

მეაბრეშუმეობის როლი ჩვენი სოფლის მეურნეობის სტრუქტურაში საყოველთაოდ ცნობილია. შეიძლება უეყოყმანოდ განვაცხადოთ, რომ ჩვენს კოლმეურნეობებში მეაბრეშუმეობა შეიძლება გადიქცეს მეტად რაციონალურ დამხმარე დარგად. თუ შევსძლებთ ამ დარგში აბრეშუმის ჭიის მოვლის იტალიური და იაპონური მეთოდების შემოღებას, ჩვენ ამით შევქმნით საჭირო პირობებს იმისათვის, რომ გავაჩაღოთ ძვირფასი ნედლეულის მასიური წარმოება საფეიქრო მრეწველობისათვის. სოფლის მეურნეობის ამ ნედლეულის დარგის დაჩქარებული განვითარებისათვის სტიმულის მიმცემი იქნება ლაფანის ნედლეულის ახალი სახის „თუთისელი“-ს საწარმოებლად გაშლილი მუშაობა, თუთის ხის რაციონალური მოყვანისა და მისი სამრეწველო მიზნით გაშენების საფუძველზე თუთის ტოტების ლაფანისაგან ხელოვნური წარმოება „თუთისელი“-ს ნედლეულის სახით მოამზადებს საჭირო პირობებს ჩვენში ძლიერი ნედლეულის ბაზის შესაქმნელად სწრაფი განვითარების გზაზე მდგომი მეაბრეშუმეობის მრეწველობისათვის.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ხორცისა და რძის პრობლემის გადაჭრას. აქ ჩვენ მთელი ყურადღება უნდა შევაჩეროთ პროდუქტიული საქონლის ისეთ ჯიშებზე, როგორიცაა — ღორი, ძროხა და ფურ-კამეჩი. მეღორეობის განვითარება და ძროხისა და ფურ-კამეჩის კვების გაუმჯობესება—ეს არის ძირითადი ბერკეტი დასმული ამოცანის გადასაჭრელად.

როგორც ვიცით, **„ღორი ცხოველთა სხვა ჯიშებზე უფრო სწრაფად აძლევს ხორცს და მოსახმარებულ საკვების ერთ ერთეულზე ის იძლევა მეტ ხორცს, ვიდრე მსხვილი რქოსანი საქონელი“**. ამიტომ მეღორეობის განვითარება უფრო ადრე დაგვეხმარება ჩვენ ხორცის პრობლემის გადაჭრაში. არის კი საქართველოში მეღორეობის განვითარებისათვის ყველა საჭირო პირობები? დიახ, არის. ღორი შეიძლება მოშენდეს რაციონალურად მოწყობილი მსხვილი მეურნეობების ნარჩენების გამოყენების საფუძველზე, კერძოდ, სამრეწველო მებოსტნეობის ნარჩენების და ძირ-ნაყოფა მცენარეების გამოყენების საფუძველზე, გარდა ამისა, ამავე მიზნისათვის შეიძლება გამოყენებული იქნას სოფლის მეურნეობაში ბატატების კულტურის შემოღებაც. საჭიროა განვთავისუფლდეთ იმ [illegible] აზრისაგან, რომ ღორის შენახვა შეიძლება მარტო ერთი სიმინდითაც. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ ღორი—ეს მთავარი მანქანაა ხორცის მასიურ წარმოებაში. ამ საკითხს მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ კოლმეურნეობებმა, რომლებიც ახლავე უნდა შეუდგნენ ღონისძიებათა განხორციელებას საქმეში ღორების მოსაშენებლად. მეღორეობის რაიონებში კოლმეურნეობები ყოველმხრივ უნდა შეეცადონ, არც ერთი კოლმეურნეობა არ დარჩეს, რომ არ ეყოლეოს ღორის ჯოგი—ეს არის ძირითადი ჩვენი ამოცანა ხორცის პრობლემის გადაჭრის საქმეში. აქეთკენ უნდა აიღონ გეზი განსაკუთრებით ლაგოდეხის, ალაზნის გაღმა, სენაკის, ზუგდიდის, ქუთაისისა და სამტრედიის რაიონების პარტორგანიზაციებმა. მაგრამ ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ მეღორეობა, როგორც დამხმარე დარგი, შეიძლება განვითარდეს საქარ-

(გაგრძელება იხ. მე-2 გვერდზე)

პლენუმის დღიური

გუშინ, 12 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, სასახლის წითელ დარბაზში გაიხსნა საქ. კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი რაიკომის და საოლქო კომიტეტების მდივნებთან ერთად.

პლენუმი გახსნა საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მდივანმა ამხ. **ლ. სუხიშვილმა.**

პლენუმმა დღის წესრიგში დაამტკიცა შემდეგი საკითხები:

1. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შედეგები და ამოცანები.
2. შემოდგომის სასოფლო სამეურნეო კამპანიის შედეგები და გაზაფხულის სასოფლო - სამეურნეო კამპანიის ამოცანები.

საკითხი — 5 წლედის მეორე წლის (განსაკუთრებულ კვარტალის) სამრეწველო - საფინანსო გეგმის შესრულება და საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს გამგებლობაში არსებული მრეწველობის 1931 წლის საკონტროლო ციფრების შესახებ გადატანილი იქნა საქართველოს საბჭოების ყრილობაზე.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ პლენუმმა მოისმინა საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მდივნის ამხ. ს. მამულიას ვრცელი მოხსენება — სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შედეგებზე და ამოცანებზე.

პლენუმის მეორე სხდომა შესდგება დღეს, დილის 10 საათზე, სასახლის წითელ დარბაზში. გაიხსნება კამათი ამხ. ს. მამულიას მოხსენების გარშემო.

თველის დაბლობ ადგილებში თითქმის ყველა კოლმეურნეობებში.

განსაკუთრებით რძისა და კერძოდ ხორცის მთავარ ფაბრიკად ითვლება (თუმცა ნაკლები ოდენობით ვიდრე ღორი) ძროხა და ფურ-კამეჩი, ძროხის ნიადაგზე ჩვენ უნდა შევქმნათ მთის მერძეობა-მეცხოველეობის არამთაბარეობის (стойловое) ზონა, ხოლო ფურ-კამეჩის საფუძველზე—შავი ზღვის სანაპირო მერძეობის საბალახო ზონა. საქართველოს მთიან ადგილებში (რაჭა, ლეჩხუმი, სამეგრელოს და აფხაზეთის მთიანი ნაწილები, ახალქალაქის რაიონის ნაწილი და სხვ.), ეგრეთწოდებული სუბალპიური ხოძოვარი მინდვრების ზონაში, ჩვენ უნდა გავიჩინოთ ძროხის გაუმჯობესებული ჯიში და კოლექტივიზაციის საფუძველზე შევქმნათ მერძეობის მეურნეობა. სამეგრელოს და აფხაზეთის რაიონის დაბლობ ნაწილებში კი, კოლხიდის დაბლობი ადგილების რაიონში, საერთოდ, ჩვენ უნდა გავაშენოთ ფურ-კამეჩი და შევქმნათ ამით კოლექტიური არამომთაბარეობის ხასიათის (стойловое) მერძეობის მეურნეობა და გამოვიყენოთ ფურ-კამეჩი აგრეთვე როგორც გამწევი ძალა.

მაგრამ მეცხოველეობის პრობლემის გადაჭრა ნიშნავს სათანადო წესით საკვები ბაზის პრობლემის გადაჭრასაც. ისე კი, რომ ოდნავადაც არ შევამციროთ სპეციალური და ტეხნიკური კულტურებისათვის ვარგისი ფართობის რაოდენობა, ჩვენ უნდა ავიღოთ გეზი სათანადო ბაზის შექმნაზე საკვები კულტურებისათვის საჭირო ფართობის განვითარების საშუალებით (ხოია სასილოსე და ნედლად საკვები, კარტოფილი და ბატატი, უმთავრესად ღორებისათვის, საკვები ჭარხალი და სხვ.) და არსებული სათიბებისა და საბალახოების (მოთიბვა ნაწილნაწილ, ღვარძლბალახის მოსპობა, ჭაობიან საძოვრებში დრენაჟის გაყვანა, საბალახოების განახლება და დაფარცხვა და სხვ.) გაუმჯობესების საშუალებით.

ჩვენი პარტიული, კომკავშირული და მიწადმოქმედების ორგანოები თავაუღებლივ უნდა მუშაობდნენ მეცხოველეობის პრობლემის გადაჭრის მიმართულებით.

კომკავშირი, როგორც მეცხოველეობის შეფი, განსაკუთრებულ სიფხიზლეს უნდა იჩენდეს და განსაკუთრებით აქტიური და ინიციატივის გამომჩენი უნდა იყოს ამ პრობლემის გადაჭრაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ ტეხნიკურ კულტურების რაიონებში (მაგალითად, ბორჩალო, ყარაია და სხვ.) არსებული პროდუქტიული მეცხოველეობა ძირითადად წინააღმდეგობაში ვარდება ტეხნიკური კულტურების შემდგომ განვითარებასთან, კერძოდ, მებამბეობის განვითარებასთან. ამ რაიონებში, სადაც სავსებით უნდა ავიღოთ გეზი ტეხნიკური კულტურების შემდგომ განვითარებაზე, ჩვენ მთლიანად უნდა გამოვიყენოთ მესაქონლეობა.

განვითარება და შემდგომი დანერგვა საქართველოს სოფლის მეურნეობაში სპეციალური და ტეხნიკური კულტურებისა უნდა ხდებოდეს რაციონალური პროდუქტიული მეცხოველეობის მოწყობასთან შეთავსებით, ისე, რომ აგრო-საწარმოო რეკონსტრუქციის მთლიანი გეგმა, რაც საერთოდ ნედლეულის პრობლემის გადასაჭრელადაა ნავარაუდევი, სავსებით იქნას შესრულებული შრომის ფართო საზოგადოებრივი და ტეხნიკური განაწილების საფუძველზე საქართველოს ცალკე რაიონებს შიგნით.

საკოლმეურნეო მშენებლობის შედეგები საქართველოში და მისი მდგომარეობა 1931 წლის დასაწყისისათვის

როგორი ბალანსით შევდივართ ჩვენ ხუთწლიანი გეგმის მესამე წელიწადში

ხანამ შევუდგებოდე ჩემი მოხსენების ამ ნაწილს, მე უნდა გავაკეთო ცოტაოდენი შენიშვნა. ზევით მე ვამბობდი, რომ საქართველოს ერთ-ერთ თავისებურებას, რაც ანსხვავებს საბჭოთა კავშირის მთელ რიგ დანარჩენ რაიონებისაგან, მათ შორის ჩრდილოეთ კავკასიისაგანაც, წარმოადგენს ის, რომ აქ არ არსებობს შეფარდება ნიადაგისა და ჰავის პირობებსა და გაბატონებულ მარცვლეულ კულტურებს შორის, რაც მისი განვითარების ისტორიული პირობებით უნდა აიხსნას.

ამ თავისებურებას მე კიდევ მეორე თავისებურებაც უნდა დავუმატო, რითაც ჩვენ, უთუოდ განვირჩევით საბჭოთა კავშირის მთელ რიგ დანარჩენ რაიონებისაგან და, უეჭველია, ჩრდილოეთ კავკასიისაგანაც. ეს ისაა, რომ ჩვენ ცუდად ვიცნობთ ჩვენს კოლმეურნეობებს. ჩვენ ცუდად გვაქვს შესწავლილი ჩვენი საკოლმეურნეო მიღწევები კოლმეურნეობათა შესწავლის მხრივ, ჩვენ, რასაკვირველია, ოდნავ ვერ შევედრებით ჩრდილოეთ კავკასიის მხარეს, უკრაინასა და სხვებს.

ეს, რა თქმა უნდა, „ჩვენი განვითარების არავითარი ისტორიული პირობებით" არ შეიძლება იქნას ახსნილი. ეს მხოლოდ იმით უნდა აიხსნას, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ, თუ როგორ არის საჭირო მუშაობა. ეს ერთნაირად ეხება როგორც ცენტრს, ისე ადგილებსაც. ამხ. ტოროშელიძისა და მოთიკაშვილის საწყენად არ ვამბობ, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოს საკოლმეურნეო ცენტრი ჯერ კიდევ არ იცნობს თავის კოლმეურნეობებს. იგივე ითქმის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის შესახებაც.

ცენტრალური კომიტეტი შეეცადა ამ პლენუმისათვის შეესწავლა ეს საკითხი. გაგზავნა მან ადგილებზე კაცები, მისცა სპეციალური სამუშაო პროგრამა პარტიის საოლქო კომიტეტებსა და რაიკომებს. მიუხედავად ამისა, არ გამოვიდა ის, რაც უნდა გამოსულიყო. ჩვენ მიერ მიღებული მასალა არ იძლევა პასუხს ყველა იმ საკითხზე, რითაც ამოიწურება საკოლმეურნეო მშენებლობის მდგომარეობა საქართველოში. ცხადია, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით საგნებისა და მოვლენების ისე შესწავლა, როგორც ეს საჭიროა.

მაგრამ ისიც კი, რაც ჩვენ ვიცით ჩვენი კოლმეურნეობების შესახებ, უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ჩვენ ხუთწლიანი გეგმის მესამე წელიწადში დიდი მიღწევებით შევდივართ, შევდივართ მნიშვნელოვანი დადებითი ბალანსით.

ჩვენი კოლმეურნეობები გაიზარდნენ რიცხობრივად და გაუმჯობესდნენ ხარისხობრივად

საკოლმეურნეო მშენებლობას საქართველოში სამი წლის ისტორია აქვს. 1928 წლამდე ჩვენ არ შეგვეძლო გველაპარაკა კოლმეურნეობათა რამდენადმე მნიშვნელოვანი როლის შესახებ ჩვენს სოფლის მეურნეობაში. 1928 წელს ჩვენ გვაქვს კოლექტივიზაციის მეტად დაბალი პროცენტი, სულ 0,83 პროცენტი. 1929 წელს ხდება კოლექტივიზაციაქმნილი მეურნეობების პროცენტის რამდენადმე გადიდება. 1930 წლის 1-ლ იანვრისათვის ჩვენ საქართველოში მოგვეპოება 1898 სხვადასხვა სახის კოლმეურნეობა, რომლებიც აერთიანებენ 28.806 ღარიბ-საშუალო გლეხთა მეურნეობას ან მთელი გლეხთა მეურნეობის 6,5 პროცენტს, რის გამოანგარიშებასაც საფუძვლად აქვს დადებული 440 ათასი მეურნეობის საერთო რაოდენობა მთელს საქართველოში. 1931 წლის 1-ლ იანვრისათვის ჩვენ გვაქვს 2.081 კოლმეურნეობა, რომლებიც აერთიანებენ 91.615 ღარიბ-საშუალო გლეხურ მეურნეობას, რაც შეადგენს გლეხთა მთელი მეურნეობის 20,8 პროცენტს. აშკარაა, კოლმეურნეობათა და კოლექტივიზაციაქმნილ გლეხურ მეურნეობათა ზრდა.

ამასთან ერთად ადგილი აქვს კოლმეურნეობათა საშუალო ოდენობის ზრდას. 1930 წლის 1-ლ იანვრისათვის საშუალოდ ერთ კოლმეურნეობაში ითვლებოდა 21 მეურნეობა. 1931 წლის 1-ლი იანვრისათვის კი მასში ითვლება 43 მეურნეობა. კოლმეურნეობათა და კოლექტივიზაციაქმნილ მეურნეობათა რიცხვის ზრდასთან ერთად გადიდებულ იქნა ნათესის განსაზოგადოებული ფართობიც.

1930 წლის 1-ლი იანვრისათვის კოლმეურნეობები აერთიანებდნენ 25.529 ჰექტარ ნათესს, რაც შეადგენს საქართველოს მთელი დასათესი და სანერგე ფართობის 2,7 პროცენტს, აქედან ვენახს ეჭირა 387 ჰექტარი, ბაღებს—322 ჰექტარი და ჩაის პლანტაციებს—1431 ჰექტარი. 1931 წლის 1-ლი იანვრისათვის კოლმეურნეობები აერთიანებდნენ—164.098 ჰექტარ ნათესს, რაც შეადგენს—17,9 პროცენტს. აქედან ვენახებს—5.675 ჰექტარი, ბაღებს — 2.134 ჰექტარი და ჩაის პლანტაციებს—5.623 ჰექტარი. თუ 1930 წლის განმავლობაში კოლექტივიზაციაქმნილ მეურნეობათა პროცენტი გადიდდა უფრო მეტად, ვიდრე სამჯერ (20,8 პროცენტით 1931 წლის დასაწყისისათვის, ნაცვლად 6.5 პროცენტისა 1930 წლის დამდეგისათვის), განსაზოგადოებული ნათესისა და ნარგავის ფართობის პროცენტი გაიზარდა 6,5-ჯერ და უფრო მეტადაც (17,9 პროცენტით 1931 წლის დასაწყისისათვის, ნაცვლად 2,7 პროცენტისა 1930 წლის დამდეგისათვის). თუ ამას კიდევ მივუმატებთ იმ მიწის ფართობს, რაც ეკუთვნის ჩვენს კოლმეურნეობებს საქართველოში, მივიღებთ მთელ სოციალისტურ სექტორში გაერთიანებული და სათესი ფართობისა და ნარგავების —18,7 პროცენტს.

ეს ცნობები მოწმობს არა თუ იმას, რომ საერთოდ გაიზარდა რაოდენობრივად ნათესის განსაზოგადოებული ფართობი, არამედ იმასაც, რომ მოხდა კოლმეურნეობების ხარისხობრივი გაუმჯობესება, რამდენადაც განსაზოგადოებული ფართობის ასეთი დიდი ზრდა შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ კოლმეურნეთა ინდივიდუალურ სარგებლობაში არსებული ნათესის შემცირების ხარჯზე.

1930 წელს ჩვენ აგრეთვე საგრძნობი ცვლილებები გვაქვს კოლმეურნეობათა სოციალურ შემადგენლობაში.

1930 წლის დასაწყისისათვის ღარიბები და მოჯამაგირეები კოლმეურნეობებში შეადგენდნენ 78,4 პროცენტს, საშუალო გლეხები—21,6 პროც. 1931 წ. დასაწყისისათვის ღარიბები და მოჯამაგირეები შეადგენდნენ 57,6 პროცენტს, საშუალო გლეხები —36,1 პროცენტს, ხოლო დანარჩენები—6,3 პროცენტს. ამგვარად გასულ წელს საშუალო გლეხთა პროცენტი გაიზარდა კოლმეურნეობებში 14,5 პროცენტით. ჩვენშიაც ხდება მოჯამაგირეთა და საშუალო გლეხთა ხასიათის მატარებელი კოლმეურნეობების გარდაქმნა ღარიბ-საშუალო გლეხთა კოლმეურნეობებად. საშუალო გლეხმა ჩვენშიაც იბრუნა პირი კოლმეურნეობებისაკენ. ის მიბრუნდა გადაჭრით და საბოლოოდ, საკოლმეურნეო მოძრაობამ საქართველოშიაც დაამტკიცა და სავსებით გაამართლა ის, რასაც ამბობს ამხ. სტალინი მარქსისტ აგრარულ მუშაკთა კონფერენციაზე: „ახლანდელი საკოლმეურნეო მოძრაობის დამახასიათებელი მხარე ის არის, რომ კოლმეურნეობებში შედიან არა მარტო ღარიბთა ცალკე ჯგუფები, როგორც ეს იყო დღემდე, არამედ კოლმეურნეობებში წავიდა მასიურად საშუალო გლეხიც. ეს ნიშნავს, რომ საკოლმეურნეო მოძრაობა მშრომელი გლეხობის ცალკე ჯგუფების მოძრაობისაგან იქცა გლეხობის ძირითადი მასების მილიონებისა და კიდევ მილიონების მოძრაობად". კიდევ უნდა იქნას გაძლიერებული მუშაობა საშუალო გლეხთა ჩასაბმელად კოლმეურნეობებში, რომ ამით ჩვენ კოლმეურნეობებს მიეცეს ნამდვილად ღარიბ-საშუალო გლეხთა კოლმეურნეობის ხასიათი.

მაშინ, როცა საშუალოდ საქართველოში 1931 წლის 1-ლი იანვრისათვის კოლექტივიზაციაქმნილ მეურნეობათა რიცხვი 20,8 პროცენტს შეადგენს, ამავე დროს მოიპოვება მთელი რიგი რაიონები (სენაკის, სამტრედიის, ლაგოდეხის, გორის, აბაშისა და სხვ.) სადაც კოლექტივიზაციის პროცენტი აღწევს 30 და მეტსაც. ეს რაიონები ითვლებიან მთლიანი კოლექტივიზაციის პირველ კანდიდატებად 1931 წლის გაზაფხულის და შემოდგომის სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის. გარდა ამისა, ჩვენ მოგვეპოვება მთლიანი კოლექტივიზაციის სამი რაიონი (ლანჩხუთის, ამბროლაურისა და ოზურგეთის), რომლებმაც არა თუ შეინარჩუნეს მიღწეული დონე საკოლმეურნეო მოსავლის პირველი განაწილების შემდეგ, არამედ, როგორც ამის შედეგი, საგრძნობლად გაიზარდნენ: ოზურგეთის—29 პროცენტიდან 72,2 პროცენტამდე, ლანჩხუთის—89,7 პროცენტიდან 94,8 პროცენტამდე, ამბროლაურის—57,7 პროცენტიდან 69,6 პროცენტამდე. ერთი ამ რაიონთაგანი—ოზურგეთის რაიონი—მთლიან კოლექტივიზაციაზე გადავიდა წარსულ შემოდგომაზე სწორედ გასული წლის გაზაფხულის პირველი საკოლმეურნეო თესვის წარმატებებთან დაკავშირებით.

არსებულ კოლმეურნეობათა შემადგენლობაში მიწის დამმუშავებელი ამხანაგობები შეადგენენ 28,5 პროცენტს, არტელები—69,8 პროცენტს და კომუნები—1,7 პროცენტს.

ცხადია, რომ საქართველოშიაც არტელი წარმოადგენს საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითად ფორმას.

ეს მიღწევები საქართველოში ჩვენ გვაქვს, მიუხედავად იმისა, რომ ადგილი ჰქონდა მთელ რიგ დიდ სიძნელეებს, რაც გვხვდებოდა კოლექტივიზაციის გატარების დროს: სოფლის მეურნეობის სამომხმარებლო ხასიათი, მისი მეტისმეტი დაქუცმაცებულობა, კულტურების სხვადასხვანაირობა, ამ რიცხვში მეტად ძვირფასი ტეხნიკური და სპეციალური კულტურები და სხვადასხვაგვარი მრავალწლიანი ნარგავები, ტერიტორიის საგრძნობი ნაწილის მთიანი რელიეფი, სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებული იარაღებისა და მანქანების ნაკლებობა, მენშევიკებისა და დანარჩენი ანტისაბჭოთა პარტიების გავლენის ნაშთები, რომლებიც აძლიერებდნენ კულაკობის წინააღმდეგობას, პროლეტარიატის მცირერიცხვიანობა და მთელი რიგი რაიონების (აჭარისტანი, აფხაზეთი, სამხრეთ-ოსეთი, ხევსურეთი, დუხობორების სოფლები, თურქული რაიონები და სხვ.) მეტისმეტი ჩამორჩენილობა.

კოლმეურნეობებმა გაამართლეს თავიანთი არსებობა

ყველაზე უფრო დიდ მიღწევად ჩვენს საკოლმეურნეო მოძრაობაში, ჩემის აზრით, უნდა ჩაითვალოს ის, რომ კოლმეურნეობებმა მათი განვითარების დაწყებით სტადიაშივე გაამართლეს თავიანთი არსებობა. ეს არის ის სალი მატერიალური საფუძველი, რომელზედაც მტკიცედ უნდა დავდგეთ და წარმატებით წავსწიოთ წინ კოლექტივიზაციის საქმე. ეს არის ის სალი დასაწყისი, რომელიც ამართლებს ეკონომიურადაც, პოლიტიკურადაც, სახელმწიფო თვალსაზრისითაც და ღარიბ და საშუალო გლეხების მასების ინტერესების თვალსაზრისითაც ყველა ჩვენს ღონისძიებებს, მთელ ჩვენს შეუპოვარ მუშაობას, ყველა ჩვენს მსხვერპლს, რომელსაც ვიღებთ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმისათვის.

რომ კოლმეურნეობის ასეთი ბუნება არ არსებობდეს, მაშინ კოლექტივიზაციას არავითარი აზრი არ ექნებოდა; მაშინ ფუჭი იქნებოდა ყველა ჩვენი ცდა, ღონისძიებანი, შრომა და მსხვერპლი; მაშინ ჩვენ ვერავითარ კოლექტივიზაციას ვერ გავატარებდით, მიუხედავად ჩვენი ბოლშევიკური გამბედაობისა, შეუპოვრობისა და დღედაღამ მუშაობის უნარისა, მიუხედავად იმისა, რომ მზად ვართ ყოველგვარი მსხვერპლი გავიღოთ სოციალიზმის საქმისათვის, მიუხედავად იმისა, რომ „**არ არის ისეთი სიმაგრე**", როგორც ამხ. სტალინი ამბობდა მრეწველობის მუშაკთა პირველ საკავშირო კონფერენციაზე, „**რომლის აღებაც ვერ შესძლონ ბოლშევიკებმა**".

„შეუძლებელია სილატაკისა და გაჭირვებისაგან თავის დაღწევა კოლმეურნეობათა გარეშე"

ამხ. სტალინის ამ სიტყვებს ადასტურებს ცხოვრება, საკოლმეურნეო მშენებლობის პრაქტიკა, კოლმეურნეობების მიმზიდველი ძალა.

„**საშუალო გლეხობის მიმართ ჩვენი პოლიტიკა იყო მუდამ—კავშირი მასთან... ამ საშუალო გლეხის დარწმუნება არ შეიძლება თეორიული მსჯელობით ან სააგიტაციო სიტყვებით; ჩვენ ამაზე არ ვამყარებთ იმედს; მაგრამ მას დაარწმუნებს მაგალითი და გლეხობის მშრომელი ნაწილის შემჭიდროება პროლეტარიატთან**". (ლენინი, ტ. მე-15, გვ. 597).

აი სწორედ ამ მაგალითში, რა თქმა უნდა, მხოლოდ კარგ მაგალითში, არის ის ძალა, რომელიც ჩვენი ბოლშევიკური ხელმძღვანელობით გადალახავს ყოველგვარ დაბრკოლებებს და სიძნელეებს ღარიბ და საშუალო გლეხობის მასების კოლექტივიზაციის გზაზე.

როგორც ზემოდ ვთქვი, ჩვენ კოლმეურნეობებს ცუდად ვიცნობთ; ჩვენ ისინი ჯერ კიდევ არ შეგვისწავლია როგორც საჭიროა. ჩვენ არ მოგვეპოვება ყველა ცნობები, რომლებიც გარკვევით გვიჩვენებდნენ მთელს განსხვავებას ღარიბ და საშუალო გლეხის ცხოვრებაში კოლმეურნეობაში შესვლამდე და შესვლის შემდეგ, განსხვავებას ორი მეზობლის ცხოვრების შორის, რომელთაგან ერთი კოლმეურნეა, მეორე კი არა კოლმეურნე. ჩვენ არ მოგვეპოვება დაწვრილებით და ზუსტად დამუშავებული ცნობები რესპუბლიკაში, ან რაიონებში, რომლებიც გვიჩვენებდნენ მთელს განსხვავებას კოლექტიურ მეურნეობასა და ერთად აღებულ ინდივიდუალურ მეურნეობათა შორის, რომლებიც შეადგენენ ეხლა კოლმეურნეობას. ჩვენ არ მოგვეპოვება დამუშავებული ცნობები იმის შესახებ, თუ რა განსხვავებაა შრომის ნაყოფიერებასა და ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის გამოყენებაში კოლმეურნეობებსა და ინდივიდუალურ მეურნეობებში.

ჩვენ არ გვაქვს კიდევ ბევრი სხვა მაჩვენებლები, რომლებიც აშკარავებენ მთელ განსხვავებას საკოლმეურნეო და ინდივიდუალურ წარმოებას შორის, კოლმეურნეობის და ინდივიდუალურ მეურნეობის ცხოვრების შორის.

ჯერ-ჯერობით ამისათვის არ მოუცლიათ არც კოლმეურნეობათა ცენტრს, არც სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტს, არც სასოფლო სამეურნეო და საკოლმეურნეო ტეხნიკუმებს და არც სხვადასხვა სამეცნიერო-სა გამოკვლევო ინსტიტუტებს.

მაგრამ ისიც, რაც ვიცით ამ განსხვავების შესახებ, მოწმობს, რომ კოლმეურნეობებმა გაამართლეს თავიანთი არსებობა.

ამას მჭერმეტყველურად ცხადჰყოფს ისიც, რომ პირველი საკოლმეურნეო მოსავლის განაწილებას შედეგად მოჰყვა მისწრაფება კოლმეურნეობებისაკენ, რომელიც განუწყვეტლივ გრძელდება სხვადასხვა დამზადებათა და გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

მარტო ა. წ. იანვარში 38 რაიონის კოლმეურნეობებში ჩაება ღარიბი და საშუალო გლეხობის 11.356 მეურნეობა და ამგვარად კოლექტივიზაცია გაიზარდა 2,6 პროც.

ასე, მაგ., 1931 წლის იანვარში ინდივიდუალურ მეურნეობათა გაერთიანება კოლმეურნეობებში ციფრებით ამგვარად გამოიხატება: ხაშური—878; ზუგდიდი—1032; გურჯაანი—131; ახალქალაქი—423; აჭარისტანი—418; ლაგოდეხი—546; ახალსენაკი—343; ზესტაფონი—639; ჩოხატაური—616; სამტრედია—704; და სხვ. მოსავლით კოლმეურნეები კმაყოფილნი არიან.

მაგალითად, სამტრედიის რაიონში სოფ. კულაშში ღარიბ გლეხ პეტრე შენგელიას კოლმეურნეობაში შესვლამდე წელიწადში მოდიოდა 28 ფუთი სიმინდი, კოლმეურნეობაში შესვლის შემდეგ მისი მოსავალი უდრის 60 ფუთს. იმავე სოფლის საშუალო გლეხის ივანე შენგელიას მოსავალი 1928-29 წელს შეადგენდა 30 ფუთ სიმინდს, კოლმეურნეობაში შესვლის შემდეგ შეადგენს —38 ფუთს. იმავე რაიონის სოფელ იანეთის ღარიბ გლეხს, მანჩხაძეს, კოლმეურნეობაში შესვლამდე წლიურად მოდიოდა 40 ფუთი სიმინდი, კოლმეურნეობაში შესვლის შემდეგ მისი მოსავალი უდრის 212 ფუთს. იმავე სოფლის საშუალო გლეხი ჯვარშიშვილი კოლმეურნეობაში შესვლამდე წელიწადში ღებულობდა 60 ფუთ სიმინდს, კოლმეურნეობაში შესვლის შემდეგ ღებულობს 84 ფუთს.

გურჯაანის რაიონში არტელ „გლეხის მეურნე"-ს ყველა წევრებმა უფრო მეტი მოსავალი მიიღეს. ვიდრე ისინი კოლმეურნეობაში შესვლამდე ღებულობდნენ. არტელ „ოქტომბრის რევოლიუცია"-ში საშუალო გლეხის საშუალო შემოსავალი უდრის 1200 მანეთს, იმ დროს, როდესაც კოლმეურნეობაში შესვლამდე უდრიდა 900 მანეთს. (მაგ., გლეხი ალექსი პაპუნაშვილი). იმავე არტელში ღარიბმა გლეხმა ი. ხატიაშვილმა მიიღო 450 მანეთი, წინად კი ღებულობდა 800 მანეთს. ახალქალაქის რაიონში სოფ. ჯიმისკაში არტელის წევრებმა—საშუალო გლეხებმა საშუალოდ მიიღეს 200 ფუთი ხორბალი, სოფ. ხანდოში—320 ფუთი; კოლმეურნეობაში შესვლამდე ისინი ღებულობდნენ პირველ სოფელში. 150 ფუთს, მეორეში კი — 200 ფუთ მოსავალს. ლანჩხუთის რაიონში, სადაც მთლიანი კოლექტივიზაციაა, არტელებმა საშუალოდ ერთი ჰექტარიდან მიიღეს 71 ფუთი სიმინდი, სოფ. ლესა-ჭინათის არტელებმა ერთი ჰექტარიდან მიიღეს 95 ფუთი; საშუალო მოსავალი ინდივიდუალურ მეურნეობაში შეადგენდა 68 ფუთს ერთ ჰექტარზე. გორის რაიონის სოფ. წითელ სხივში არტელის წევრმა—საშუალო გლეხმა თანდიაშვილმა მიიღო 888 მანეთი შემოსავალი; კოლმეურნეობაში შესვლამდე მისი შემოსავალი უდრიდა 224 მანეთს; მე განგებ მომყავს მაგალითები საშუალო გლეხების შესახებ, რადგან ღარიბი გლეხების შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია; ისინი, როგორც წესი, ყველგან მეტს ღებულობენ, ვიდრე კოლმეურნეობაში შესვლამდე ღებულობდნენ. მაშასადამე, მთავარი პირობა კოლმეურნეობების განმტკიცებისა და შემდგომი განვითარებისათვის—სარფიანობა, მიუხედავად დეფექტებისა მუშაობაში—კოლმეურნეობებმა გაამართლეს.

მაგრამ ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა, სადაც შრომის ორგანიზაცია ცუდად იყო დაყენებული, ვერ გაამართლეს თავიანთი არსებობა; არტელის წევრებმა საშუალო გლეხებმა კოლმეურნეობაში ნაკლები მოსავალი მიიღეს, ვიდრე მაშინ, როცა მეურნეობას ინდივიდუალურად აწარმოებდნენ. ასე მოხდა, მაგალითად, ვოროშილოვის სახელობის არტელში (სოფ. ონტოფო, აბაშის რაიონი), არტელ „ახალ ცხოვრებაში" (გურჯაანის რაიონი) და სხვ.

მაგრამ აქედან ისეთი დასკვნა არ უნდა გამოვიყვანოთ, ვითომ ინდივიდუალური წარმოება უფრო ხელსაყრელია კოლექტიურზე. აქედან ერთი დასკვნის გამოყვანა შეიძლება მხოლოდ: უნდა სათანადოდ მოეწყოს და პრაქტიკულად განხორციელდეს შრომის ორგანიზაცია კოლმეურნეობების შიგნით.

ჩვენმა კოლმეურნეობებმა შეითვისეს სანიმუშო წესდების ძირითადი პრინციპები

აქ მე შევეხები მხოლოდ ოთხ ძირითად საკითხს: ა) წევრობის ნებაყოფლობას, ბ) შრომის ორგანიზაციას, გ) განსაზოგადოების დონეს და დ) მოსავლის განაწილებას.

როგორც იცით, კოლმეურნეობათა მშენებლობაში და საკოლმეურნეო წესდებაში მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითად პრინციპს წარმოადგენს ნებაყოფლობის პრინციპი. წარსული წლის გაზაფხულის კამპანიაში ამ პრინციპს უხეშად არღვევდნენ საქართველოს თითქმის ყველა რაიონებში. ძალიან ცოტა—სულ 3-4 რაიონი იყო ისეთი, სადაც ეს პრინციპი უხეშად არ დაურღვევიათ ან დაარღვიეს ნაწილობრივ.

ამის შედეგად კოლექტივიზაციის პროცენტი საქართველოში ერთბაშად ავარდა 1930 წლის პირველი იანვრის 6,5 პროცენტიდან 70 პროცენტამდე იმავე წლის მარტში, ეს მოხდა რაღაც 1 ნახ.-2 თვის განმავლობაში სამაგიეროდ ამის შედეგადვე კოლექტივიზაციის პროცენტი იმავე წლის შემოდგომისათვის 15-მდე დაეცა.

ვერც ერთი შენობა მყვიდრად ვერ ჩაითვლება, თუ იგი არ ემყარება მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებზე, თუ იგი აგებულია ამ პრინციპების სრული ან ნაწილობრივ დარღვევით.

მას შემდეგ, რაც საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა მთელ რიგ დადგენილებებში და ამხ. სტალინის წერილებში დროული, მტკიცე და გადამჭრელი მითითებებით გამოასწორა სხვებთან ერთად საქართველოს ორგანიზაციაც, ნებაყოფლობის პრინციპს ჩვენ ვიცავთ.

ზოგიერთ რაიონში ამ პრინციპს გადაჭარბებითაც იცავენ, ე. ი. არღვევენ ამ კარგი საქმის ბოლშევიკურ მხარეს. მთელ რიგ რაიონებში კარი ფართოდ გაალეს კოლმეურნეობებიდან გასასვლელად. სუსტად ან სულ არ სწარმოებდა ბრძოლა თვითეული კოლმეურნისათვის, ყველა იმისთვის, ვინც მერყეობდა. ამიტომ იმათ, ვისაც ნამდვილად უნდოდა წასვლა კოლმეურნეობიდან, მერყევნიც გაიყოლიეს. მთელ რიგ რაიონებში ნებაყოფლობა გაიგეს ისე, როგორც იმედის დამყარება თვითდინარებაზე, და შეანელეს ან სულ მოსპეს მუშაობა გლეხთა ჩასაბმელად კოლმეურნეობებში.

ეს უხეში მემარჯვენე-ოპორტუნისტული შეცდომები წარსული წლის შემოდგომისათვის ადგილობრივ ძირითადად აღმოფხვრილ იქნა.

15 რაიონის გამოკვლევის მასალა გვიჩვენებს, რომ ნებაყოფლობის პრინციპს ყველგან ახორციელებენ. არსად არ ჰქონია ადგილი საჩივარს იძულებით შეყვანაზე კოლმეურნეობაში.

შრომის ორგანიზაციის მხრივ საქმე ცუდად არის, კოლმეურნეობები საერთოდ ზოგიერთის გამოკლებით, ანგარიშს უწევდნენ თავიანთი წევრების შრომა-დღეებს, ამასთან არ აღრიცხავდნენ მუშაობის ხასიათსაც კი. რაც შეეხება შრომის ორგანიზაციის სხვა მომენტებს—გამომუშავების ტარიფიკაციას და ნორმებს, სამუშაოების დანაწილება კატეგორიებად და სხვ.,—ამას ახორციელებდნენ მხოლოდ ზოგიერთ ადგილას, ყველაზე უკეთ—ლანჩხუთის და ოზურგეთის რაიონებში. ამ დარგში ჯერ კიდევ ბევრის გაკეთებაა საჭირო. ეს ყველაზე ძნელი და მნიშვნელოვანი ამოცანაა კოლმეურნეობათა მშენებლობის საქმეში, რადგან მოითხოვს კვალიფიციური მუშაკების დიდ რაოდენობას და დიდ გამოცდილებას.

წარმოების საშუალებათა განსაზოგადოების მხრივ რაიონების გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ აქ მიღწევები გვაქვს, მაგრამ ეს მიღწევები საკმაო არ არის. ოზურგეთის, აბაშის, ლანჩხუთის, ონის, ზესტაფონის, სენაკის, ახალქალაქის, ხარაგოულის და სხვა რაიონებში განსაზოგადოება ჩატარებულ იქნა სანიმუშო წესდების მიხედვით. იქ მთლიანად განასაზოგადოეს მიწა, კარმიდამოს გარდა, და წარმოების ძირითადი საშუალებანი—მუშა პირუტყვი და სას.-სამეურნეო ინვენტარი. არის შემთხვევები, როდესაც მთლიანად არ განასაზოგადოეს სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები. გორის რაიონში, მაგალითად, კოლმეურნეობათა ბაღები განსაზოგადოებულ იქნა მხოლოდ 25 პროცენტით. ამ რაიონში კოლმეურნეებს აქვთ 2.331 ჰექტარი ბაღი, განსაზოგადოებულია კი მხოლოდ 574 ჰექტარი. ზუგდიდის მაზრაში მახარაძის და ცხაკაიას სახელობის არტელების წევრებმა განასაზოგადოეს მხოლოდ ჩაის ნარგავები, სიმინდს კი ინდივიდუალურად სთესენ. როგორც წესი, განსაზოგადოებული პირუტყვი, საერთო სადგომების უქონლობის გამო, ჯერჯერობით წინანდელი პატრონების ხელშია.

რადგან კოლმეურნეობათა უმრავლესობაში არ სწარმოებს შრომის ხარისხის აღრიცხვა, მოსავლის განაწილებას, მცირეოდენი გამონაკლისით, საფუძვლად დაედო დახარჯული შრომა-დღეების რაოდენობა, ამასთან მასში შეტანილ იქნა ერთგვარი კორექტივი იმით, რომ ხდებოდა მუშაობის ხასიათის და შრომის ხარისხის უხეში აღრიცხვა.

თესვისა და დამზადების გეგმის შესრულებაში კოლმეურნეობები წინ მიდიან

ცნობები კოლმეურნეობების მიერ შემოდგომის თესვის შესრულების შესახებ ადასტურებენ საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას კოლმეურნეობებში, მათ ორგანიზაციულ განმტკიცებას და კოლმეურნეთა შეგნების ზრდას. აღმოსავლეთ საქართველოში კოლმეურნეობებმა 1930 წლის შემოდგომის თესვის გეგმა შეასრულეს 118,3 პროცენტით, ხოლო ინდივიდუალურმა მეურნეებმა —93,8 პროც.

დამზადების გეგმის შესრულებაში კოლმეურნეობებმა გვიჩვენეს, რომ ისინი, მოჯამაგირეებთან და ღარიბ გლეხებთან ერთად, საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილი დასაყრდენი არიან.

კოლმეურნეობებმა პურის დამზადების გეგმა 1931 წლის პირველ იანვრისათვის შეასრულეს 120 პროცენტით, ხოლო სიმინდის დამზადების გეგმა პირველ თებერვლისათვის —150 პროც.

კერძოდ, ზემო ქედის კომუნამ პურის დამზადების გეგმა შეასრულა 400 პროცენტით, მატყლის—500 პროცენტით, ხორცის—100 პროცენტით და სხვ.

რაც შეეხება ფულადი სახსრების მობილიზაციას, ამ მხრივ საქმე მთლად ვერ არის კარგად: საკუთარი სახსრების დაგროვების საქმეში, საქართველოს ფინსახკომის ცნობებით, კოლმეურნეობებმა 1931 წლის პირველ იანვრისთვის გეგმა შეასრულეს 22 ნახ. პროცენტით, სახდაზღვევის ხაზით — 30 პროცენტით, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ხაზით—57 პროცენტით. აქ ნამდვილად ჩანს ნაკლი ჩვენი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოებისა, რომელთაც დღემდე ვერ მოახდინეს გარდატეხა ამ საქმეში, ვერ დასძლიეს წვრილ მესაკუთრული და ზოგჯერ წამგლეჯი ტენდენციები ცალკე კოლმეურნეობებში.

კონტრაქტაციის საქმეში კოლმეურნეობებმა შემოდგომის ნათესის ვალდებულებანი 108,9 პროც. შეასრულეს.

რა თქმა უნდა, ასეთი მდგომარეობით ვერ დავკმაყოფილდებით. კოლმეურნეობებს უსათუოდ მეტი მოეთხოვებათ. ისინი ყველაფერში სხვებისთვის მაგალითს უნდა წარმოადგენდნენ.

კოლმეურნეობებმა სწორი ურთიერთობა დაამყარეს ინდივიდუალურ მეურნეობებთან

კოლმეურნეების და ინდივიდუალურ მეურნეების ურთიერთობის საკითხი უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. კოლმეურნეობების სწორი ურთიერთობა ინდივიდუალურ მეურნეობებთან საგრძნობლად აადვილებს მათ კოლექტივიზაციას. სწორედ ამიტომ მიაქცია ჩვენი პარტიის მე-16 ყრილობამ სერიოზული ყურადღება ამ საკითხს.

ტყუილა კი არ მიუთითა მე-16 ყრილობამ „**ყველა პარტიულ ორგანიზაციებს—მიაღწიონ იმას, რომ კოლმეურნეების ურთიერთობაში ინდივიდუალურ მეურნეებთან დამყარდეს წესი; ნუ აუმხედრდებით ინდივიდუალურ მეურნეებს, პირიქით, დახმარება გაუწიეთ მათ და ყოველნაირად მიიზიდეთ კოლმეურნეობებისაკენ**".

სწორი ურთიერთობის დამყარება კოლმეურნეებსა და ინდივიდუალურ მეურნეებს შორის საგრძნობლად არის დამოკიდებული ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებზე და მათ სწორ ხელმძღვანელობაზე.

გამოკვლევის მასალაში არ არის აღნიშნული ფაქტები, რომლებიც მოწმობენ გამწვავებულ დამოკიდებულებას კოლმეურნეებსა და ინდივიდუალურ მეურნეებს შორის.

გამონაკლისს შეადგენს სამხრეთ-ოსეთი, სადაც სოფ. ხათიკარში, დიენისში, ტბეთში, ვახტანაში და სხვ. —ინდივიდუალურმა მეურნეებმა ბოიკოტი გამოუცხადეს კოლმეურნეებს.

ეს არასასიამოვნო ფაქტები შედეგად მოჰყვა კულაკურ აგიტაციას და ადგილობრივი ორგანიზაციების და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების უთავბოლობას. მთელ რიგ ადგილებში, მაგ., ზუგდიდში, გორში, წალენჯიხაში, აჭარისტანში, სამტრედიაში და სხვაგან ადგილი აქვს კოლმეურნეების და ინდივიდუალურ მეურნეების ურთიერთ დახმარების ფაქტებს, და ამ საფუძველზე ძალიან კარგი დამოკიდებულებაა. ის ფაქტი, რომ კოლმეურნეობებმა სწორი ერთიერთობა დაამყარეს ინდივიდუალურ მეურნეობებთან და რომ ადგილი აქვს ინდივიდუალურ მეურნეების მისწრაფებას კოლმეურნეობებისაკენ, მოწმობს იმას, რომ ამ საკითხში ჩვენი ქვედა საფეხურის ორგანიზაციები ძირითადათ სწორად ატარებენ პარტიის მე-16 ყრილობის ხაზს და მითითებებს.

(დასასრული იხილე შემდეგ ნომერში)

საკოლმეურნეო მოძრაობის მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ ა.-კ. ს. ფ. ს. რ-ში

(საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის 1931 წლის 18 დეკემბრის დადგენილება)

1. უმძაფრესი ბრძოლის შედეგად პარტიამ მიაღწია უდიდეს, მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებებს, მოიპოვა უდიდესი მიღწევები მრეწველობის რეკონსტრუქციის დარგში და გადამწყვეტი წარმატებანი სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში. პარტიის მიერ საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში მიღწეული წარმატება აბსოლუტური სიცხადით ამტკიცებს მსხვილი სოციალისტური მეურნეობის უპირატესობას ძველ გლეხურ ინდივიდუალური მეურნეობის წინაშე. პარტიის უდიდესი მიღწევები ხუთწლიანი გეგმის პირველი ორი წლის განმავლობაში ამტკიცებენ კოლექტივიზაციის აღებულ ტემპების უეჭველ რეალობას.

საბჭოთა კავშირში მიმდინარე წელს ჩვენ მოგვეპოვება განსაზოგადოებულ სექტორში 48,2 მილიონი ჰექტარი მარცვლეულის სათესი ფართობი, რაც თითქმის ხუთჯერ აღემატება კულაკების 1927 წლის სათეს ფართობს (10 მილიონი ჰექტარი).

2. გადამჭრელი ბრძოლის წარმოებით „მემარცხენე" შეცდომებისა და პარტიული ხაზის გამრუდებათა წინააღმდეგ კოლექტივიზაციის საქმეში, რაც დაშვებულ იქნა ამიერ-კავკასიაში კოლექტივიზაციის გატარების პირველ პერიოდში, გადამჭრელ ბრძოლის წარმოებით მემარჯვენე გადახრის, როგორც მთავარი საფრთხის წინააღმდეგ ამ ეტაპზე, რომლის დროსაც ხდებოდა განმანადგურებელი იერიშის მიტანა კულაკზე, ამიერ-კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა შესძლეს ღარიბ და საშუალო ინდივიდუალურ მეურნეთა კოლმეურნეობებში შესვლის ახალი ნაკადის გამოწვევა.

3. ამასთან ერთად საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი აღნიშნავს მთელ რიგ სერიოზულ ნაკლოვანებებს კოლმეურნეობათა განვითარებასა და მოწყობაში, რაც გამოწვეულია იმით, რომ პარტიული ორგანიზაციები ადგილებზე, პარტიული ხაზის „მემარცხენე" გადამახინჯებათა შემდეგ,—რაც საერთოდ შეიცავდა ნებაყოფლობის ლენინური პრინციპის დარღვევას, ადმინისტრატიული იძულებითი ზომების გამოყენებას საშუალო გლეხის მიმართ, კოლექტივიზაციის დაბალი ფორმიდან მაღალ ფორმებზე ნახტომის გაკეთებას, საშუალო გლეხისათვის ანგარიშის გაუწევლობას და სხვ.—დაადგნენ მემარჯვენე-ოპორტუნისტული პრაქტიკით ამ შეცდომათა გამოსწორების გზას და თავიანთი მუშაობის ძირითად მეთოდად აიღეს გეზი „თვითდინარეობაზე", რაც მოასწავებდა საკოლმეურნეო ნაკადის ახალი დენის ნამდვილ მოწყობაზე უარის თქმას საკოლმეურნეო მოძრაობის ნებაყოფლობის პრინციპის მომიზეზებით. მემარჯვენე ოპორტუნისტულმა პრაქტიკამ კოლმეურნეობის განვითარებისა და განმტკიცების საქმეში მიგვიყვანა იქამდე, რომ მთელ რიგ რაიონებში კოლმეურნეობები ჯერ კიდევ არ არიან ჩამოყალიბებულნი, არ მოეპოვებათ მათ შრომის წესიერი ორგანიზაცია, არ არის შემოღებული შრომის ახალი სოციალისტური ფორმები (დამკვრელობა, სოცშეჯიბრება, ბრიგადები და სხვ), არ იმართება საწარმოო თათბირები, სულ არ სწარმოებს მუშაობა ღარიბებთან, შემოსავალი ნაწილდება „მჭამელთა" რაოდენობის პრინციპის მიხედვით და არა იმის მიხედვით, თუ რა რაოდენობისა და ხარისხისაა კოლმეურნის ნამუშევარი.

4. მსხვილ დეფექტს პარტიული, საბჭოთა და საკოლმეურნეო-კოოპერატიული ორგანიზაციების მუშაობაში ადგილებზე წარმოადგენს იმის უცოდინარობა, რომ უნდა ხდებოდეს უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური კამპანიების დაკავშირება იმ ღონისძიებებთან, რომელთაც პარტია ატარებს სოფლად, უკავშირდებოდეს კოლმეურნეობებში შესვლის მსურველთა ახალი ნაკადის მოწყობის ამოცანებს. საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გატარება, ამ რიცხვში ბამბის აკრეფის კამპანიის, პურის დამზადების, საანეულო ხვნის, ახალ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მოწყობა და მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს სასოფლო-სამეურნეო ღონისძიებათა გატარება მთელ რიგ ადგილებზე მოწყვეტილი იყო იქ არსებული კოლმეურნეობების განმტკიცებისა და ზრდის და ახალი საკოლმეურნეო ნაკადის მოწყობის ამოცანებს. მხოლოდ გაძლიერებული ბრძოლის წარმოებით ამ მემარჯვენე ოპორტუნისტული ცდების წინააღმდეგ, შესძლებენ პარტიული, საბჭოთა და საკოლმეურნეო-კოოპერატიული ორგანიზაციები ადგილებზე ბოლშევიკურად მოამზადონ და გაატარონ მიმდინარე გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანია, შეასრულონ საგაზაფხულო თესვის გეგმა ამიერ-კავკასიის სოციალისტური საბჭოთა ფედერაციის კოლმეურნეობებში 491 ათასი ჰექტარის რაოდენობით, ამ რიცხვში: ბამბის გეგმა—115 ათასი ჰექტარის რაოდენობით, რითაც უზრუნველყოფილი იქნება საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დირექტივის შესრულება 1931 წელს მეურნეობათა არანაკლებ 50 პროცენტის კოლექტივიზაციის შესახებ მებამბეობის რაიონებში არანაკლებ მეურნეობათა 20-დან 35 პროცენტისა ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერატიულ სოციალისტურ რესპუბლიკაში.

საკოლმეურნეო მშენებლობის გაშლა-გაჩაღება მებამბეობის რაიონებში ახალი სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მშენებლობისა და წარმოების პროცესთა მექანიზაციის საფუძველზე იწარმოებს გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში. კულაკობა და მისი პოლიტიკური სულის ჩამდგმელები—მუსავატელები, დაშნაკელები და მენშევიკები გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებენ მარცვლეული კულტურების განდევნის წინააღმდეგ ტეხნიკური კულტურების მიერ, ბამბის ნათესის გაფართოების წინააღმდეგ, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ბამბის წარმოების მხრივ დამოუკიდებლობის მოპოვების წინააღმდეგ. ამიტომ ბრძოლა ბამბისათვის წარმოადგენს ბრძოლის ერთ-ერთ ფორმას ნაციონალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ადგილობრივ ნაციონალიზმის წინააღმდეგ. ამიტომაც ბამბის პრობლემის და დანარჩენი ტეხნიკური კულტურების (პირველ რიგში ჩაის) პრობლემის სწორად გადაჭრა წარმოადგენს ლენინური ნაციონალური პოლიტიკის სწორი გატარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბერკეტს მრავალეროვანი ამიერ-კავკასიის პირობებში. პარტიის საოლქო კომიტეტი აღნიშნავს დაუშვებლად ნელ ტემპს კოლმეურნეობათა მომზადებაში საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის, განსაკუთრებით ტეხნიკური კულტურების რაიონებში: საგაზაფხულო თესვის კამპანიის გეგმების გამომუშავება და განხილვა შემხვედრი გეგმების მოწყობა, სახ.-სამ. ინვენტარის რემონტი, სათესლე და დასაზღვევი ფონდების შეკრება, ახალ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მშენებლობის გაშლა, სახელშეკრულებო კამპანიის გატარება და სხვა ჯერ კიდევ არ არის გადასული მუშაობის დაკვრითი ტემპებზე.

საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი წინადადებას აძლევს პარტიის ცენტრალურ კომიტეტებსა, საოლქო კომიტეტებსა და რაიკომებს, ამიერ-კავკასიის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს, ამიერ-კავკასიის კოლმეურნეობათა ცენტრს, მიწადმოქმედების კომისარიატებს, რესპუბლიკანურ კოლმეურნეობათა ცენტრებს და ამიერ-კავკასიის სატრაქტორო ცენტრს:

ა) უზრუნველყონ პარტიისა და მთავრობის მიერ დაწესებულ ვადებში ყველა მოსამზადებელ ღონისძიებათა გატარება საგაზაფხულო თესვისათვის, გეგმების მიყვანა კოლმეურნეობამდე, სათესლე და დასაზღვევი ფონდების შეგროვება კოლმეურნეობებში, ინვენტარის შეკეთება კოლმეურნეობებში, რისთვისაც თებერვალი გამოცხადდეს შეკეთების ჩატარების დამკვრელ თვედ და მოეწყოს და გაიგზავნოს რაიონებში მუშათა ბრიგადები შეკეთების საწარმოებლად.

ბ) საწარმოო გეგმების უკვე დაწყებული განხილვა და მიღება კოლმეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ გამოიყენონ შრომის სწორად განაწილებისთვის კოლმეურნეებს შორის, ბრიგადირების შერჩევისთვის, ბრიგადების სწორი ორგანიზაციისა და მათი გეგმების და დავალებების ზუსტად განსაზღვრისათვის;

გ) აწარმოონ გადამჭრელი ბრძოლა მჭამელთა რიცხვის მიხედვით მოსავლისა და შემოსავლის განაწილების პრაქტიკასთან, ამავე დროს გადაჭრით ებრძოლონ „კულაკობის ელემენტებს, უსაქმურებს და იმათ, ვისაც უყვარს განსაზოგადოებული შრომის შედეგების გამოყენება, მაგრამ ამ შრომაში მონაწილეობის მიღებას კი გაურბის" (საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება) განუხრელად გაატარონ ცხოვრებაში საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დირექტივა იმის შესახებ, რომ „ყველა კოლმეურნეობებმა ნამდვილად განახორციელონ მოსავლის განაწილების წესები მხოლოდ და მხოლოდ კოლმეურნის ან მისი ოჯახის შრომის რაოდენობასთან და ხარისხთან შეფარდებით" (საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებიდან);

დ) გადაათვალიერონ კოლმეურნეობათა რაიონული კავშირების თავმჯდომარეების შემადგენლობა ტეხნიკურ კულტურის რაიონებში და შესცვალონ სუსტი მუშაკები ისეთებით, რომელთაც აქვთ უნარი და შეუძლიათ ბოლშევიკურად ჩაუდგნენ სათავეში საკოლმეურნეო მოძრაობას;

ე) ორი დეკადის ვადაში შეარჩიონ და გაგზავნონ მებამბეობის რაიონებში სამუდამო და საკოლმეურნეო სამუშაოზე (ინსტრუქტორები, კოლმეურნეობათა რაიონულ კავშირების განყოფილებების გამგეები) არა ნაკლებ 70 მუშაკისა, აქედან აზერბეიჯანში—40, საქართველოში—15 და სომხეთში—15 მუშაკი;

ვ) ჩაატარონ საკოლმეურნეო აქტივის მასიური მომზადება ტეხნიკური კულტურების რაიონებში (ბრიგადების, შრომის ორგანიზატორების, აქტივისტ ქალების, აგრორწმუნებულების, მესილოსეების და სხვ.); მოსამზადებელთა რიცხვი არ უნდა იყოს 15.000 კაცზე ნაკლები, აქედან: აზერბეიჯანში—არა ნაკლებ 10.000 კაცისა, საქართველოში—2.500 და სომხეთში—2.500 კ.

ზ) უზრუნველყონ ადგილობრივი ორგანიზაციების სრული ყურადღება „25.000"-ის მუშაობისადმი, ამასთან მიამაგრონ ისინი საკოლმეურნეო სამუშაოზე, უზრუნველყონ ისინი ბინებით, მოაწესრიგონ შრომის ხელფასის საკითხი, უზრუნველყონ სამრეწველო საქონლის რეგულიარულად მიწოდება,

ჰ) გადააჯგუფონ სამიწადმომწყობო ძალები და სახსრები იმგვარად, რომ სავსებით უზრუნველყოფილ იქნას პირველ რიგში ტეხნიკური კულტურების რაიონების კოლმეურნეობათა სამიწადმომწყობო საჭიროებანი. მთლიანად შეასრულონ მთავრობის გადაწყვეტილება იმის შესახებ რომ საუკეთესო და მახლობლად მდებარე მიწები გამოიყოს კოლმეურნეობებისთვის ამ მიწების ერთ მასივში მოქცევით. კოლმეურნეობათა სამიწადმომწყობო სამუშაოები დამთავრდეს არა უგვიანეს 15 მარტისა;

თ) ამიერ-კავკასიის საკოლმეურნეო ცენტრმა და რესპუბლიკების საკოლმეურნეო ცენტრებმა კოლმეურნეობათა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიაში დაამთავრონ წესდების მიხედვით ჩამოყალიბება ყველა კოლმეურნეობებისა, ამასთან მიაღწიონ წესდებით დაწესებული ფონდების გამოყოფას.

6 საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი ყველა ორგანიზაციების, მეტადრე კრედიტების გამცემი ორგანიზაციების განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ მთელ რიგ რაიონებში კრედიტების მიწოდება სისწორით არ სწარმოებს, არ ხდება ყველა კრედიტების ეფექტიურად გამოყენების შესაძლებლობის აღრიცხვა. წინადადება მიეცეთ სახელმწიფო ბანკის ამიერ-კავკასიის განყოფილებას და ამიერ-კავკასიის საკოლმეურნეო ცენტრს ორი დეკადის ვადაში:

ა) გამოარკვიონ კოლმეურნეობების ნამდვილი დავალიანება, ამასთან ხელახალ-ფორმებში ჩამოაყალიბონ კოლმეურნეობებიდან გასული წევრების, აგრეთვე დაშლილი კოლმეურნეობების დავალიანება;

ბ) კოლმეურნეობებში სახსრების მობილიზაცია გადაიყვანონ შრომის ტემპებზე და ამისთვის გამოიყენონ შემხვედრი გეგმების და სოცშეჯიბრების მეთოდი.

7. საჭიროა კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო გლეხთა შორის იმ შეღავათების ფართო პოპულიარიზაცია რომლებიც მთავრობამ და პარტიამ კოლმეურნეობებს და კოლმეურნეებს მიანიჭა.

საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი წინადადებას აძლევს პარტიის ც. კ-ებს, საოლქო კომიტეტებს და რაიონულ კომიტეტებს, ადგილობრივ საადგილმამულო და საკოლმეურნეო ორგანოებს—მიაღწიონ 5 პროცენტიან გადარიცხვას ყველა სასოფლო-სამეურნეო არტელებში, ამასთან ამ საკითხის განხილვა უნდა ხდებოდეს კოლმეურნეების და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო გლეხთა საერთო კრებებზე და ეს გამოყენებული უნდა იქნას, როგორც იარაღი საშუალო გლეხების შემდგომი ჩაბმისთვის სასოფლო-სამეურნეო არტელში.

8. ბრძოლა განუწყვეტელი საწარმოო წლისათვის კოლმეურნეობებში არის მძლავრი ბერკეტი ღარიბი და საშუალო გლეხების ჩასაბმელად კოლმეურნეობებში.

საჭიროა, გარეთ სამუშაოზე მუდმივად გასვლის ორგანიზაციასთან ერთად, ფართოდ მოეწყოს დროებითი გასვლაც გარეთ სამუშაოზე; მოეწყოს ადგილობრივ ზამთრის სამუშაოები კოლმეურნეობებისათვის.

პარტიის ც. კ-ებმა რაიკომებმა, საკოლმეურნეო კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა გარეთ სამუშაოზე გასვლის და ზამთრის სამუშაოთა ორგანიზაციის კონკრეტული საკითხები საქმიანი პრაქტიკული განხილვისთვის დასვან საწარმოო თათბირებზე, პლენუმებზე, სოფლის საბჭოების სხდომებზე, პარტიის სასოფლო უჯრედებში და რაიკომებში.

9. აღინიშნოს, რომ მთელ რიგ რაიონებში დღემდე არ არის აღმოფხვრილი „გიგანტომანია".

იმ ხაზის გატარებასთან ერთად, რომელიც მიზნად ისახავს ყველა პირობების მომზადებას არსებული წვრილი კოლმეურნეობების გასამსხვილებლად და მათი თანდათანი გაერთიანებისთვის, გადამჭრელი ბრძოლა უნდა გაეწიოს მთელი რიგი რაიონული ორგანიზაციების მხრივ „გიგანტომანიით" გატაცებას. წინადადება მიეცეს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ს და საქართველოს საკოლმეურნეო ცენტრს—შეამოწმონ საკოლმეურნეო მოძრაობის მდგომარეობა ოზურგეთის, ლანჩხუთის და ამბროლაურის რაიონებში კოლმეურნეობათა სწორი ორგანიზაციის თვალსაზრისით და იმ თვალსაზრისით, თუ ნამდვილად რამდენად ვრცელდება კოლექტივიზაცია წარმოების საშუალებებზე და ნათესს ფართობებზე.

10. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს პარტიულ და საკოლმეურნეო ორგანიზაციებს არსებული კომუნების, როგორც საკოლმეურნეო მოძრაობის უმაღლესი ფორმების, განმტკიცების საქმეში; ეს კომუნები მათ, შრომის ორგანიზაციის სოციალისტური ფორმების ყოველნაირი ჩანერგვის გზით, უნდა გადააქციონ მსხვილი სოციალისტური მეურნეობის საუკეთესო ნიმუშებად.

ვინაიდან პარტიის მე-16 ყრილობის დადგენილებათა თანახმად კოლმეურნეობის „ძირითად ფორმად საკოლმეურნეო მოძრაობის განვითარების ამ სტადიაზე ითვლება სასოფლო-სამეურნეო არტელი", ამიტომ საჭიროა გაიშალოს, საკოლმეურნეო მოძრაობაში ნებაყოფლობის ლენინური პრინციპიდან რამე გადახვევის დაუშვებლად, ფართო მუშაობა გლეხთა შორის სასოფლო-სამეურნეო არტელების მოსაწყობად, რომლის დროსაც დაუნდობელი ბრძოლა უნდა იქნას წარმოებული სასოფლო-სამეურნეო არტელის, როგორც კოლექტივიზაციის ძირითადი ფორმის, მნიშვნელობის არასაკმაოდ შეფასების წინააღმდეგ.

ამასთანავე ერთად ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი აყენებს რაიონების იმ პარტორგანიზაციების წინაშე, სადაც ადგილი აქვს ტეხნიკური ბაზის დაბალ დონეს და არასაკმარისად არიან შეკავშირებულნი ღარიბობა და მოჯამაგირეები, მუშაობის გაძლიერების ამოცანას მიწის შეერთებული წესით დამმუშავებელი ამხანაგობების, როგორც სასოფლო-სამეურნეო არტელზე გადასვლის ფორმის, მოსაწყობად.

12. სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის ძირითად ამოცანას შეადგენს საყოველთაოდ სასოფლო ამხანაგობების მოწყობა, მათი გასაღება - მიმწოდებელი ორგანიზაციებისაგან საწარმოო გაერთიანებებად გარდაქმნა, რომლის დროსაც შეურიგებელი ბრძოლა უნდა გაეწიოს ამ უმარტივეს გაერთიანებათა როლის ყოველგვარ არასაკმაო შეფასებას. ინდივიდუალურ მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნაში, პირობების მომზადების საქმეში საკოლმეურნეო მოძრაობის მასიური გაშლისათვის ეკონომიურად ჩამორჩენილ რაიონებში.

13. გაზაფხულის სასოფლო - სამეურნეო კამპანიის მომზადება და გატარება გადამწყვეტ როლს ითამაშებს კოლექტივიზაციის გეგმის წარმატებით შესრულებაში. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი აღნიშნავს ყველა ღონისძიებათა სუსტ გაშლას გაზაფხულის სასოფლო - სამეურნეო კამპანიის მოსამზადებლად და ცალკე ორგანიზაციებში ამ ღონისძიებათა გათიშვას ახალი საკოლმეურნეო ნაკადისათვის ბრძოლისაგან და წინადადებას იძლევა—დაუყოვნებლივ უზრუნველყოფილი იქნას გარდატეხა პარტიული, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციების მთელ მუშაობაში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კონტრაქტაციის ახალი პირობების სავსებით გატარებას საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს მიმართვის ფართო პოპულიარიზაციის საფუძველზე გაზაფხულის ნათესის კონტრაქტაციის შესახებ, რაც უდიდეს სტიმულს წარმოადგენს კოლექტივიზაციის განვითარებისათვის.

14. სოფლად ჩვენი კლასობრივი ძალების მოწყობისა და დარაზმვის საჭიროების მნიშვნელობის არასაკმარისად შეფასება საშუალო გლეხობასთან კავშირის საფუძველზე კულაკების წინააღმდეგ საბრძოლველად მთელ რიგ რაიონებში რთულდება ზოგიერთი კოლმეურნეობის კარჩაკეტილობისადმი არაჯანსაღი მიდრეკილებით, თავისი თავის დაპირისპირებით გარემო ღარიბ-საშუალო მოსახლეობისათვის, ნაცვლად იმისა, რომ მოეწყოს კოლმეურნეობებში შესვლის ნაკადის ახალი ტალღა და ჩაუდგეთ მას სათავეში ინდივიდუალურ მეურნეთა კოლმეურნეობებში მიზიდვით, ზოგიერთი კოლმეურნეობები აჭიანურებენ და არ იხილავენ ღარიბთა და ინდივიდუალურ საშუალო გლეხთა განცხადებებს მათი კოლმეურნეობებში შესვლის შესახებ.

საკავშირო კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი განსაკუთრებით ხაზს უსვამს მთელ რიგ რაიონებში საშუალო გლეხობის კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობის საქმეში სუსტ ჩაბმას და წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ კომიტეტებს და საკოლმეურნეო ორგანიზაციებს ადგილებზე—შეამოწმონ საარჩევნო კამპანიის შედეგები იმისათვის, რომ „ჩაბმული იქნან ხელმძღვანელობის საქმეში საუკეთესო ადამიანები საშუალო გლეხთა წრიდან და მიეცეს მათ საშუალება ამ საფუძველზე გაშალონ თავიანთი ნიჭი" (სტალინი), რომლის დროსაც გადაჭრით უნდა იქნას განდევნილი კოლმეურნეობათა ხელმძღვანელ ორგანოებიდან კულაკები და უცხო ელემენტები.

15. კოლმეურნეობათა მასიური მუშაობის ახალი ფორმები: საწარმოო თათბირების მოწყობა, საინიციატივო ჯგუფები, დამკვრელ კოლმეურნეთა შეკრება, დამკვრელი ბრიგადები, კოლმეურნეობათა გამგეობების მიერ ანგარიშის წარდგენა ინდივიდუალურ მეურნეთათვის, კოლმეურნეობათა მუშაობასთან გაცნობითი ინდივიდუალურ მეურნეობის თანამოხსენებები, კოლმეურნეობათა ურთიერთი გაცნობა და გამოკვლევა, თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა, სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა, საზოგადოებრივი ბუქსირი, შემხვედრი გეგმა და შეფობა ჯერ კიდევ სათანადოთ არ არის გამოყენებული ჩვენი დაბალი საფეხურის საკოლმეურნეო - კოოპერატიული და სოფლის პარტიული ორგანიზაციების პრაქტიკულ მუშაობაში.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი წინადადებას აძლევს ცენტრალურ. კომიტეტებს, საოლქო კომიტეტებს და რაიკომებს—უზრუნველყონ მათ პარტიული, საბჭოთა და საკოლმეურნეო - კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ ადგილებზე მასიური მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდების გატარება კოლმეურნეობებში შესვლის ახალი ნაკადის მოსაწყობად.

16. კოლექტივიზაციის მიღწეულ წარმატებათა დამკვიდრებისა და მათი შემდგომი წინ წაწევის საშუალებად გადაქცევის ერთ-ერთ ძირითად პირობათ ითვლება პარტიის დადგენილებათა სავალდებულო და ენერგიული შესრულება ღარიბთა შეკავშირების შესახებ.

მოჯამაგირეებსა და სოფლის ღარიბებს შორის მუშაობის მნიშვნელობის არასაკმაოდ შეფასებისა და პასიურობის გამოჩენის მხოლოდ გადაჭრით გადალახვის საფუძველზე, მხოლოდ ლენინური ხაზიდან ყოველგვარი გადახრის გადაჭრით გადალახვის საშუალებით შევსძლებთ სოფლად ჩვენი დასაყრდენის — მოჯამაგირისა და ღარიბი გლეხის—შეკავშირების ნამდვილად უზრუნველყოფას.

ღარიბი გლეხობის და მოჯამაგირეების ჯგუფები უწინარეს ყოვლისა უნდა მოეწყოს პროლეტარიული დიქტატურის ორგანოების — საბჭოების სისტემაში და კოოპერატიულ ორგანიზაციებში. ისინი უნდა იქნენ მუდმივად მომქმედი ორგანიზაციები, ხელმძღვანელები და აქტიური მონაწილენი საბჭოების და კოოპერაციის მუშაობის ყველა დარგში.

17. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოჯამაგირეების და ღარიბი გლეხების შეკავშირებას მუდმივად მომქმედ ჯგუფების ფორმით მარტივი სახის კოლმეურნეობებში, მათ შორის ჯერ კიდევ მოუმაგრებელ სასოფლო-სამეურნეო არტელებში. ღარიბი გლეხობის და მოჯამაგირეების ჯგუფების მუშაობა აქ, პირველ ყოვლისა, გამოიხატება ბრძოლაში საკოლმეურნეო მოძრაობის ხარისხისათვის, იმისათვის, რომ „გარდაიქმნას გლეხი-კოლმეურნე, აღმოიფხვრას მასში ინდივიდუალისტური ფსიქოლოგია და გადაიქცეს იგი სოციალისტური საზოგადოების ნამდვილ მშრომელათ" (ი. სტალინი).

ამასთან უნდა სწარმოებდეს მუშაობა ღარიბ გლეხობის და მოჯამაგირეების ორგანიზაციისათვის სასოფლო-სამეურნეო არტელებში. სასოფლო-სამეურნეო არტელებში ღარიბი გლეხების და მოჯამაგირეების ბირთვის როლი გამოიხატება იმაში რომ იგი გადაიქცეს მოწინავე კოლმეურნეების ორგანიზაციად, რომელიც სათავეში ჩაუდგება ბრძოლას შრომის უფრო მაღალი ნაყოფიერებისათვის, შრომის სოციალისტური ორგანიზაციისათვის, სოცშეჯიბრებისათვის. დამკვრელობისათვის.

ღარიბი გლეხობის ჯგუფების მუშაობის გაშლით, როგორც კოლმეურნეობებში, ისე სოფლად, პარტიულმა ორგანიზაციებმა „უნდა უზრუნველყონ ღარიბთა ჯგუფების ისეთი მუშაობა, რომ მათ არა მარტო ღარიბი გლეხობის უშუალო ინტერესები დაიცვან, არამედ აგრეთვე ხელი შეუწყონ მუშათა კლასის და სოფლის ღარიბი გლეხობის კავშირის განმტკიცებას საშუალო გლეხობასთან" (მე-16 ყრილობის რეზოლიუციიდან).

საოლქო კომიტეტს აუცილებლად მიაჩნია, რომ ღარიბ გლეხობასთან შემთხვევითი საკამპანიო მუშაობა შეიცვალოს სისტემატიური და ნაყოფიერი ხელმძღვანელობით.

პარტმუშაობის სიმძიმის ცენტრი სოფლად გადატანილ უნდა იქნეს ღარიბ გლეხობასა და მოჯამაგირეებთან მუშაობაში. სოფლად პარტიის დასაყრდენობის განმტკიცებისათვის ბრძოლასთან ერთად პარტორგანიზაციებმა პირველ ყოვლისა უნდა იბრძოლონ ღარიბთა ჯგუფებისათვის და ღარიბი გლეხობის ეს ცენტრალური და გადამწყვეტი ორგანიზაცია გადააქციონ ღარიბ გლეხებსა და მოჯამაგირეებს შორის მუშაობის ინსტიტუტად, „ამასთან მთელმა ამ მუშაობამ ხელი უნდა შეუწყოს კულაკის წინააღმდეგ მიმართულ ღარიბ გლეხობის და საშუალო გლეხობის კავშირის შემდგომ განმტკიცებას პარტიის ხელმძღვანელობით" (საკ. კ. პ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან).

18. პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს გააძლიერონ ყურადღება იქითკენ, რომ გარდაიქმნას და გაუმჯობესდეს მასიური ორგანიზაციების — საბჭოების და პროფკავშირების მუშაობა და რომ მათ უკეთ იბრუნონ პირი საკოლმეურნეო მშენებლობისაკენ.

საბჭოები, როგორც მასიური ორგანიზაციები, კიდევ არ აქცევენ ყურადღებას საკოლმეურნეო მოძრაობის მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს. სოფლის საბჭოები არ წარმოადგენენ მასიურად კოლექტივიზაციის ინიციატორებს, არ სდგანან მოძრაობის სათავეში და ჯერ კიდევ „რევოლიუციის გუშინდელ დღეს" წარმოადგენენ (ვ. მოლოტოვი).

არსებულ კოლმეურნეობების განმტკიცებისა და მათი შემდგომი ზრდისათვის ბრძოლაში საბჭოებმა მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშონ, მათ ხელი უნდა შეუწყონ კოლმეურნეობების განვითარებას უმაღლეს საფეხურებზე. „საჭიროა საბჭოების ხელმძღვანელი როლის გაძლიერება კოლექტივიზაციის მიმართ, საბჭოების პასუხისმგებლობის გაძლიერება საკოლმეურნეო მშენებლობისათვის" (საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან).

კოლექტივიზაციის პირობებში სოფლის საბჭოების წინაშე დასახული ამოცანები მოითხოვენ პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას და საბჭოების განმტკიცებას კადრების უკეთესი სოციალური შერჩევით, სოფლის საბჭოებთან ღარიბთა ჯგუფების მოწყობით და მათი მუშაობის გაუმჯობესებით, სოფლის საბჭოების მთელი მასიური მუშაობის მიმართვით პირით კოლმეურნეობისაკენ.

19. რათა „მიღწეული წარმატება განმტკიცდეს და გეგმაშეწონილად იქნას გამოყენებული შემდგომი წინსვლისათვის" (სტალინი), საჭიროა დასახულ იქნას, როგორც გადაუდებელი ამოცანა, პარტიული მუშაობის გაუმჯობესება სოფლად. სოფლის უჯრედმა ნამდვილად უნდა შეიგნოს, რომ იგი პასუხს აგებს კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის და სამანქანო-სატრაქტორო სადგურის სამეურნეო მდგომარეობისათვის, ისე, როგორც საწარმოო უჯრედი არის პასუხისმგებელი სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებისათვის.

იმ რაიონებში, სადაც სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის მაღალი პროცენტია, სოფლის უჯრედი მეტ წილად უნდა მოეწყოს საწარმოო პრინციპის მიხედვით (კოლმეურნეობის სამანქ.-სატრაქტ. სადგურის, საბჭოთა მეურნეობის უჯრედი). სოფლის უჯრედმა თავისი მუშაობის ცენტრი უნდა გადაიტანოს ქვედა საფეხურის საწარმოო რგოლში (უბანი, სექტორი, ბრიგადა და სხვ.). პარტკომიტეტებმა უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა და მეტი ყურადღება დაუთმონ ცოცხალი ხელმძღვანელობის და ინსტრუქტაჟის გადაჭრით გაუმჯობესებას, მეტი დახმარება გაუწიონ სოფლის უჯრედებს მუშაობაში და ამ მიზნით შემოღებულ იქნას პრაქტიკაში ორგპარტჯგუფების, პროპაგანდისტების და ხელმძღვანელი მუშაკების რეგულიარულად გაგზავნა სოფლად ხანგრძლივი მუშაობისათვის.

მასიური საორგანიზაციო მუშაობის გაშლა სოფლად პირდაპირ არის დაკავშირებული კომკავშირის ორგანიზაციების მუშაობასთან.

წინადადება მიეცეს კომკავშირის სამხარეო კომიტეტს, ცენტრალურ კომიტეტებს, ოლქკომებს და რაიკომებს:

ა) ფართოდ გაშალონ კომკავშირის ახალ უჯრედების ორგანიზაცია, ახლად მოწყობილ კოლმეურნეობებში პარტიულ უჯრედების ორგანიზაციის პრინციპის მიხედვით;

ბ) მოაწყონ თებერვლის განმავლობაში მებამბეობის რაიონებში კოლმეურნეობათა კომკავშირული ახალგაზრდობის შეკრება, რომელიც განიხილავს მომავალი გაზაფხულის თესვის კამპანიის და კოლექტივიზაციის საკითხებს.

20. ა.-კ. საოლქო კომიტეტი აღნიშნავს აბსოლუტურად არასაკმაო ყურადღებას კოლმეურნე ქალებს შორის მუშაობისადმი, ქალის შრომის არასათანადოთ შეფასების და არა სწორად ანაზღაურების შემთხვევებს, ღარიბ გლეხ ქალების და საშუალო გლეხ ქალების სუსტად ჩაბმას კოლმეურნეობებში, და წინადადებას აძლევს პარტიულ და საკოლმეურნეო ორგანიზაციებს—გაშალონ ფართო მასიურ-პოლიტიკური მუშაობა ქალთა მასებში როგორც კოლმეურნეობის შიგნით, ისე მის გარეთ კოლმეურნეობათა ქალების დამკვრელ ბრიგადების და ქალთა საწარმოო თათბირების მოწყობით, კოლმეურნე ქალების ფართო დაწინაურებით კოლმეურნეობების გამგეობათა თავმჯდომარეების, ბრიგადირების, შრომის ორგანიზატორების, მესაჭეების და დამკვრელების სამუშაოზე.

21. საკოლმეურნეო მშენებლობის განვითარებას საგრძნობლად აფერხებს კულტურულ პოლიტიკური მუშაობის დაუშვებლად სუსტად წარმოება კოლმეურნეობებში. უმნიშვნელოვანეს ამოცანას ამ დარგში წარმოადგენს საყოველთაო წერა-კითხვის განხორციელება კოლმეურნეებს შორის. ა.-კ. საოლქო კომიტეტი ყველა პარტორგანიზაციების წინაშე სახავს, როგორც დაკვრითი ამოცანას ჩაბან მთლიანად ყველა წერა-კითხვის უცოდინარი კოლმეურნეები წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტებში, ეს ღონისძიება გაატარონ მასიური კულტლაშქრობის მეთოდებით და გადაჭრით შეებრძოლონ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტის საყოველთაო სწავლების მემარჯვენე ოპორტუნისტულ არასათანადოთ შეფასებას და უგულებელყოფას.

ა.-კ. საოლქო კომიტეტი წინადადებას აძლევს პარტორგანიზაციებს, საკოლმეურნეო ცენტრს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას და ყველა პოლიტიკურ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებს — გააძლიერონ მუშაობა კოლმეურნეობების რადიოფიკაციისათვის, მათში მოძრავი კინოების მოწყობისათვის, აგრეთვე იმისათვის, რომ კოლმეურნეობები მომარაგებულ იქნან მასიური იაფი ლიტერატურით როგორც საკოლმეურნეო მოძრაობის საკითხების, ისე ჩვენი მშენებლობის ძირითად სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანების შესახებ, გარდა ამისა მოაგვარონ სოფლის თავის დროზე და მასიურად მომარაგება ფურცლებით და პლაკატებით იმ ძირითად სამეურნეო-პოლიტიკურ კამპანიების შესახებ, რომლებსაც პარტია ატარებს სოფლად.

22. სამხარეო, რესპუბლიკანური და ქვედა საფეხურის სასოფლო პრესა (კედლის გაზეთები), უნდა გადაიქცეს საკოლმეურნეო მშენებლობის ძირითადი საკითხების გარშემო ღარიბ და საშუალო გლეხების ფართო მასების მობილიზაციის და გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ბოლშევიკური გატარების მძლავრ ბერკეტად.

პრესამ სისტემატიურად უნდა გააშუქოს საუკეთესო კოლმეურნეობების, საუკეთესო სამანქანო-სატრაქტორო სადგურების, დამკვრელების და დამკვრელი ქალების საუკეთესო ბრიგადების მუშაობის გამოცდილება და ჩამორჩენილებს გაუწიოს დახმარება გამსვლელი რედაქციების, კოლმეურნეობებს შორის საწარმოო გამოწვევის, გლეხკორების თათბირების მოწყობით და სხვ.

საკოლმეურნეო მოძრაობა ახალი მძლავრი აღმავლობის წინაშე სდგას. ბრძოლა საკოლმეურნეო მოძრაობის ახალი აღმავლობისათვის, ამავე დროს არის მძაფრი ბრძოლა კულაკობასთან. კოლექტივიზაციის წინააღმდეგ კულაკის ბრძოლის ცენტრი ეხლა მიმართულია არსებულ კოლმეურნეობების დაშლისაკენ, იგი მიისწრაფვის იქითკენ, რომ კოლმეურნეობის მასა აამხედროს საკოლმეურნეო მოძრაობის წინააღმდეგ და სხვ.

კოლექტივიზაციის ახალი აღმავლობა, რამდენადაც იგი სტიქიური და მოუწესრიგებელი რჩება, არ შეიძლება იქნეს მტკიცე. მხოლოდ ფართო მასიური ახსნა-განმარტებითი პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა საკოლმეურნეო მუშაობის კონკრეტული მიღწევების ირგვლივ მხოლოდ თვითდინარეობის განწყობილების გადაჭრით და საბოლოოდ დაძლევა, „მემარცხენე" გადახვევების რეციდივების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა უზრუნველყოფს დაწყებული საკოლმეურნეო აღმავლობის გადაქცევას ამიერ-კავკასიის სოფლის ღარიბ და საშუალო გლეხების მასების ათეული და ასეული ათასების ნამდვილად მძლავრ მოძრაობად მომავალი გაზაფხულის სასოფლო სამეურნეო კამპანიის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის რადიკალური რეკონსტრუქციისათვის, ყველა პირობების მომზადებისათვის ამიერ-კავკასიის სოფლის მთლიანი კოლექტივიზაციისა და ამ საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციისათვის.

გერმანელ ფაშისტების დემაგოგიური მანევრი

გერმანიის ფაშისტების დემაგოგიური დეკლარაცია

ბერლინი, 10 თებერვალი. რეიხსტაგში საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს რეიხსტაგის თავმჯდომარის ამხანაგმა ნაციონალ-სოციალისტმა (ფაშისტმა) შტერმა გამოაქვეყნა თავისი ფრაქციის დეკლარაცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ნაციონალ-სოციალისტები გადიან ბრიუნინგის რეიხსტაგიდან და „შემდეგში არავითარ მონაწილეობას აღარ მიიღებენ მის მუშაობაში, რეიხსტაგის ყველა შემდგომ დადგენილებებს ნაციონალ-სოციალისტები არაკანონიერად ჩასთვლიან, ვინაიდან რეგლამენტის შეცვლა არაკანონიერად იქნა გატარებული“. ამასთან ერთად ნაციონალ-სოციალისტებმა უარი განაცხადეს თავიანთ ადგილებზე რეიხსტაგის პრეზიდიუმსა და სამდივნოში.

დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ ნაციონალ-სოციალისტებმა და ნაციონალისტებმა დემონსტრატიულად მიატოვეს სხდომის დარბაზი, ამასთან ნაციონალისტების ფრაქციის ლიდერმა ფრეიტაგ ლორინგოვენმა განაცხადა: ნაციონალისტები იტოვებენ მოქმედების თავისუფლებას რეიხსტაგის მიმართ და ჯერ კიდევ უარს არ ამბობენ მის მუშაობაში მონაწილეობის მიღებაზე. მაგრამ გერმანიის საგარეო პოლიტიკის განხილვაში ნაციონალისტები მონაწილეობას არ მიიღებენ და დაიტოვებენ უფლებას სხვა ადგილას დაიცვან თავისუფლების გერმანიისა და საზღვარგარეთის საზოგადოებრიობის წინაშე. „ჩვენ ვიცით,—ამაღლებული ხმით განაცხადა ნაციონალისტების ლიდერმა,—თუ როგორი წესით მოხდება რეიხსტაგში გერმანიის საგარეო პოლიტიკის განხილვა. იუნგის რეიხსტაგის უმრავლესობა რასაკვირველია, მოიწონებს მთავრობის პოზიციას და აღიარებს, რომ მთავრობამ ჟენევაში უდიდეს წარმატებას მიაღწია და კვლავ განაცხადებს, რომ იგი მზად არის შეუთანხმდეს საფრანგეთს და უარს ამბობს გერმანიის განთავისუფლების ყოველგვარ სამართლიან პოლიტიკაზე. რეიხსტაგის უმრავლესობა უეჭველია მოიწონებს აგრეთვე საფრანგეთის სესხს, რომელიც გამოიწვევს გერმანიის შემდგომ დამონავებას“ (ადს).

სოც.-ფაშისტები და ფაშისტების მთლიანი ფრონტი

ბერლინი, 11 თებერვალი. რეიხსტაგის სხდომაზე გერმანიის საგარეო პოლიტიკის შესახებ სიტყვა წარმოთქვა კომდეპუტატმა ამხ. შტეკერმა, რომელმაც განაცხადა, რომ გერმანიის საგარეო პოლიტიკის მიზანი და ტაქტიკა მოწმობენ სოციალ-დემოკრატების და ნაციონალ-სოციალისტების **მთლიანი ფრონტის არსებობას.** რეიხსტაგიდან ნაციონალ-სოციალისტების დემონსტრატიული გასვლა გვიჩვენებს, რომ მათ ეშინიათ მასების თვალში გამოამჟღავნონ იუნგის გეგმის მიმართ ის მზდალი პოზიცია, რომელსაც ისინი რეიხსტაგის საგარეო საქმეთა კომისიაში დაიჭირეს.

ამ კომისიაში ნაციონალ-სოციალისტებმა უარყვეს კომუნისტების წინადადება, ერთა ლიგიდან გერმანიის გამოსვლის და იუნგის გეგმით გათვალისწინებულ გადასახადების გაღების დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ.

შტეკერი კიცხულობს ჰიტლერის განცხადებას, რომელსაც ნაციონალ-სოციალისტები ესალმებიან და **თანახმა არიან შეასრულონ ყველა ვალდებულება, რაც გერმანიამ იკისრა უცხოეთის სესხების მიმართ.**

შემდეგ შტეკერი ამხელს გერმანია-საფრანგეთის დაახლოვების რაზმს და პარიზში პილსუდსკის ჩასვლის მიზანს. შტეკერს მოჰყავს ცნობები ბურჟუაზიული პრესიდან, რომლებიც **აშკარად ლაპარაკობს, რომ პილსუდსკი მთელი ძალღონით აგზადებს ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ცდილობს უზრუნველყოს გერმანიის „ნეიტრალიტეტი“**— მაგრამ,—აცხადებს შტეკერი,—**ცეცხლი, რომელსაც ახლა იმპერიალისტები აღვივებენ ბოლოს და ბოლოს თვითონვე მათ შთანთქავს.**

დასასრულ შტეკერი აცხადებს: „ნაციონალ-სოციალისტების დემაგოგია გამოაშკარავდება. ნაციონალ-სოციალისტების წარმატება მხოლოდ დროებითი მოვლენა იყო. **გაიმარჯვებს საბჭოთა კავშირი, რომელიც უკვე ახლა აშენებს სოციალიზმს. გაიმარჯვებს საბჭოთა ევროპა და საბჭოთა კავშირის მაგალითზე უკვე ახლაც ნათელია, რომ სოციალისტური გეგმიანი მეურნეობა დაამარცხებს კაპიტალისტურ ანარქიას**“ (ადს).

საბჭოთა კავშირის დასაცავად

ანტი-საბჭოთა კამპანიის საპასუხოდ

ნიუ-იორკი, 11 თებერვალი. საბჭოთა რუსეთის მეგობართა საზოგადოებამ, ფიშის კომისიის ცილისწამებით აღსავსე ანტისაბჭოთა მოხსენების საპასუხოდ, დაადგინა საბჭოთა კავშირში გაგზავნოს 25 ათასი დოლარის სასოფლო-სამეურნეო იარაღები, უმთავრესად ტრაქტორები.

საბჭოთა „ხუთწლიანი გეგმა სავსებით რეალურია“

ვაშინგტონი, 11 თებერვალი. ერთი ლიგა მეგობართა ადგილობრივი ორგანიზაციის კრებაზე მოხსენებით გამოვიდა თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწე ჯონსი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინად საბჭოთა კავშირიდან ჩამოვიდა.

ჯონსმა განაცხადა: „არ შეიძლება ქედი არ მოვიხაროთ იმ გაბედულობისა და სიმტკიცის წინაშე, რასაც რუსეთი იჩენს მის წინაშე აღმართული სიძნელეთა გადალახვაში. ჯონს სავსებით რეალურად მიაჩნია ხუთწლედის განხორციელება. მისი აზრით, საბჭოთა კავშირი გადაიქცევა ერთ-ერთ ისეთ უდიდეს ქვეყნად, რომელიც მსოფლიო ბაზარზე კონკურენციას გასწევს (ადს).

სიცრუე გამოაშკარავებულია

ლონდონი, 11 თებერვალი. ლიბერალურ „მანჩესტერ გარდიენ“-ში მოთავსებულია დოქტორ ფერგიუსონის წერილი, სადაც ის სასაცილოდ იღებს „მოწმეთა“ ჩვენებას ე. წ. „იძულებითი შრომის“ გამოყენების შესახებ საბჭოთა კავშირში. ფერგიუსონი აღნიშნავს, რომ ამგვარ ჩვენებებს სთხზავენ ისეთი პირები, რომელთაც საერთოდ ხე-ტყის სამუშაოებზე წარმოდგენა არა აქვთ.

„მოწმეთა“ ჩვენებებში აღნიშნულია, რომ ხე-ტყის სამუშაოები თითქო ისეთ ადგილებში წარმოებდეს, სადაც მიწა მთელი წლის განმავლობაში გაყინული იყოს. ფერგიუსონი მიუთითებს, რომ ასეთ რაიონებში ხე-ტყის სამუშაოთა წარმოება არ შეიძლება, ვინაიდან ამნაირ ნიადაგზე ხე ვერ აღმოცენდება.

სასაცილოა აგრეთვე მტკიცება, თითქო მუშაობა ამ რაიონებში წარმოებდეს დილის 5 საათიდან საღამოს 6 საათამდე. ამ შემთხვევაში ისე გამოდის ვითომ სულ მცირე 8 საათს მუშაობა სრულ სიბნელეში ხდებოდეს.

შემდეგ „ჩვენებებში აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირში ხე-ტყის დამზადებაზე გამომუშავების ნორმა თითქო იყოს 35 ხე ერთ კაცზე დღეში. ეს მტკიცება ფერგიუსონს „ფანტასტიურად“ მიაჩნია. 35 ხის უკავია ერთი აკრი ფართობი. „ძნელია წარმოიდგინო,—სწერს ფერგიუსონი,—რომ ვითომ შეიძლებოდეს ზამთარში 35 ხის მოჭრა, ასიც 6 ფუტი თოვლით დაფარულ ტერიტორიაზე, როგორც ამას „მოწმენი“ აღწერენ (ადს).

ჰენდერსონის განცხადება

განიარაღების კონფერენციისადმი საბჭოთა მთავრობის დამოკიდებულების შესახებ

ლონდონი, 12 თებერვალი. რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, თემთა პალატაში საგარეო საქმეთა მინისტრს შეკითხვა მისცეს განიარაღების კონფერენციისადმი საბჭოთა მთავრობის დამოკიდებულების შესახებ. ჰენდერსონმა საპასუხოდ განაცხადა: რომ მან საბჭოთა კავშირისაგან მიიღო ცნობა, სადაც აღნიშნულია, რომ, საბჭოთა მთავრობის აზრით, განიარაღების კონფერენციას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ექნება და რომ მშვიდობიანობის შენარჩუნება ძლიერად დამოკიდებული იქნება მის შედეგებზე. **საბჭოთა მთავრობას არაერთხელ გამოუთქვამს აზრი, რომ განიარაღება ან შეიარაღების მაქსიმალური შემცირება წარმოადგენს მშვიდობიანობის ერთად ერთ გარანტიას,** ამიტომ ის სპეციალურად დაინტერესებულია კონფერენციის წარმატებაში და მზად არის მის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღოს.

საბჭოთა მთავრობა სთვლის, რომ **კონფერენციის თავმჯდომარე არჩეულ უნდა იქნას თვით კონფერენციაზე, და არა ერთა ლიგის საბჭოს მიერ.** (ადს).

გერმანია სესხს აძლევს საბჭოთა მთავრობას

ბერლინი, 10 თებერვალი. გაზეთების ცნობით, სასურველ დასასრულს უახლოვდება ის მოლაპარაკება, რომელსაც აწარმოებს გერმანიის განმანაღდებელი ბანკი კონსორციუმთან აღმოსავლეთ ქვეყნებში, უმთავრესად საბჭოთა კავშირში დადებულ საექსპორტო გარიგებათა თამასუქებად განაღდების შესახებ. განმანაღდებელი ბანკი უკვე დასთანხმდა განაღდოს 100 მილიონი მარკის გარიგება იმ პირობით, რომ გარიგებათა 70 პროცენტით უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფოს მიერ.

ამას გარდა როგორც „ფოსიშე ცეიტუნგ“-ი იუწყება, მთავრობის დეკრეტით გამოყოფილი იქნა 350 მილიონი მარკა გერმანიის ექსპორტის უზრუნველსაყოფად კრედიტებით. ამ თანხის ერთი ნაწილი ყოველთვის შეიძლება გადაიდოს სპეციალურად საბჭოთა კავშირისათვის კრედიტების მისაცემად. (ადს).

სტუმრების მოწვევა 25 თებერვლის ზეიმზე

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლის თავის ზეიმის მომწყობმა მთავრობის კომისიამ თბილისში ზეიმზე პერსონალურად მოიპატიჟა 125 კაცი საკავშირო მთავრობის და საკ. კ.პ. (ბ) ცკას წევრები, აგრეთვე მეცნიერების და ხელოვნების მუშაკნი.

მოწვეულთა შორის არიან ამხ. სტალინი, ორჯონიკიძე, ანდრეევი, არტიუხინა, ვოროშილოვი, ბუდიონი, ბუბნოვი, ენუქიძე, კალინინი, პეტროვსკი, ლიტვინოვი, რესტინსკი, კაგანოვიჩი, მ. გორკი, კამენევი, კოსარევი და სხვ.

გარდა ამისა, ზეიმზე მოწვეული არიან ყველა მოკავშირე რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქების და საბჭოთა კავშირის დიდი ქალაქების წარმომადგენელნი (ადს).

აჭარისტანის ახალი მთავრობა

ბათომი, 12 თებერვალი. (საქ. კორესპ.). აჭარისტანის საბჭოების მე-10 ყრილობის უკანასკნელ სხდომაზე არჩეულ იქნა აჭარისტანის ცაკის ახალი შემადგენლობა—128 წევრისა და 39 კანდიდატისაგან. ცაკის შემადგენლობაში შეყვანილ იქნენ ამხ. **კალინინი, ცხაკაია და მამულია.**

სრ. საქართველოს საბჭოთა ყრილობაზე დასასწრებლად ყრილობამ აირჩია 25 დელეგატი გადამწყვეტი და 8 სათათბირო ხმით. დელეგატებს შორის არიან ამხ. **მ. ცხაკაია, ლ. ქართველიშვილი, მამია ორახელაშვილი და ს. მამულია.** საბჭოების სრ. საკავშირო ყრილობის დელეგატებად არჩეულ იქნენ ამხ. **ზ. ლორთქიფანიძე, მ. გოგბერია და კოვალიოვი.**

სრ. საკავშირო ცაკის წევრად ყრილობამ გამოჰყო ამხ. **ზ. ლორთქიფანიძე.** საკავშირო ეროვნულ საბჭოში არჩეულ იქნა 5 წევრი და 2 კანდიდატი.

ყრილობის დამთავრების შემდეგ შესდგა ახალი ცაკის პირველი სესია. სესიამ დაამტკიცა მთავრობა შემდეგი შემადგენლობით: ცაკის თავმჯდომარე—**ზ. ლორთქიფანიძე,** თავმჯდომარის მოადგილე—**აქ. ქავთარაძე,** მდივანი, იგივე რესპუბლიკის პროკურორი—**იუსუფ მახარაძე.** განათლების სახალხო კომისარი—**ს. ლორთქიფანიძე,** მიწსახკომი—**თ. ჯაში,** ფინსახკომი—**ს. ზაქარიაძე,** ჯანსახკომი—**დურსუნ ფალავა,** სახეგმო კომისიის თავმჯდომარე—**ი. მეგრელიძე,** მომარაგების სახ. კომისარიატის რწმუნებული—**ნ. ზაქარიაძე,** შრომის კომისარიატის რწმუნებული—**პ. ცხოიძე,** ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის რწმუნებული—**დიდმამიშვილი,** მუშგლეხინის რწმუნებული—**ი. სურგულაძე,** სახ. მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე—**ს. ჯინჭარაძე,** საგარეო საქმეთა კომისარიატის აგენტი—**პოხვალინსკი,** სამხედრო კომისარი—**ბიორბაძე,** სოცუზრუნველყოფის სახკომი—**ჩოჩ-ოღლი,** სახ. პოლიტსამმართველოს თავმჯდომარე—**რაფავა,** უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარე—**თავდგირიძე.**

პარტიული მშენებლობა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ათი წლისთავისათვის მზადება--პარტიულ ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში

ქარხნებში ეწყობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ათი წლისთავის სახელობის დამკვრელი ბრიგადები

ფართოდ გავშალოთ სამზადისი საქ. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 10 წ. თავისათვის

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობა ათი წლის თავი სრულდება, მაშინ, როდესაც ჩვენ ფეხი შევდგით ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელში.

სწორედ ეს გარემოება გვავალებს საქ. საბჭოთა ხელისუფლების ათი წლის თავი გადავაქციოთ ბრძოლისა და გამარჯვების დღეთ, რომელმაც საგრძნობი გარდატეხა უნდა მოახდინოს მთელ ჩვენს მუშაობაში.

ეს დღესასწაული მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს სოციალისტურ მშენებლობის ძირითად ამოცანებს და ამავე დროს ეს დაკავშირება უნდა გახდეს, მძლავრ სტიმულად ჩვენს წინაშე მდგომ ამოცანათა წარმატებით გადასაჭრელად.

ამ დღეს განსაკუთრებით ფართოდ უნდა იქნეს გაშუქებული კომუნისტური პარტიის როლი სოციალისტური მშენებლობის საქმეში და მასთან უნდა განემარტოს მშრომელ მასებს, რომ მხოლოდ ბოლშევიკური პარტიის ლენინური—გენერალური ხაზის ურყევად გატარებამ და შეუწყვეტელმა ბრძოლამ ყოველგვარი გადახრების წინააღმდეგ—შესაძლებელი გახადა—ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური განმტკიცება და სამეურნეო კულტურული მშენებლობის, ბოლშევიკური ტემპებით განვითარება.

მიღწევებთან ერთად, გამახვილებული უნდა იქნეს ყურადღება შემჩნეულ დეფექტებზე.

ამ მიმართულებით საქ. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ათი წლის თავის დღესასწაულის ჩატარებამ—უნდა გააძლიეროს მუშათა მასების ყურადღება ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის სამეურნეო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისადმი. კიდევ უფრო ფართოდ უნდა გაიშალოს სოცშეჯიბრება და დამკვრელობა, რომ ლოზუნგი: **„არც ერთი მუშა სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის გარეშე“**—განხორციელებულ იქნეს. ჩვენი ყოველდღიური მუშაობის ცენტრში უნდა დაისვას საკოლმეურნეო მოძრაობის ტალღის შემდგომი გაძლიერება, არსებულ კოლმეურნეობათა განმტკიცება სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის გამოყენებით და კოლმეურნეების, არც ერთი წუთით არ უნდა დავივიწყოთ კულტურული მშენებლობის ფრონტი.

გარდა ამისა, წითელი არმიის არსებობის 13 წლის თავთან დაკავშირებით, უნდა მოხდეს მშრომელი მასების გასამხედროების შემოწმება და წითელ არმიისადმი კულტურული დახმარების გაძლიერება.

საქ. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 10 წლის და წითელი არმიის არსებობის 13 წლის თავის აღსანიშნავი მუშაობა, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს პარტიულ-კომკავშირულ და საბჭოთა ორგანიზაციებს. მათ უნდა შესძლონ მოსამზადებელი მუშაობის და თვით დღესასწაულის ჩატარების სწორი ორგანიზაცია, სათავეში ჩაუდგენ მშრომელი მასების ინიციატივას და შრომითი ენტუზიაზმს. და მწვავედ დაარტყან მემარჯვენე-„მემარცხენე“ ოპორტუნიზმის ყოველგვარ გამოხატულებას პრაქტიკაში.

ირ.—ლი.

ფართოდ გავშალოთ დამკვრელობა

(საქონლის სადგური)

საქონლის სადგურის პარტბიუროკოლექტივმა, საქართველოში საბჭ. ხელისუფლების არსებობის ათი წლის და წითელ არმიის 13 წლის თავის არსებობის შესახებ, მზადება ჯერ კიდევ იანვრის შუა რიცხვებიდან დაიწყო. ამ დღეებთან დაკავშირებით პარტიაში მიღებული იქნებიან საუკეთესო დამკვრელი მუშები და დამკვრელი მუშა-კომკავშირელები, გამოცემული იქნება საამქროებში კედლის გაზეთების სპეციალური ნომრები. მოეწყობა ექსკურსიები რევოლიუციონურ მუზეუმში, ჩატარებულ იქნება მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებები და საუბრები, დაიდგმება წარმოდგენა, მოხდება დამკვრელობის შემოწმება და საუკეთესო დამკვრელი ბრიგადები და დამკვრელები დაჯილდოვებულნი იქნებიან.

ი. ბ.

დავაჯილდოვოთ საუკეთესო დამკვრელი მუშები

(ტრამვაი)

საქ. კ.პ. (ბ) ლენინის რაიონულ კომიტეტიდან დირექტივის მიღებისთანავე ტრამვაის პარტ. და კომკავშირის ორგანიზაციები შეუდგენ მზადებას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 10 წლის თავის აღსანიშნავად. შემუშავებული გეგმის მიხედვით მოხდება განვლილი ათი წლის მანძილზე წარმოებულ მშენებლობის შედეგების შეჯამება. ჩატარებულ იქნება ფართო ახსნა-განმარტებები და ყურადღების ცენტრში დაისმება ამოცანები საწარმოო-საფინანსო გეგმისათვის ბრძოლა — „5 წლედის 4 წელიწადში“ განხორციელებისათვის. კიდევ უფრო გაძლიერდება სოცშეჯიბრება და დამკვრელობა, ფართოდ იქნება ჩატარებული ახსნ-განმარტებები წითელი არმიის როლის შესახებ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის გაძლიერების საქმეში. გარდა ამისა განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საყოველთაო-სავალდებულო სწავლებას და მუშათა მასების 10 პროცენტის ჩაბმას წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაში:

25 თებერვლამდე კრებებზე ჩატარებული იქნება მოხსენებები საქართველოში საბჭ. ხელისუფლების არსებობის ათი წლის თავის შესახებ; საამქროებში გამოშვებული იქნება კედლის გაზეთის სპეციალური ნომრები; საამქროები მორთული იქნება ლოზუნგებით და პლაკატებით; პარტკომიტეტთან შესდგა დღესასწაულის ჩამტარებელი სპეციალური კომისია.

25 თებერვლის დღეებთან დაკავშირებით, მოხდება საუკეთესო დამკვრელ მუშების და კომკავშირელების პარტიაში მიღება და საუკეთესო დამკვრელების დაჯილდოვება.

თ—ნა.

საუკეთესო დამკვრელი მუშები—ლენინის პარტიაში

(ამხ. სტალინის სახ. ქარხანა)

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ათი წლის და წითელი არმიის არსებობის 13 წლის თავის აღსანიშნავად მოსამზადებელი მუშაობა ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავლების და ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში პარტ-კომკავშირის ორგანიზაციების და ქარხკომის ყურადღების ცენტრშია მოქცეული.

შემუშავებული გეგმის მიხედვით,—პარტ-კომკავშირის ორგანიზაციებში და მუშა-მოსამსახურეებში დღეიდან დაიწყება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ათი წლის თავისა და წითელი არმიის 13 წლის თავის აღნიშვნის საკითხის დამუშავება. 25 თებერვლისათვის ქარხნის ყველა საამქროებში, გამოცემული იქნება კედლის გაზეთების სპეციალური ნომრები; პარტიაში გადარიცხული იქნებიან საუკეთესო დამკვრელი მუშები. კომკავშირის ორგანიზაციაში მიღებული იქნებიან დამკვრელი მუშა-ახალგაზრდები, წარმოებაში მოეწყობა გამოფენა. ქარხანაში ჩამოყალიბებული იქნება საქ. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ათი წლის თავის სახელობის ახალი დამკვრელი ბრიგადები.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ათი წლის თავის საუკეთესოდ ჩატარებისათვის გამოყოფილია სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს ყოველდღიური ხელმძღვანელობა გაუწიოს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ათი წლის და წითელი არმიის არსებობის 13 წლის თავის ჩატარებას.

ს—რი.

მზადება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 10 წლის თავისათვის

(კონდუქტორები)

თბილისის კონდუქტორთა კომუჯრედები რაიონულ კომიტეტიდან მიღებულ დირექტივების ათი წლის თავის ჩასატარებლად. კომუჯრედის ბიუროს მიერ დამუშავებულ გეგმის მიხედვით, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ათი წლის თავის არსებობა ჩატარებული უნდა იქნეს შრომის დისციპლინის განმტკიცების, თვითღირებულების შემცირების, შრომის დეზერტირობასთან ბრძოლის გაძლიერების ნიშან ქვეშ. ამასთან ერთად—უნდა მოხდეს მშრომელი მასების ყურადღების მობილიზაცია საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. კომიტეტის და საკ. სახკომსაბჭოს მიმართვის ირგვლივ ტრანსპორტის გაუმჯობესების შესახებ. ამ დღეებთან დაკავშირებით უჯრედს გადაწყვეტილი აქვს, კომ. პარტიის რიგებში მიიღოს საუკეთესო დამკვრელი მუშები. ამ დღისთვის გამოვა კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი. უჯრედი სოფლად გაგზავნის ბრიგადებს; ამ დღეს მატარებლები მორთული იქნებიან სათანადო პლაკატებით და ლოზუნგებით;

ლ—ძე.

გავაძლიეროთ სოცშეჯიბრება და დამკვრელობა

(ა.ლ.კ.კ. ლენინის რაიკომი)

საქართველოს ა.ლ.კ.კ. თბილისის ორგანიზაციის ლენრაიკომი თავის დროზე შეუდგა მზადებას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ათი წლის და წითელი არმიის არსებობის 13 წლის თავის აღსანიშნავად. რაიონული კომიტეტის ბიურომ ამ მიზნით შეიმუშავა კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც დაეგზავნა კომკავშირის ქვედა ორგანიზაციებს. ლენრაიონის ა.ლ.კ.კ. უჯრედებში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 10 წლის თავის აღსანიშნავად, ჩატარებული იქნება მოხსენებები და საუბრები, გათვალისწინებულია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 10 წლის თავის სახელობის დამკვრელი ბრიგადების ჩამოყალიბება ფაბრიკა-ქარხნებში; გამოყოფილია მუშათა ბრიგადები საშეფო სოფლებში გასაგზავნათ; ამასთან ერთად მიღებულ იქნება კომკავშირის რიგებში საუკეთესო დამკვრელი მუშა-ახალგაზრდები, ხოლო დამკვრელი კომკავშირელები გადარიცხულ იქნებიან კომპარტიის რიგებში. ყველა კომკავშირის უჯრედებში გამოშვებული იქნება კედლის გაზეთების სპეციალური ნომრები.

ა. ი.

გავაძლიეროთ ორ ფრონტზე ბრძოლა

(დეპო)

თბილისის დეპოს პარტკომიტეტის მიერ წინასწარ შემუშავებული ღონისძიებების მიხედვით, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ათი წლის თავი ჩატარებული იქნება მემარჯვენე-„მემარცხენე“ ოპორტუნიზმის და მათთან შემარიგებლობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის კიდევ უფრო ფართოდ გაშლას, მშრომელი მასების მობილიზაციას ხუთწლედის გადამწყვეტ წლის პროგრამების წარმატებით შესრულებისათვის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ათი წლის თავის და წითელი არმიის 13 წლის თავის ჩატარების შესახებ, უჯრედები უკვე შეუდგნენ მზადებას:

25 თებერვლისათვის გამოვა კედლის გაზეთების სპეციალური ნომრები, პარტიაში მიღებული იქნებიან საუკეთესო დამკვრელი მუშები და კომკავშირელები. დეპოს პარტ-კომკავშირის და ქარხკომის ორგანიზაციები ამ დღისათვის აწყობენ ქარხნის მიღწევათა გამოფენას. საამქროებში ჩატარებული იქნება, მოხსენებები და საუბრები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 10 წლის თავის შესახებ.

რ—ლი.

საქ. პროფსაბჭოს გაფართოებული პლენუმი

პროფკავშირები პირით წარმოებისაკენ

პროფკავშირების სტრუქტურის შეცვლა. — 28 პროფკავშირი 20-ის მაგიერ. — საწარმოო თათბირები ცალკე პროფესიების მიხედვით

საკავშირო პროფსაბჭოს მე-5 პლენუმის შედეგები

ამხ. მაშკევიჩის მოხსენება

პროფკავშირის ამოცანები

11 თებერვალს შემდგარ საქართველოს პროფსაბჭოს გაფართოებულ პლენუმზე საკავშირო პროფსაბჭოს მეხუთე პლენუმის შედეგების შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში ამხ. მაშკევიჩი პირველად შეეხო იმ ამოცანებს, რომლებსაც აყენებს პროფესიონალური კავშირების წინაშე სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე პერიოდი. მომხსენებელმა განაცხადა, რომ კაპიტალისტური ნაშთების აღმოფხვრა როგორც ქალაქად, ისე სოფლად და სოციალისტური მშენებლობის შემდგომი გაძლიერებული გაშლა—ასეთია ახლანდელი პერიოდის დამახასიათებელი თვისება. ეს გარემოება საჭიროდ ხდის ყველა მასიური ორგანიზაციების, განსაკუთრებით კი პროფკავშირების მუშაობის ძირითადად გარდაქმნას.

მე-16 პარტყრილობამ გარკვევით განსაზღვრა პროფკავშირების ძირითადი ამოცანები რეკონსტრუქტიულ პერიოდში. ეს ამოცანები მდგომარეობენ ოპორტუნიზმთან და ტრედიუნიონიზმთან ბრძოლაში, პროფკავშირების საწარმოებთა დაახლოებაში, სოცშეჯიბრებასა და დამკვრელობაზე ხელმძღვანელობის გაძლიერებაში, მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში და სხვ.

პროფესიონალურ კავშირებს, რომლებიც სხვადასხვა დარგის საწარმოების მრავალრიცხოვან მუშებს აერთიანებენ, არ შეუძლიათ ფართოდ გამოიყენონ ის გამოცდილება, რაც მიღებულია ამა თუ იმ საწარმოში. ასეთ კავშირებს უძნელდებათ აგრეთვე სხვადასხვა ხასიათის საწარმოების სპეციფიური პირობების გათვალისწინება და ამ პირობებთან შეთანხმებით მუშებისათვის სამსახურის გაწევა. პროფკავშირების წინაშე ამჟამად დასმულია ისეთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა, როგორიცაა სოციალისტური მრეწველობის გაშლის და ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულება.

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკამ, რომელიც მტკიცედ ხელმძღვანელობს სოციალისტურ მშენებლობას და მეთაურობს გაშლილი ფრონტით წარმოებულ სოციალისტურ შეტევას, თავის დროზე დასახა ყველა ის ღონისძიებები, რომელთა განხორციელებითაც უზრუნველყოფილი იქნება პროფკავშირების დაახლოება წარმოებასთან.

28 პროფკავშირი 20-ის მაგიერ

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმმა გარკვევით აღნიშნა, რომ პროფკავშირების სტრუქტურა რადიკალურად უნდა შეიცვალოს. ერთ წარმოებაში უნდა იყოს ერთი პროფკავშირი და არ უნდა მოხდეს ისე, რომ ერთი წარმოების მუშა-მოსამსახურეებს აერთიანებდნენ სხვადასხვა პროფკავშირები, კატეგორიების მიხედვით. ამიტომ საჭირო გახდება მთელ რიგ არსებულ პროფკავშირთა დაყოფა რამოდენიმე დამოუკიდებელ კავშირად.

საქართველოს პროფსაბჭო დღემდე აერთიანებდა 20 სხვადასხვა პროფესიონალურ კავშირს, ახალი სტრუქტურით კი საქართველოში ჩამოყალიბებული იქნება ცალკე პროფკავშირები იმ დარგებში, რომლებიც მრავალ ერთფეროვანი ხასიათის საწარმოებს აერთიანებენ, ხოლო ისეთი საწარმოებებისათვის, რომლებიც მცირერიცხოვან მუშებს აერთიანებენ ჩამოყალიბებული იქნება რაიკომი, რომელიც დაემორჩილება ამავე დარგის ამიერ-კავკასიის პროფკავშირის ან უშუალოდ კავშირის ცენტრალურ კომიტეტს. ასე, მაგ., საქართველოში ჩამოყალიბდება მანქანათმშენებლობის მუშათა პროფკავშირი, რომელიც გააერთიანებს — მელითონეებს და სხვ. ჩამოყალიბებული იქნება აგრეთვე სამთამადნო მრეწველობის, შალეულობისა და აბრეშუმის მრეწველობის, სამანქანო-სატრაქტორო სადგურთა მუშების პროფკავშირები და სხ. ამავე დროს ჩამოყალიბებული იქნება ნავთის მრეწველობის მუშათა რაიკომი, ელექტრო-მრეწველობის მუშათა რაიკომი და სხვ. რაიკომები დაექვემდებარებიან უშუალოდ ამიერ-კავკასიის მასშტაბით ჩამოყალიბებულ პროფკავშირებს.

ახალი პროფკავშირების ჩამოყალიბების და გადახალისების გამო ისახება საჭიროება პროფესიონალური ცხოვრების რესპუბლიკანური ცენტრის—საქ. პროფსაბჭოს სტრუქტურის შეცვლის შესახებაც. საქ. პროფსაბჭოსთან ჩამოყალიბებული იქნება 7 სექტორი—საორგანიზაციო, კულტურული, მასიური მუშაობის, კადრების, სოციალურ-ყოფაცხოვრებითი, საწარმოო და გეგმიანობის სექტორები, თვითეული სექტორი დაიყოფა რამოდენიმე ჯგუფად. საწარმოო სექტორი გააერთიანებს, მაგ., ტყის მრეწველობის, სამთამადნო მრეწველობის და სხვ. დარგების ჯგუფებს, და ასე სხვა სექტორებიც.

საწარმოო სექციები კავშირებთან

ცალკე პროფესიონალურ კავშირებთან უნდა მოეწყოს საწარმოო სექციები მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგების მიხედვით. ამით გაადვილდება მუშათა ფართო მასების ჩაბმა სხვადასხვა საჭირბოროტო საწარმოო საკითხების გადაჭრაში. საწარმოო სექციების წარმოებასთან მტკიცე დაკავშირებაც თავის თავად იქნება უზრუნველყოფილი.

ოპორტუნისტულად და ტრედიუნიონისტულად განწყობილი ელემენტები შესაფერისად ვერ აფასებენ საწარმოო სექციების მოწყობის მნიშვნელობას და ხშირად ამახინჯებენ სექციების წინაშე დაყენებულ ამოცანებსაც. ასეთი ელემენტების წინააღმდეგ უნდა გაჩაღდეს სასტიკი ბრძოლა და უნდა უზრუნველვყოთ მათი გავლენისაგან ჩვენი პროფკავშირები.

საწარმოო სექციების მოწყობასთან ერთად მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ საწარმოო თათბირების მუშაობის გამოცოცხლებას. ბრიგადაში, საამქროში თუ ჯგუფში საწარმოო თათბირების მოწყობასთან ერთად უნდა ეწყობოდეს აგრეთვე თათბირები ცალკე პროფესიების მიხედვით, ესთქვათ, ჩამომსხმელი მუშების საწარმოო თათბირი ცალკე და მეხარატე მუშების ცალკე. მაგრამ ეს ისე უნდა მოხდეს, რომ პროფესიების მიხედვით მოწვეულმა საწარმოო თათბირებმა არ დააბრკოლონ დანარჩენი საწარმოო თათბირების მუშაობა.

პროფესიების მიხედვით საწარმოებში უნდა შეიქნას აგრეთვე რწმუნებულთა ინსტიტუტი. რწმუნებულთა ინსტიტუტი იქნება ისეთი ორგანო, რომელიც მოახდენს ადგილობრივ საწარმოში დაწყებული პროფკავშირული მუშაობის კოორდინაციას.

შესრულების შემოწმება

პროფკავშირების გადახალისების შემდეგ გაადვილებული იქნება ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანის შესრულებაც. ესაა—პარტიისა და ხელისუფლების დირექტივების ფაქტიური შესრულების შემოწმების საკითხი. ამისათვის საჭირო ხდება, რათაც არ უნდა დაჯდეს, მივაღწიოთ ფასიანი პროფაპარატის შემცირებას და მუშაობის ნებაყოფლობითი შესრულების სისტემაზე გადასვლას.

დღეს ძალიან ძნელია იმის შემოწმება, თუ როგორ შესრულდა ამა თუ იმ კავშირის ხაზით რომელიმე დირექტივა. ამისათვის საჭირო ხდება რთული გამოკვლევის ჩატარება, ხარჯების გაწევა და სხვ. ეს იმიტომ, რომ პროფკავშირის აპარატის სტრუქტურა არ არის მარტივი და მიზანშეწონილად ჩამოყალიბებული.

შემდეგ ამხ. მაშკევიჩი შეეხო პროფკავშირების უფლება-მოვალეობათა გაზუსტების, სადარგო ჯგუფების, ქალთა შორის მუშაობის საკითხებს და სხვ. ორატორი ვრცლად შეჩერდა აგრეთვე პროფკავშირების მონაწილეობის საკითხზე სოციალური დაზღვევის ორგანოების მუშაობაში.

სოცდაზღვევა

პროფკავშირებმა უნდა გააძლიერონ მუშაობა სოცდაზღვევის საქმეში. მრეწველობის ცალკე დარგებში (პირველ რიგში კი მძიმე მრეწველობის დარგებში) დაიწყება დარგობრივი სალაროების მოწყობა, იმისათვის, რომ პროფკავშირში შესულ მშრომელს ექნეს უპირატესობა კავშირის არა წევრებთან შედარებით და პროფკავშირის წევრად გახდომისათვის არსებობდეს რაიმე დაინტერესება, გადაწყვეტილია ავადმყოფობის დროს დახმარებების გაცემის წესის შეცვლაც. კავშირის წევრს, რომელსაც უმუშავნია ერთ ადგილას ორ წელზე მეტი, თუ იგი ავად გახდა, მიეცემა სრული ხელფასი. კავშირის წევრს, რომელსაც ამა თუ იმ წარმოებაში უმუშავნია 2 წელიწადი, აგრეთვე სამთო წარმოების მუშებს და მშენებლებს, თუ მათ საწარმოში მუშაობის ერთი წლის სტაჟი აქვთ, მიეცემათ ხელფასის სამი მეოთხედი ავადმყოფობის პირველი ოცი დღის განმავლობაში და სრული ხელფასი—ავადმყოფობის შემდეგ დღეებში. მუშა-დამკვრელებს, რომლებიც საწარმოში უმუშავნიათ ერთ წელზე ნაკლები, მაგრამ თავისი მუშაობით დაწინაურებულან სამუშაოს შესრულებაზე, ან თავი მოუმაგრებიათ წარმოებაზე—ავადმყოფობის განმავლობაში მიიღებენ სრულ ხელფასს.

სოცდაზღვევის საქმის ამგვარი დაყენებით გაადვილდება მუშა-ხელის ცვალებადობასთან ბრძოლა, რადგან მუშები თვითონ იქნებიან დაინტერესებული, რომ ერთ წარმოებაში რაც შეიძლება მეტი მუშაობის სტაჟი ექნეთ.

დასასრულ მომხსენებელი შეეხო პროფკავშირების მუშაობის როლს კოოპერაციის გაჯანსაღების და ყოფაცხოვრებითი საკითხების მოგვარების საქმეში.

პლენუმმა მიიღო რეზოლუცია პროფკავშირთა გადახალისების შესახებ და მოიწონა საკავშირო პროფსაბჭოს მეხუთე პლენუმის დადგენილებები.

თებერვლის 15, საღამოს 6 საათზე,
სახელმწიფო ოპერის თეატრში
გაიხსნება
საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა
დეპუტატების საბჭოების მე-6 ყრილობა
დღის წესრიგი:

1. ა/კ. სფს მთავრობის მოქმედების ანგარიში — მომხ. ამხ. გ. ყურულიშვილი
2. სა. სსრ მთავრობის მოქმედების ანგარიში — მომხ. ამხ. ფ. მახარაძე
3. მოხსენება საგაზაფხულო სასოფლო სამეურნეო კამპანიის და კოლმეურნეო მშენებლობის ამოცანების შესახებ — მომხ. ამხ. მათიკაშვილი
4. მოხსენება 1931 წ. მრეწველობის საკონტროლო ციფრების შესახებ — მომხ. ამხ. გოგბია
5. მოხსენება საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ — მომხ. ამხ. ვ. დევდარიანი
6. საქართველოს სსრ ძირითად კანონში (კონსტიტუციაში) ზოგიერთ ცვლილებათა შეტანის შესახებ — მომხ. ამხ. ს. თოდრია
7. არჩევნები.

სს ცაკის მდივანი: ს. თოდრია

კოლხელშეკრულებათა კამპანიის შედეგები

კოლხელშეკრულებათა კამპანია საქართველოში საერთოდ დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს. საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს უკანასკნელი ცნობებით (ეს ცნობები არ არის სრული კავშირთა ზოგიერთი ც. გამგეობათა და განსაკუთრებით რაიპროფსაბჭოების მიერ ანგარიშების წარმოუდგენლობის გამო), მელითონეთა კავშირში დადებულია 39 კოლხელშეკრულება, რ/გზე მომუშავეთა კავშირში—31, გემოკვების—83, მეტყავეთა—9, ფეიქართა—15, სასოფლო-სამეურნეო და სატყეო მრეწველობის მუშათა კავშირი—567 კოლხელშეკრულება და სატარიფო შეთანხმება, საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებათა მუშაკების კავშირში—88, კომუნალური მეურნეობის მუშაკების—10. ქიათურის რაიონში დადებულია—18 ხელშეკრულება, აჭარისტანში—77 და სამხრეთ-ოსეთში—31.

ხელშეკრულების დადება დააყოვნეს მშენებელთა, ტრანსპორტელთა, განათლების მუშაკთა, მბეჭდავთა კავშირებმა, ფოთის პროფსაბჭომ და აფხაზეთის პროფსაბჭომ.

რომელი მასების აქტივობა გაიზარდა

კოლხელშეკრულებათა კამპანია ყოველგან ტარდებოდა, როგორც მასიური უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური კამპანია. კამპანიის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა მუშათა მასების აქტივობა. კოლხელშეკრულებათა კამპანიამ, რომელიც ტარდებოდა მთელ რიგ დანარჩენ კამპანიებთან მჭიდრო კავშირში, გამოიწვია შრომითი ენტუზიაზმის კიდევ უფრო გაძლიერება საქართველოს საწარმოთა ყველა მუშებს შორის. საკოლხელშეკრულებო კამპანიის გამო გამართულ საერთო კრებებს ესწრებოდა საშუალოდ მუშების 80-98 პროცენტი. კამათში მონაწილეობას იღებდა მუშების გაცილებით მეტი რაოდენობა, ვიდრე გასულ წლებში. საერთოდ კამათში გამოსულები ეხებოდნენ სამეურნეო საკითხებს, წარმოების საკითხებს და კოოპერაციის მუშაობისა და მომარაგების გაუმჯობესებას.

შრომის დისციპლინა განმტკიცდა

მშრომელი მასების აქტიურობის გაძლიერებამ საკოლხელშეკრულებო კამპანიის პერიოდში პროფკავშირების წინაშე დასვა ამოცანა ამ აქტივობის სათავეში ჩადგომისა და მისი იმ სამეურნეო საკითხების გადაჭრისაკენ მიმართვის შესახებ, რომლებიც ამჟამად სდგას ცალკე საწარმოთა წინაშე. მთელ რიგ საწარმოებში (თბილისის ტრამვაი, მექანიკური ქარხანა და სხვ.) მოწყობილ იქნა საწარმოო იერიში ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის, რამაც გვიჩვენა დაკვრითი მუშაობის საუცხოო ნიმუშები. მუშათა ბრიგადების მოწყობამ, საწარმოო ტრიბუნალების მუშაობამ და საზოგადოებრივ ბუქსირზე ჩამორჩენილი ცეხების აყვანამ გამოიწვია შრომის დისციპლინის საგრძნობი გაუმჯობესება და განმტკიცება საწარმოებში. სანიმუშო პროდუქციის ბრიგადების (მელითონეები, მეტყავეები და სხვ.) მოწყობამ მოგვცა ხარისხის უეჭველი გაუმჯობესება. მოხდა მშრომელთა ფართო მასების ყურადღების დარაზმვა მორიგი სამეურნეო საკითხების გარშემო, მუშკოოპმა საზოგადოებრივ ბუქსირზე აიყვანა საქართველოს სახვაჭრობა. საწარმოებს ბრძოლა დანაკარგებთან და მასალის მომჭირნეობით ხარჯვისათვის, ბრიგადების შექმნისათვის, კადრების ხუთწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრების დასამუშავებლად, ახალ კოლხელშეკრულებათა პროექტების დასამუშავებლად და სხვ.

დამატებითად ჩართულმა ხელის მოწერამ სესხზე „ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში“ საკოლხელშეკრულებო კამპანიის პერიოდში ზოგიერთ კავშირში გადააჭარბა მოცემულ დავალებას. სასოფლო-სამეურნეო მუშათა კავშირის ბრიგადების საშუალებით აღმოჩენილ იქნა 82 უმოქმედო სასოფლო-სამეურნეო მანქანა. აჭარისტანში შეგროვილ იქნა 11 ათასი ფუთი ნამტვრევი ლითონი. ყველგან დამთავრებულია საწარმოო თათბირების გარდაქმნა.

შემხვედრი საწარმოო-საფინანსო გეგმები

შემხვედრი საწარმოო გეგმები საერთოდ ყოველგან იქნა დამუშავებული დამკვრელების აქტიური მონაწილეობით; ეს გეგმები შეტანილია ყველა კოლხელშეკრულებებში. იყო შემთხვევები, როცა ცალკე ადმინისტრაციული მუშაკები და ინჟინერ-ტექნიკოსები არასაკმაოდ აფასებდნენ შემხვედრი საწარმოო-საფინანსო გეგმის მნიშვნელობას და ხშირად უმსგავსო დამოკიდებულებასაც იჩენდნენ მისდამი. კოლხელშეკრულებაში მუშების მიერ წამოყენებული მაჩვენებლების მიღება ხშირად დიდი ბრძოლის შემდეგ ხდებოდა, ზოგიერთ შემთხვევაში დავას ეძლეოდა კონფლიქტის ხასიათი და გადადიოდა ის გასარჩევად შრომის სახკომის შემრიგებელ სადავო ორგანოებში, ვინაიდან სამეურნეო მუშაკებს „ეშინოდათ“ შემხვედრი საწარმოო-საფინანსო გეგმების (საამშენებლო მასალის ტრესტი, მარილის [illegible] ფაბრიკა, ცემენტის ქარხანა და სხვ.).

საუკეთესო დამკვრელები შევიდნენ პარტიაში

საკოლხელშეკრულებო კამპანიის პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა დამკვრელთა რიცხვი. კამპანიის დროს აგრეთვე ადგილი ჰქონდა მუშების თვითმომაგრებას საწარმოებზე და საუკეთესო გამოცდილი, დიდი საწარმოო სტაჟის მქონე დამკვრელების შესვლას პარტიის რიგებში. მელითონეების კავშირში დამკვრელთა რიცხვი გაიზარდა 143-ით, მეტყავეთა კავშირში—120 პროცენტით, სასოფლო-სამეურნეო მუშათა კავშირში—148-ით, მეტყეთა კავშირში—15 მბეჭდავთა კავშირში — 23, ქუთაისის რაიონში—211, ფოთის—45, ბორჯომის—52, ქიათურის—45 და სხვ. სულ ჩამოყალიბებულ იქნა 915 ახალი დამკვრელი ბრიგადა, რომლებშიაც ითვლება 16680 კაცი. პარტიაში შევიდა 888 მუშა. ხდებოდა ცრუდამკვრელების გამოაშკარავება. დამკვრელთა საუკეთესო ნაწილს ცალკე რაიონებსა და საწარმოებში მიეცა პრემია სამრეწველო საქონლის სახით.

მატერიალურ საყოფაცხოვრებო და უფლებრივი საკითხები

კოლხელშეკრულებათა კამპანიის პერიოდში პროფკავშირებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს მუშათა მომარაგების გაუმჯობესების საკითხს. პირველად იქნა კოლხელშეკრულებებში აღნიშნული მებოსტნეობის განვითარების, სადილების მოწყობის საკითხი და სხვ.. კოლხელშეკრულებათა უმრავლესობაში გათვალისწინებულია მუშების გადაყვანა ნაწარმოებით ხელფასზე, შეტანილია ყოველგან უპირატესობის მიცემა დამკვრელობისათვის. ინჟინერ-ტექნიკოსებისათვის, რომლებიც მუშაობენ ისეთ წარმოებაში, სადაც სამუშაო განსაზღვრული არ არის, შეტანილია მუხლი, რომლის ძალითაც მათ უნდა მიეცეს 24 დღის მორიგი შვებულება, თანხები სამეცნიერო მივლინებისათვის და სხვ.

შრომის ხელფასი

მუშების შრომის ხელფასის მექანიკურად გადიდების მიზნით გადადებულ ფონდის განაწილებას საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ საფუძვლად დაუდო ხელფასის საერთო ზრდა საქართველოს მრეწველობაში საშუალოდ 4,7 პროც., ამ რიცხვში „ა“ ჯგუფის—7,1 პროც. საკოლხელშეკრულებო კამპანიის პროცესში მიღწეულ იქნა შრომის ხელფასის მოწესრიგება საწარმოოს შიგნით ჩამორჩენილ მუშათა ჯგუფების წინ წაწევის საშუალებით. ახალ კოლხელშეკრულებებში შეტანილია პრემიალური სისტემა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების დასაჩქარებლად, ნედლეულისა და მასალის ხარჯვის შემცირება და სხვ. მოწაფეთათვის ყველგან დაწესებულია [illegible]. საქართველოს შრომის სახკომის საშუალებით პასუხისგებაში არიან მიცემულნი შრომის ხელფასის თვითნებურად გადიდებისათვის თბილისის მუშკოოპი, ამიერკავ. სახვაჭრობა, „ზაკსიოუზ“-ი, „სოიუზხლებ“-ი და სარეწაო კოოპერაცია. კოლხელშეკრულებათა ორმხრივი ვალდებულება ყველგან იყო დაცული. წამგლეჯური მოთხოვნების წამოყენებისა და აგრეთვე ისეთი საკითხების გამოსვლების შემთხვევაში, რასაც კავშირი არა აქვს მუშათა კლასის ზოგად-კლასობრივ ამოცანებთან, ადგილი ჰქონდა ცალკე საწარმოებში, მაგრამ ასეთ გამოსვლებს ყოველთვის გადაჭრით წინააღმდეგობას უწევდნენ.

საერთოდ, საკოლხელშეკრულებო კამპანია საქართველოში ჩატარდა ხუთწლიანი გეგმის მესამე წლის სამეურნეო ამოცანების შესრულებისა და მშრომელთა ფართო მასების აქტივობის ზრდის ნიშნით.

ა. ქ.

„საქართველოს ჩაი“-ს აპარატის მუშაობა საფუძვლიანად უნდა გარდაიქმნას

დაიწყო „საქართველოს ჩაის“ აპარატის წმენდა

დაუყოვნებლივ გამოვაშკარავოთ „საქართველოს ჩაი“-ში მოკალათებული კონდრატიეველები და ცრუ სპეცები, რომლებმაც ჩაშალეს ჩაის თესვის გეგმა.

საქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი“ ერთ-ერთი ძლიერი სამეურნეო ორგანიზაციაა, რომელსაც ფრიად საპასუხისმგებლო მოვალეობა აქვს დაკისრებული. ამ ორგანიზაციამ უნდა უხელმძღვანელოს საქართველოში ჩაის კულტურის მაქსიმალურად განვითარებას, რომ უახლოეს წლებში შესაძლებელი გახდეს საბჭოთა კავშირმა თავი დააღწიოს ჩაის იმპორტს. სწორედ ამიტომ საქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი“-ს პარტია და ხელისუფლება თავიდანვე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და აქცევს ამჟამადაც. ხსენებული საზოგადოება უზრუნველყოფილი იყო საჭირო კრედიტებით, მანქანა-იარაღებით და სხვა დახმარებით. ერთი სიტყვით ამ ორგანიზაციისათვის შექმნილი იყო საუკეთესო პირობები მუშაობისათვის.

გაამართლა თუ არა „საქართველოს ჩაი“-ს ორგანიზაციამ და მისმა აპარატმა მასზე დაკისრებული მოვალეობა?

სანამ „საქართველოს ჩაი“-ს მუშაობა ვიწრო ფარგლებში სწარმოებდა, ეს ორგანიზაცია ასე თუ ისე უძღვებოდა მუშაობას, მაგრამ მას შემდეგ, რაც ხუთწლედის გეგმით და ამ გეგმის 4 წელიწადში შესრულების აუცილებლობის გამო „საქართველოს ჩაი“-ს ვალდებულებები საგრძნობლად გადიდდა, მან ვერ შესძლო მუშაობის სწორი ორგანიზაცია, ადგილებისათვის სათანადო ხელმძღვანელობა და დასახული გეგმის შესრულება.

ამ დღეებში გამოქვეყნდა საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება „საქართველოს ჩაი“-ს მიერ თესვის გეგმის ჩაშლის შესახებ. ამ დადგენილებაში ჩამოთვლილია მთელი რიგი უარყოფითი მოვლენები, რომლებმაც გამოიწვიეს შემოდგომის ჩაის თესვის გეგმის ჩაშლა და ამით საფრთხე შეუქმნეს გაზაფხულის გეგმის შესრულებასაც.

რა იყო გეგმის შეუსრულებლობის მთავარი მიზეზი?

„საქართველოს ჩაი“-ს მემარჯვენე ოპორტუნისტული ხელმძღვანელობა, რომელიც ეყრდნობოდა თვითმიმდინარეობას, მტკიცედ არ ატარებდა პარტიის ხაზს, არ უწევდა სისტემატიურ კონტროლს ოპერატიული გეგმების შესრულებას, არ იყენებდა შრომის ახალ ფორმებს—სოციალისტურ შეჯიბრებას და დამკვრელობას, მუშაობდა ეგრედ წოდებული მინიმალური და მაქსიმალური გეგმებით, რითაც საეჭვოდ გახდა უმაღლესი ორგანოების მიერ მიცემული დავალების შესრულება. მემარჯვენე ოპორტუნისტულმა ხელმძღვანელობამ და ჯგუფურმა ბრძოლამ ნიადაგი მოუმზადა კონდრატიეველთა ჯგუფის ანტისაბჭოთა მუშაობის გაშლას. (ჭუმბურიძის გალაშქრება ჩაის დიდი საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის წინააღმდეგ და სხვ.).

ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში მოხაზა მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომელთა განუხრელად განხორციელებამ უნდა უზრუნველჰყოს „საქართველოს ჩაი“-ს მუშაობის გაჯანსაღება და ამ ორგანიზაციის წინაშე მდგომი ამოცანების განხორციელება. ცენტრალურმა კომიტეტმა იმავე დადგენილებაში დაავალა საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციას ორი დეკადის ვადაში დაამთავროს „საქართველოს ჩაი“-ს აპარატის წმენდა.

ამ დადგენილების საფუძველზე აპარატის გამწმენდი კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობს ამხ. თ. ადამაძე, 9 თებერვალს, მელითონეთა კლუბში შეუდგა „საქართველოს ჩაი“-ს აპარატის წმენდას.

წმენდის პირველი და მეორე სხდომა თითქმის მთლიანად კომისიამ მოანდომა ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მოხსენებას, მუშათა ბრიგადის თანამშრომლების და მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათს.

უგეგმო მუშაობის აღიარება

„საქართველოს ჩაი“-ს გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ხუცკამ, რომელიც გამოვიდა მოხსენებით საზოგადოების მუშაობის შესახებ, თითქმის სავსებით დაადასტურა საზოგადოების სუსტი და უგეგმო მუშაობა. შემოდგომის თესვის გეგმის ჩაშლა. მომხსენებლის სიტყვით, კაპიტალურ მშენებლობაზე გათვალისწინებული იყო 3.375 ათასი მანეთის დახარჯვა, ხოლო ფაქტიურად დაიხარჯა 2.450 ათასი მანეთი, რაც უნდა აიხსნას მუშაკების არასაკმაო მომზადებით, კვალიფიციურ ინჟინერ-ტექნიკოსთა ნაკლებობით, კვალიფიციური მუშა-ხელის უყოლობით და აგრეთვე საამშენებლო მასალების დროზე მიუღებლობით.

უთავბოლო მუშაობის ფაქტები

ზოგიერთ კანტორებში ადგილი ჰქონდა უთავბოლობას, ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ზუგდიდის კანტორა, ხსენებული კანტორის მუშაკები ნაკლებად ეწეოდნენ მუშაობას, უმთავრეს დროს ანდომებდნენ ზუგდიდ-ბათომსა და ზუგდიდსა და თბილისს შორის მოგზაურობას. ისინი უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ კეთილმოწყობას. შეიძინეს საუკეთესო ეტლი, იალტიდან გამოიწერეს ავტომობილი, რომელიც განსაკუთრებულ მოვლას მოითხოვდა. ასეთი უყაირათობისა და დაუდევრობის შედეგად [illegible] რაიონში გეგმის სამარცხვინო ჩამორჩენა.

საბინაო მშენებლობის ხარისხი მეტად დაბალია

საბინაო მშენებლობისათვის გათვალისწინებული იყო 339 ათასი მანეთი, ფაქტიურად დაიხარჯა 470 ათასი მანეთი, ე. ი. 40 პროცენტით მეტი, მაგრამ ხარისხობრივი მაჩვენებლების მხრივ მდგომარეობა [illegible], რაც უნდა აიხსნას ცენტრის მიერ სუსტი ხელმძღვანელობით. საბინაო მშენებლობა იწყებოდა ფართო მასშტაბით, ხოლო როდესაც თანხები არ ყოფნიდათ და მუშაობა წყდებოდა, 2-3 კვირის შემდეგ გაკეთებული გზები ინგრეოდა. აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობის საბინაო მშენებლობის დაწყებამდე კიდევ შეიძლებოდა მეურნეობაში მისვლა, ხოლო გზის აშენებლობის დაწყების შემდეგ იქ მისვლა შეუძლებელი გახდა.

თანხები საკმაოზე მეტი იყო.

რაც შეეხება განსაკუთრებული კვარტალის გეგმას, ის შესრულებულია მხოლოდ 10 პროცენტით. როდესაც ზოგიერთები გეგმის შეუსრულებლობას თანხების სიმცირით ხსნიან, ეს არ არის მართალი. გათვალისწინებული თანხებიდან ჩვენ დაგვრჩა 12.000 ათასი მანეთი. რომლის გამოყენება ვერ შევსძელით.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ყველა იმ მუშაობას, რომელსაც აწარმოებდა „საქართველოს ჩაი“ მთელი რიგი წლების განმავლობაში.

რა აღნიშნეს მუშათა ბრიგადის წევრებმა

აპარატის მუშაობის მთელი რიგი უარყოფითი ფაქტები მოიყვანეს მუშათა ბრიგადის წევრებმა. ბრიგადირების განცხადებით, 2ა ტრაქტორი, რომელიც „საქართველოს ჩაი“ მოიპოვება, უმოქმედოდ იდგნენ, რამაც უმთავრესად გამოიწვია გეგმის შეუსრულებლობა. აპარატის თანამშრომლების უმრავლესობა, ბრიგადის სიტყვით, არ შეეფერება იმ ამოცანებს, რომლებიც „საქართველოს ჩაის“ აქვს დაკისრებული. დაწინაურებულ მუშათა რიცხვი აპარატში მეტად მცირეა, და ვინც არის, არც მათთვისაა შექმნილი მუშაობისათვის ხელსაყრელი პირობები. აპარატში სპეცების მიღება ხდებოდა ყოველგვარი დოკუმენტების მოთხოვნის გარეშე, რის გამო ყოფილა შემთხვევები, როდესაც ცალკე მიღებული თანამშრომლები სავსებით უვარგისი აღმოჩნდნენ.

ჩაის თესვა სწარმოებდა ნიადაგის წინასწარ შეუსწავლელად, ოზურგეთში 91 ჰექტარზე დათესილი ჩაი კომისიის დასკვნით უნაყოფო გამოდგა. 350 ჰექტარი ჩაით დასათესი მიწა მოუვლელი აღმოჩნდა. გაყვანილ იქნა გზები ისეთ ადგილას, სადაც ის გამოყენებული არ იყო. ასეთი გზების გაყვანაზე დაიხარჯა 116 ათასი მანეთი. არ იყო დაცული აპარატში მომჭირნეობა, თანამშრომლების მიღება სწარმოებდა უგეგმოდ. ზოგიერთ განყოფილებებს დღემდე არ აქვთ შედგენილი სამუშაო გეგმები (მაგალითად, მომარაგების განყოფილებას) და [illegible] მუშაობენ. კონტრაქტაციაზე „საქართველოს ჩაი“-ს მიერ აყვანილი იქნენ მიუღებელი პირები. კონტრაქტანტებთან არ იდებოდა ხელშეკრულებები. იყო შემთხვევა, როდესაც „საქართველოს ჩაი“ მიერ კონტრაქტაციაზე აყვანილმა სტუდენტმა დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და სხვაგან მოეწყო სამსახურში.

არ არის გამოყენებული სოცშეჯიბრება და დამკვრელობა

აპარატში სრულებით არ არის გამოყენებული სოცშეჯიბრება და დამკვრელობა. მეტად დაბალია შრომის დისციპლინაც. თანამშრომლები სისტემატიურად იგვიანებენ სამსახურში, აცდენენ დღეებს. ამ გარემოებას კი თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცევა. უსისტემოთ და ყოველგვარი ნორმების გარეშე სწარმოებს ხელფასის გადიდება.

„საქ. ჩაის“ აპარატი ვერ უწევს ხელმძღვანელობას მშენებლობას. იგივე შენობა, რომელზედაც დაიხარჯა 8.000 მანეთი. მუშათა ბრიგადამ გამოარკვია მისი უვარგისობა, შეადგინა სათანადო აქტი და გადასცა „საქართველოს ჩაის“ გამგეობას, მაგრამ ამ უკანასკნელ მისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

აპარატში მაგრად აქვს ფესვები გადგმული ბიუროკრატიზმს, როდესაც მუშათა ბრიგადა ამოწმებდა აპარატის მუშაობას და ამ მუშაობის შესახებ ეკითხებოდა ცალკე თანამშრომლებს, ისინი კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ იმით, რომ აცხადებდნენ: აპარატში ყველაფერი კარგად არისო.

კონდრატიევშჩინის წინააღმდეგ ბრძოლა არ სწარმოებდა

აპარატის მუშაობის დეფექტების აღნიშვნის დროს დამახასიათებელი იყო კამათში მონაწილე მთელი რიგი ამხანაგების გამოსვლა.

„ჩვენ ბრალს გვდებენ იმაში, რომ აპარატში გვყავს კონდრატიეველები და ეს სავსებით სწორია—ამბობს ამხ. კახიანი.—ჩვენ, „საქართველოს ჩაის“ მუშაკებმა ვერ შევსძელით კონდრატიეველების წინააღმდეგ ზომების მიღება; ეკონომიურ გამოკვლევათა ინსტიტუტმა ჩვენზე ადრე გახსნილა ეს საქმე. მე მხედველობაში მაქვს ჭუმბურიძის წიგნი, რომელიც დაიწერა „საქ. ჩაის“ გამგეობის დირექტივით. ამჟამად ჩვენ ფაქტის წინაშე ვდგევართ. განსაკუთრებული კვარტალის გეგმა სამარცხვინოდ ჩაიშალა, ინფორმაციით მიღებული ცნობებით მთელი კვარტალის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 4 პროცენტით, ხოლო უნდა შესრულებულიყო 30 პროც.

სასწრაფოდ უნდა გარდავქმნათ მუშაობა

სასწრაფოდ უნდა გარდავქმნათ მუშაობა, მოვახდინოთ ყველა მუშაკების მობილიზაცია და გავგზავნოთ ისინი ადგილებზე ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის. გარდა ამისა უნდა გაიწმინდოს ჩვენი რიგები უვარგისი და უცხო ელემენტებისაგან.

ამხ. ჩხიკვაძე შეეხო მავნებლურ მუშაობას „საქ. ჩაის“ ორგანიზაციაში. მან მოიყვანა რამდენიმე მაგალითი საბინაო მშენებლობის და საამშენებლო მასალების ადგილებისათვის უთავბოლოდ გადაგზავნის პრაქტიკიდან. აღნიშნა აგრეთვე უთავბოლობა და უყაირათობა სტანდარტული სახლების შემოზიდვის საქმეში, რომელიც ფაქტიურად გაცილებით უფრო ძვირი დაჯდა კაპიტალურ მშენებლობაზე. ახალ ნაგებობათა უგეგმოთ და უშეფერებელ ადგილებში აგება. მაგალითად, ოზურგეთში ლაბორატორიისათვის აგებულ ორსართულიანი შენობის სარდაფში წყალი სდგას, რის გამო კედლები დანესტიანდა და შენობა ინგრევა. ასეთივეა ჩაქვში კანტორისათვის ახლად აგებული შენობაც.

საერთოდ, როგორც მოხსენებამ, ისე კამათმა ნათლად გამოამჟღავნა „საქართველოს ჩაი“-ს აპარატის სუსტი მუშაობა და ამ მუშაობის სასწრაფოდ გარდაქმნის აუცილებლობა.

კამათის დამთავრების შემდეგ დაიწყო თანამშრომელთა პერსონალური წმენდა. კომისიის დადგენილებით წმენდას გაივლის აპარატის ყველა თანამშრომელი. განურჩევლად იმისა, არის თუ არა მის წინააღმდეგ წაყენებული რაიმე კონკრეტული ბრალდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა.-კ. საბჭოთა ყრილობის დელეგატები

არჩეული თბილისის საბჭოს მიერ

გადამწყვეტი ხმის უფლებით

ქ. აბუაშვილი, ვ. ავაქოვი, აცამანიუკი, ბ. ადამაძე, ადამაძე (წითელი მეთაური), თ. ადამიძე, სტეფანე ალავერდოვი, ლ. ანდრიაძე, ვ. არეშიძე, ალაფუზო, ანნა ამირხანოვა, ბარანოვი, ბადალოვი (მუშა-დამკვრელი), ბოვაროვი, გ. ბუაძე, ბუჯიაშვილი, ბურიეში, ბუკრეევი, ბელელაძე, ს. ვაშაძე, მ. ვაშაყმაშვილი, სტ. გარიშვილი, ი. გელაშვილი, ნიკო გოცირიძე, ვ. გიორგაძე (არმია), ე. გურჩელაძე, გოლუბოვსკი, გოხალიშვილი (უპარტიო მუშა), გოზალოვი (მელითონეთა კავშირი), ჩ. გუგუშვილი, ა. დვორიანოვა, ვ. ჯაფარიძე, მ. ძაგანია, მ. დინჟაშვილი, ჟორჟოლაძე, ლ. ენუქიძე, ზავრიევი (პროფესორი), სტ. ზაქრაძე, ზეინალოვი, ნიკ. ევანიშვილი, ალ. ინაშვილი (მუშა), იპბო, ნ. კაკაურიძე, ლავრენტი ქართველიშვილი, ქ. ქართველიშვილი, კაზაკოშვილი (უპარტიო დამკვრელი), კარგოევი, ალ. კაჭარავა, ქაცარავა, კიპაროიძე, (წითელარმიელი), ტარასი კობიძე, მ. კილაძე, ლიდა კუნიცკაია, იან. კოჩჩაკი, გიორგი ყურულაშვილი, ვ. ქურიძე, ნ. კრივონოსოვი (უპარტიო დამკვრელი), კალაშნიკოვი („საქ. ნავთი“), ლუკა ლომიძე, ს. მამულია, ი. მამულია, ანიდა მატინიანი, მატინიანი (აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა), ფილიპე მახარაძე, მაშკევიჩი, მაჩაიძე, გ. მგალობლიშვილი, ს. მგალობლიშვილი, პ. მელაძე, ს. მეზვრიშვილი (მუშა დამკვრელი), ვალ. მეტონიძე, ვასო მზარეულიშვილი, მირზახანოვი (მუშა), მუსაელიანი, მეხხიევა (მუშა-ქალი), შ. ოკუჯავა, ბ. ომაროვი, მამია ორახელაშვილი, ქსენია პატარაია (დამკვრელი ქალი), დ. ფანცულაია, ი. პეცოვი, ან. ფირცხალავა, გლასტონ ფირალოვი, პისარჟევსკი (პროფესორი, უპარტიო), პუგაჩოვი, რედენსი, ამროსი რამიშვილი, სამღუროვა (მუშა-ქალი), მანუკ სარქისოვი, ნიკ. სვანიძე, გ. სილაძე, სირაძე, სმოლინი (არმია), სიხაშვილი, სოხიანი (ეგმო-კვების კავშირი), ქ. სულავა, ლადო სუხიშვილი, თავშავაძე, პ. თათანაშვილი, ტარუტინსკი, ტელიატნიკოვი, ტერგართანოვი, ამბ. ფურცელაძე, ფედკო, მ. ფილია, ნატალია ფორმანოვა, ფრანგულიანი, აგასი ხურშუდიანი (უპარტიო დამკვრელი ქალი), ხმალაძე, ქ. ცაგარელი, ალ. ცეცხლაძე, მ. ცხაკაია, ელ. ცხომელიძე (უპარტიო დამკვრელი ქალი), ბ. ჭეჟინაძე, ჩოჩიძე, ვ. ჭუღულია, არ. შავერდოვი, შამბე (მუშა), ალ. შახსუვაროვი, ი. შენგელია, გრ. შენგელია, ელიავა, ალექპერ იუსუფოვი.

მუშათა საბინაო მშენებლობა ბაქოში

ამხ. შაუმიანის სახელობის უბნის ელექტროფიკაცია

ხე-ტყის დამზადებაზე

მომუშავეთა ჯანმრთელობის დაცვა

დღემდე სატყეო რაიონებში ხე-ტყის დამზადებაზე მომუშავეთა ჯანმრთელობის დაცვის საქმე არ იყო სათანადო სიმაღლეზე დაყენებული და ამ დარგში ადგილი ჰქონდა თვალსაჩინო დეფექტებს. უმნიშვნელო საექიმო დახმარების მისაღებად მუშებს უხდებოდათ რამდენიმე კილომეტრის მანძილზე სიარული, ან სრულებით არ სარგებლობდენ საექიმო დახმარებით. ამ გარემოების გამო ხშირი იყო სამუშაოზე მოცდენის შემთხვევები. იგივე მიზეზები აფერხებდენ ნორმალურ მუშაობას.

ამ არანორმალურ მდგომარეობის გამოსასწორებლად და ხე-ტყის დამზადებაზე მომუშავეთა ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის მიერ წარმოდგენილი ღონისძიებები.

აღნიშნული მიზნით უკვე გადაიდვა — 48150 მანეთი, აქედან სვანეთის რაიონს გადაეცემა—8.170 მანეთი, ხონს—7.160 მანეთი, ბაღდათის რაიონს—4.170 მანეთი, ონის რაიონს—4.170 მანეთი, ბორჩალოს—4.170 მანეთი, ხიდისთავს—4.170 მანეთი, ქვემო-სვანეთს—3.070 მანეთი, სენაკის—3.070 მანეთი.

ამავე მიზნით წინადადება მიეცა აფხაზეთის ცაკს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ხაზით გადასდოს კოდორის რაიონში ხე-ტყის დამზადებაზე მომუშავეთა ჯანმრთელობის დასაცავად—4.170 მან., გაგრის რაიონში—4.170 მანეთი და გზების რაიონში—4.170 მანეთი.

აგრეთვე დაევალა აჭარისტანის (აჭ. ა.) ოლქის ცაკს საჭიროებისათვის გადასდოს 4.170 მანეთი, ამავე რაოდენობით თანხას გაიღებს სამხრეთ-ოსეთის ცაკი.

შემთხვევები

მძარცველების დაპატიმრება

8 თებერვალს პლეხანოვის სახელობის კლუბში ოპერის წარმოდგენის მსვლელობისას, ბოროტმოქმედებმა გაქურდეს კლუბის სალარო, საიდანაც წაიღეს 2.000 მანეთი. სასწრაფოდ მიღებული ზომებით მძარცველები დააპატიმრეს, რომლებიც აღმოჩნდნენ კლუბის მოლარე ვახტანგ ფანცულაია და ვასილ მალიკოვი.

კოოპერატივის გაქურდვა

11 თებერვალს ღამით გაქურდეს მუშკოოპის მაღაზია იურიევის ქუჩაზე. წაღებულია შეკერილი ტანისამოსი და სამრეწველო საქონელი.

დაჯახება რკინის გზაზე

11 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე, ქუთაისის რკინის გზის სადგურზე ადგილი ჰქონდა უბედურ შემთხვევას. ვაგონების მანევრების მიმოსვლის დროს ვაგონებს მოულოდნელად დაეჯახა ორთქლმავალი. დაჯახების დროს დაშავდა გამცინჯავი გიორგი აბაშიძე, რომელიც სასწრაფო საექიმო დახმარებისათვის გადაიგზავნა ქალაქის საავადმყოფოში.

შეცდომის გასწორება

„კომუნისტი“-ს 35 ნომერში მოთავსებულ „ამიერ-კავკასიის ქალთა პარტიული თათბირის“ ანგარიშში, ამხ. მოირივას სიტყვაში დაშვებულია შეცდომა, რომელიც ამახინჯებს აზრს.

სწერია: „საქ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი სათანადო ყურადღებას ვერ აქცევს ქალთა შორის მუშაობას“ და სხვ.

უნდა იყოს: „ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქალთა თათბირს“ და სხვ.

ოფიციალური განყოფილება

ბრძანება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

1931 წ. თებერვლის 12

სახალხო კომისართა საბჭოს ბრძანება ა.-წ. იანვრის 28-ის თარიღით № 6 (გაზეთი „კომუნისტი“-ს იანვრის 29-ის ნომერი) ტფილისის აღმასკომის ვაჭრობის მომწესრიგებელი განყოფილებისათვის საყვედურის გამოცხადების შესახებ—გაუქმებულ იქნეს.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯ-რე **ფ. მახარაძე.**

საქმეთა მმართველი **ა. ანთაძე.**

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

სოფლის მეურნეობაში და ჭაპანზიდვის ტრანსპორტში საწევი ძალის დაცვისა და გამრავლებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

სოფლის მეურნეობაში და ჭაპანზიდვის ტრანსპორტში საწევი ძალის დაცვისა და გამრავლებისათვის—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო, იღებენ რა სახელმძღვანელოდ სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 26-ის დადგენილებას (სსრკ კან. კრ. 1931 წ. მეორე №-ი, მუხ. 22), ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს დაუყოვნებლივ ჩაატარონ, სასოფლო საბჭოებისა და ზოოტექნიკურ-მეურნეობის მიშვეობით სოფლის ღარიბ და საშუალო გლეხთა მასებში,—განსაკუთრებით სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და კოლონების მოქმედების რაიონებში,—ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია იმის თაობაზე, რომ ცოცხალი საწევი ძალა (ცხენი, ხარი, კამეჩი) სოფლის მეურნეობაში არა ჰკარგავს თავის მნიშვნელობას ტრაქტორების გამოყენების დროსაც; ამასთანავე, კოლექტიურ მეურნეობათა წევრებს უნდა გააცნონ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლექტიურ მეურნეობებს შორის დადებული სანიმუშო ხელშეკრულების წესები, რომლის მიხედვითაც კოლექტიურ მეურნეობათ ეკრძალებათ ცოცხალი საწევი ძალის გაყიდვა სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ადმინისტრაციის თანხმობის გარეშე.

2. კატეგორიულად აიკრძალოს ჭაპანზიდვის შრომის ბეგარის შეფარდება (სასყიდლით თუ უსასყიდლოდ) ყველა შემთხვევაში, გარდა ისეთისა, რაც დაკავშირებულია სხვადასხვა დავალებათა შესრულებასთან ტყის დამზადებისა, პურეულის დამზადებისა, ბამბის დამზადებისა, საგზაო მშენებლობისა და სამხედრო უწყების საჭიროებათა სფეროში, აგრეთვე რაც დაკავშირებულია წყალდიდობისა და მის შედეგებთან ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელებასთან.

3. ამა დადგენილების მეორე მუხლში აღნიშნულ შემთხვევებში ჭაპანზიდვის შრომის ბეგარა შეფარდებულ უნდა იქნეს შემდეგი პირობების აუცილებლად დაცვით:

ა) მთელი სამუშაო დღის განმავლობაში გასავლელი მანძილი არ უნდა აღემატებოდეს ცხენით საწევი ტრანსპორტისათვის — 25-30 კილომეტრს, ხოლო ხარით თუ კამეჩით საწევი ტრანსპორტისათვის—15-20 კილომეტრს;

ბ) სატრანსპორტო საშუალებათა დატვირთვა (ურმისა, საზიდავის (პოვოზკა), დროგისა და სხვ.) არ უნდა აღემატებოდეს — 1-1,5 ტონას ორცხენიან საბამზე და 0,75—1,25 ტონას თითო უღელ ხარსა თუ კამეჩზე;

გ) ჭაპანზიდვის შრომის ბეგარისათვის ყოველგვარი საწევი ძალის გამოყენება წელიწადში 12 სამუშაო დღეზე მეტი ხნით არ შეიძლება;

დ) სასყიდლიანი ჭაპანზიდვის ბეგარის წესით შესრულებული სამუშაოს ანგარიშგასწორებულ უნდა იქნეს დაუყოვნებლივ, სამუშაოს დამთავრებისთანავე, მთლად იმ პერიოდისათვის, რომლის განმავლობაშიაც სატრანსპორტო საშუალება გამოყენებულ იქნა ბეგარაზე.

შენიშვნა: ამა მუხლის „გ“ პუნქტი არა ვრცელდება ისეთ შემთხვევაზე, როდესაც საწევი ძალა გამოიყენება შრომის საგზაო ბეგარის დებულების წესისამებრ (ა) კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-13 №-ი, მუხ. 1471), აგრეთვე ისეთ შემთხვევაზე, როდესაც ჭაპანზიდვის ბეგარა შეფარდებულია წყალდიდობისა და მისი შედეგების საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელებისათვის, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 10-ის დადგენილების თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. 24 №-ი, მუხ. 340), ასეთ შემთხვევებში საწევი ძალის გამოყენება შეიძლება, აღნიშნული კანონების დაცვით, ამა მუხლის „გ“ პუნქტში დადგენილი საერთო წლიური ფარგლების გადაცილებითაც.

4. მიენდოს აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე ამა დადგენილებაში აღნიშნული ღონისძიებანი:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სტურუა.**

საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. თებერვლის 11.

ტფილისი-სასახლე.

მუშათა მომარაგება

სილიკატური საქონლის მიღება

„ზაკსოიუზმა“ თბილისის მუშკოოპს გადასცა 36.000 მანეთის სილიკატური საქონელი (ჭიქები, თეფშები და სხვ.)

გარდა ამისა მიღებულია კიდევ ერთი ვაგონი ფაიფურის ჭურჭლეულობა. მიღებული საქონელი ამ დღეებში განაწილებული იქნება მუშკოოპის მაღაზიებს შორის.

ნავთქურების მიღება

ამას წინეთ მუშკოოპმა მიიღო 520 ცალი ნავთქურა („კეროსინკა“), რაც ნაწილდება საუკეთესო დამკვრელ მუშებს შორის, პროფსაბჭოს მიმართვის თანახმად.

პარტიული კალენდარი

საქ. ცენტრ. საკ. კომისია მუშგლეხინის საორგანიზაციო განყოფილებაში (რუსთაველის პროსპ. № 24, მესამე სართული, ოთახი № 18) 13 თებერვალს, შუადღის 12 საათზე ამხ. საკიანთან უნდა გამოცხადდენ ქვემოთ ჩამოთვლილ უმაღლეს სასწავლებლების პარტუჯრედების და კომკავშირის უჯრედების მდივნები: ამიერ-კავკ. აგზაო-საინჟინერო ინსტიტუტის, ამიერ-კავკ. ენერგეტიული ინსტიტუტის, ამიერ-კავკასიის მელიორატიული ინსტიტუტის, სუბტროპიკული ინსტიტუტის, სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტის, ამ.-კ. სატყეო ინსტიტუტის, პედაგოგიური ინსტიტუტის, სამედიცინო ინსტიტუტის, საფინანსო-კოოპერატიული ინსტიტუტის, საბჭოთა სამართლის ინსტიტუტის, სამშენებლო ინსტიტუტის, კონსერვატორიის და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის.

—:—

საქ. კ.პ. (ბ) ცეკას აგიტმასიური განყოფილება (ოთახი № 48) 13 თებერვალს დღის 11 საათისათვის იწვევს ფინკოოპ. ინსტიტუტის შემდეგ ამხ. სტუდენტებს: აბრ. გაბიტაშვილი, ბ. ლლონტი, ი. ყიფიანი, გრ. ფრუიძე, არ. ტყაბლაძე, ლ. ჯორჯაძე, გ. სამსონია. გალ. ცინცაძე, ი. დოლიძე, ლ. შავლიშვილი.

სახელმწ. ოპერა

დღეს, 13 თებერვალს მე-3 აბ. მე-11 წარმოდგენა ქართულ ენაზე **კარმენი**

შაბათს, 14 თებერვალს აბონემენტის გარეშე ს. ი. მგალის მონაწ. **რიგოლეტო**

კვირას, 15 თებერვალს, **საბჭოების სრულიად საქართვ. ყრილობა**

ოპერა კარმენი, ფატმა მუხტაროვას მონაწ. გადად. წარმ. დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. დასაწყისი საღამოს ზუსტ 7 საათზე 30 წუთზე. ნ. 355

სახელმწ. ოპერის თეატრი

დღეს, 13 თებერვალს მე-3 აბ. მე-11 წარმ. ქართულ ენაზე **კარმენი**

ოპერა „კარმენი“ ფატმა მუხტაროვას მონაწილეობით გადადებულია. წარმოდგენის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული

სახელმწიფო აკადემიური დრამა მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით

13 თებერვალს მე 5 აბონ. მე-4 წარმოდ. **სამი გლეხი**

14 თებერვალს მე 8 აბონემ. მე-4 წარმოდ **სამი გლეხი**

16 თებერვალს 1-ლი აბონემ. მე-5 წარმოდ. **სამი გლეხი**

წარმოდგენის დღის 2 საათზე ვინც არ შემოიტანს ფეთხს შემოსატანს წარმოდგენას ვერ დაესწრება და მათი ადგილები გაიყიდება სალაროში. ნ. 359

კინო პალასი 1-ლი სეანსის დასაწ. 6—30

ახალი მხატვრული ფილმი **ნამდვილი ცხოვრება** რეჟისორები ა. ლავროვსკი, ო. ულიცკაია.

რ. ლიუქს სახ. კინო (უ. მიხიონი) 1-ლი სეანსის დას. 6 ს. 30 წ.

უცხოეთის ახალი ფილმი **პორი PORI პორი** სურათში გადაღებულია ნადირობა ლომებზე, ვეფხვებზე და სხვ.

საქართველოს სახკინმრეწვის კინო-თეატრები

აპოლო 1 სეანსი იწყება 6 ს., II—7-30, III—9, IV—10-30. „ვოსტოკკინო“-ს ახალი ფილმი **იგდენბუ** რეჟისორი ამო ბეკ ნაზაროვი.

სპარტაკი საღამოს სეანსები I სეანსი იწყება 6 ს., II—7-30, III—9, IV—10-30. „მეჟრაბპომ ფილმი“-ს ახალი სურათი **ჩინები და ადამიანები**

სპარტაკი დღის სეანსები I 12 ს., II 1—30 ს., III 3 ს. „სოიუზკინო“-ს ახალი მხატვრული ფილმი **ბედნიერი კენტი**

საზამთრო დარბაზი I სეან. იწყება 6 ს. II—7-30, III—9, IV—10-30. მხატვრული სურათი **ზარე** მარიამ ტენაზის მონაწილეობით

კინო **აპოლო** დღეს, 13 თებერვლიდან

ახალი საბჭოთა ფილმი

სრულიად საკავშირო კინო-ფოტო გაერთიანების „სოიუზკინო“-ს ტრესტის „ვოსტოკკინო“-ს ნაწარმოები

იგდენბუ

სცენარი ბეკ-ნაზაროვის და ვიტკინის.

რეჟისორი ამო ბეკ-ნაზაროვი.

ოპერატორი გ. ბლიუმი.

მთავარ როლებში: ლი-იუნ-შენ, ვალენტინა ტენ, ნაიხენ, ია-ში-იანი.

სეანსის დასაწყისი 4 საათზე 30 წუთზე.

სახ. ცირკი

დღეს და ყოველდღე ახალი საატრაქციონო პროგრამა

ცნობილ მუსიკალურ სატირიკოსების **ბიმ-ბომის** (ნამდვილი) გასტროლები

ცირკის გუმბათ ქვეშ მფრინავი 4 ჟიოვანის გასტროლი. ხაზუფონადო კლოუნების რეო და მიშელის პირველი დებიუტი და ბევრი სხვა ატრაქციონი.

კვირას, 15 თებერვალს გაადიოზული საბავშო დილა. საღამოს კრო ომით. დასაწყისი 2 საათზე. საღამოთი 8 საათზე. ჩამოდის ერნესტო შუ!!!

სახელგამი

ქ. თბილისი

რუსთაველის პროსპექტი № 22

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

პოპულარულ სამეცნიერო

1. პროფ. ნ. მახვილაძე—ანკილოსტომიაზი და მის წინააღმდეგ ბრძოლა ფ.	—15 კ.
2. ექ. ს. ლომაბერიძე—რას იწვევს გადამდები სნეულებები	„ —50 კ.
3. ექ. ქ. ელიოზიშვილი—ყალთაძა და ავიხუნაგი	„ —15 კ.

სამეცნიერო და უმაღლეს სკოლების

1. მ. მათათაშვილი ანალიზური ქიმია	ფასი 2 მ. 50 კ.
2. ნ. მუსხელიშვილი—თეორიტ. მექანიზმის კურსი. სტატიკა	„ 3 მ. 25 კ.
3. ს. პაშუკანისი სამართ. ზოგადი თეორია და მარქსიზმი	„ 1 მ. 50 კ.
4. პროფ. ფ. ვილიგერი—კბილის სამკურნალო ქირურგია (ყდით)	„ 2 მ. 50 კ.
5. ლური—სტატისტიკა კოოპერატორისთვის	„ 1 მ. 80 კ.

პარტიული და კომკავშირული

1. კომკავშირი სამრეწველო ფინანსიური გეგმისთვის ბრძოლაში	ფასი —15 კ.
2. ა. მუუნია მოწინავეთა ძახილი	„ —25 კ.
3. ა. მახათაძე—კომკავშირის მუშაობისათვის	„ —40 კ.
4. „ —ლაშქრობა თეორიისათვის	„ —40 კ.
5. ზ. ლილინა—კაოლ ლიბკნეხტი და ბავშვები	„ —30 კ.
6. „მემარცხენე“ მემარჯვენე ბლოკის რაობა და მისი პლატფორმა	„ —30 კ.
7. სოციალიზმის გაშლილი შეტევა ყველა ფრონტზე	

შრომის სკოლის სახელმძღვანელოები

1. აბესაძე, კეცხოველი და მაყაშვილი—ბუნება და სოფლის მეურნ. ნ. I	ფ. 1 მ. 75 კ.
2. „ „ „ „ „ ნ II	„ 1 მ. 30 კ.
3 ერისთავი და თუმანიშვილი—სიტყვა (დიდაქტიური მასალ. კრებ.)	„ 4 მ. —

ანტირელიგიოზური

1. გ. გოგიბერიძე—სიკვდილი და სულის უკვდავება	ფასი —40 კ.
2. ს. ყუბანეიშვილი—ახალწელი ადი	„ —10 კ.

სასოფლო-სამეურნეო

1. ა. პავლოვი—კოლმეურნეობის საშემოდგომო შემოწმება	„ —25 კ.
2. ა. ჩეკოტილო და ბ. კაგანი სიმინდი	„ —75 კ.
3. ა. ბონდარენკო—მეღორეობა	„ —40 კ.

მ. გორკი — ოთხი წერილი

შ. რადიანი—ლიტერატურული პორტრეტები	ფასი 1. 80 კ.

მოითხოვეთ № 11—12 ჟურნალი **მნათობი** ფ. 2 მან.

შეკვეთებით მიმართეთ ცენტრალურ გამგეობას თბილისში და აგრეთვე სახელგამის ყველა განყოფილებებს.

ქვემოდ დასახელებულ აგრონომებს,

რომლებმაც დაამთავრეს საქ. სახ. სამ. ინსტიტუტი 1931 წ. იგზავნებიან მუდმივ სამუშაოზე საქ. სხვა და სხვა რაიონებში, წინადადება ეძლევათ გამოცხადდნენ საქ. მიწსახკომის კადრების განყოფილებაში არა უგვიანეს ა. წ. თებერვლის 14-სა მათი სამუშაოზე გასაგზავნათ.

ალშიბაია სერგო
ამირაგოვი ასმიკა
ჩუბინიძე მიხეილი
კოჩინაშვილი ვარლამი
ბაგათელია შალვა
მესხი ვიქტორი
კიკალეიშვილი გერონტი
ელიოზიშვილი აბელი
კობახიძე ალექსანდრე
ქართმიძე მიხეილი
დარბინიან ამბენაკ
ხაჩატუროვა მაგდალინა
მახაბელი კონსტანტინე
მაყაშვილი დიმიტრი
ნარიმელაშვილი დანიელ
უგრეხელიძე დავითი
შავდია მარია
აფხაზოვა ნიკოლოზი
მაჭარაძე გიორგი
ბიბილაშვილი დავითი
გულისაშვილი სიდამონ
მამაცაშვილი იოსები
ახმეტელაშვილი ვიქტორი
ახმეტელაშვილი მარიამი
იოსელიანი ალექსი
კარბელაია ლიდია
კალანდაძე მარია
კიკნაველიძე ვლადიმერი
მაჭავარიანი ვლადიმერ
გიგაური ანნა
ნატროშვილი არჩილ
ჩომახია მარიამ
ჩოგოვაძე ალექსი
თელია თამარა
ჩანჩალაშვილი ვიქტორი
ბაშინჯაღიანი გაიანე
მაღრაძე გიორგი
ხიმშიაშვილი ალექსანდრე
გრძელიშვილი გიორგი
ელიოზიშვილი არჩილ
კორინთელი თამარი
ბერიაძე თევდორე
ტყვიინიძე იაკობ
ყიფიანი ბაგრატ
აბულაძე დავითი
ცალობიძე არჩილი
პეტრიაშვილი ილია
გოგიტაშვილი მიხეილი
ბარაბაძე დავითი
ბარბაქაძე დავითი
ლეჟავა დავითი
თურმანიძე ვალერიანი
დევიძე კონსტანტინე
ესაკია თამარა
ორაგველიძე შალვა
კუჩაიძე ნიკიფორე
ხომერიკი ლეონიდე
ჟამანიძე მელენტი
მახარობლიძე ვლადიმერი
ერისთავი ვლადიმერი
ბარბაქაძე აკაკი.

ის ამხანაგები, რომლებიც არ გამოცხადდებიან აღნიშნულ ვადაში, მიცემული იქნებიან პასუხისგებაში კანონის მიხედვით.

ნ. 360

საქ მიწსახკომის კოლეგიის წევრი: **ცინცაძე.**

16 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, რუსთაველის პროსპექტი № 21, სახალხო მეურნეობის საქმიან კლუბში, დაიწყება

საქ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცენტრალურ აპარატის

საჯარო წმენდა

გამწმენდი კომისია სთხოვს ყველა ორგანიზაციებს და მოქალაქეებს თუ აქვთ რაიმე მასალები აღნიშნულ დაწესებულების თანამშრომლებზე დაესწრონ წმენდას და ან ასეთები გადმოუგზავნონ გამწმენდ კომისიის თავმჯდომარის ამხ. ბ. არუთინოვის სახელზე შემდეგი მისამართით პუშკინის ქ. № 3 საქ. სმუს-ი.

3—2 ნ. 326

გამწმენდი კომისია.

საჭიროა

ერთი ოთახი მარტოხელა კაცისათვის ცენტრში, მოწყობილობით ან ისე. შემიძლია მოწყობილობის შეყიდვა.

მისამართი: ლისაშოვის ქ., № 5. იკითხეთ ჩიგოგიძე.

2—1 1158

ექიმი

ივ. ა. ჩოხელი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.

იღებს ავადმყ. დილის 8—9 ს. და საღ. 6—7-მდე. ბარნოვის (ყოფ. გუნიბის) ქ. № 44. ელსმ. ბინა 24 44.

25—1 916

ექიმი

გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

სქესობრ. სისუსტის მკურნალეობა

ავადმყოფთა მიღ. დილით 9—11 ს. საღ. 5—8 ს. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 3.

ექიმი

ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფ იღებს ავადმყ. დილის 8 9 საათ. და საღ. 6 7 ნახ. საათ

მისამართი: კამოს ქუჩა № 72 (ყ. დიდიმთავრის ქუჩა). 5 21

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“ მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ ძმელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და, საღამოს 5—8-დე. შესასვლელი ძმელაძის შესახვევიდან. 25—14

პ. ს. ფოფხაძე

სპეც. საშარდე და სასქესო ორგანოების (სქესობრივი სისუსტე ნერვების სისუსტე), სიფილისის, კანის ავათმყოფობის, ვენერიულის (რიპტერი) და ქირურგ. ავათმყ. (სიმსივნე, ბუასილი). ავათმყოფების მიღება დილის 9—12 და საღ 5—8 საათზე. პლეხანოვის პრ. № 10, ვორონცოვის მახლობლად. 1—8

თვალის ექიმი

მალაევი

ღებულობს ავადმყოფებს საღამოს 6—7 ს. კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ელსმენი

ექიმი

ს. ანდრეევისა

გააახლა ავადმყოფების მიღება ჯირკვლების და ძვლების ტუბერკულოსი. მკურნალობა ხელოვნური მზის სხივებით (კვარტ-ტერაპია).

ავადმყოფებს ღებულობს 5—7 ს. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი), 29 ყოფ. ვერის ხიდთან 2—1

ტერ-ოვაკიმოვა

სპეციალურად სიფილისის და სქესობრივი ფუნქციონალური მოშლილობას, სქესობრივი ნევრასტენიას, პსიქოტერაპია. მიღ. დილით $10\frac{1}{2}$—12 საათ., საღ. 6 8 საათამდე ა/კ. ფედერაციის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 22.

2—1 392

დ. ლ. თევზაძე

დაავადება: ყურის, ყელის და ცხვირის, მეტყველების და ხმის მოშლა. ბრონქოეზოფაგოსკოპია

სპეც. ტარდება წამლობის ფიზიოთერაპევტ. მეთოდებით. ქობალაძის (ყოფ. გუდოვიჩის) ქუჩა, № 9. მიღება: საღ. 5—7 საათზე გარდა კვირადღეებისა. ტელ. 28—08

25—12 5116

ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად

— სამხედრო წიგნაკი გაცემული აბაშის რაისამხედრო მაგიდიდან რაჟდენ ვასილის-ძე გრიგოლიას სახელზე. 1116
— მუშკოოპის წიგნაკი № 13048ა ელენე გაწერელიას სახელზე. 1123
— კავშირის წიგნაკი № 50.4 სამსონ სარქისიანის სახელზე. 1129
— ბანძის მუშკოოპის წიგნაკი სონია ინოსარიძის სახელზე. 1126
— პურის წიგნაკი № 13.60 იოოდანე ხუციშვილის სახ. 1124
— სამხედრო განთავისუფლების მოწმობა ბესარიონ გიორგის ძე თაბაგარის სახელზე 1121
— კავშირის წიგნაკი გაიანე კალანდარიშვილის სახელზე. 1117
— პურის წიგნაკი „დ“ თინა ბაგდინოვის სახელზე 1115
— პურის წიგნაკი „დ“ იდა ბაგდინოვის სახელზე. 1114
— პურის წიგნაკი „გ“ რუსუდანა ბაგდინოვას სახელზე. 1113
— პურის წიგნაკი „ე“ ნინა ზაქარიას ას. ბაგდინოვას სახ. 1112
— მუშკოოპის საწევრო წიგნაკი ნინა ზაქარიას ას. ბაგდინოვას სახ.
— პურის წიგნაკი „ა“ ნიკოლოზ იაგორის-ძე ბაგდინოვის სახ. 1110
— კავშირის წიგნაკი № 0197.94 შალვა აბულედიანის სახელზე. 1109
— სალექციო წიგნაკი № 8.8 გრიგოლ თულორდავას სახ. 1100
— მეტრიკული ამონაწერი იაკლი ამისულაშვილის სახ. 1106
— სტუდენტობის მოწმობა № 00.05 გაცემული ა.-კ. სამთო მეტალურგიული ინსტიტუტის მიერ დარეჯან დიმიტრის ას ჩიჩუას სახ
— კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 2361 ივანე ხაჩიძის სახ. 1141
— კოოპერატივის საწევრო წიგნაკები №№ 1.43 და 46 კირილე და იადოთი კოპალიანების სახელზე. 1141
— 9 წლედის დამთავრების მოწმობა № 31 ვლადიმერ ყვირილიას სახელზე. 1138
— სიღნაღის სარეწაო საკრედიტო ამხანაგობის მიერ გაცემული წიგნაკი № .9 ნიკა შიუკაშვილის სახელზე 1138
— კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 3299 დარო კუპრაძის სახ. 1138
— ცაგერის პედტექნიკუმის დამთავრების მოწმობა № .63 პეტრე მუშკუდიანის სახელზე. 1138
— კოოპერატივის წიგნაკი № 129 არტემი ფირცხალავას სახ. 1138
— კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № .69 ევგენი ჯლარკავას სახ.
— კოოპერატივის საწევრო წიგნაკები №№ 147 და 847 ალექსანდრე და ლიზა ცხირიების სახელზე. 1140
— სამხედრო ბილეთი დავით ბოჭორიშვილის სახელზე. 1140
— პურის წიგნაკი პავლე პაპუაშვილის სახელზე. 1140
— პურის წიგნაკი მიხეილ პაპუაშვილის სახელზე. 1140
— სამხედრო წიგნაკი № 1174 და გლეხკომის წიგნაკი № 57 ილიკო გოდავას სახელზე 1140
— სამხედრო საალრიცხვო ნუსხა № 8 მანაველ ჰასრაშვილის სახ. 1140
— აღმშენებელთა კავშირის წიგნაკი № 13/36805 რამანა ნადირაშვილის სახელზე. 1140
— სამხედრო წიგნაკი მელიტონ ბუხნიკაშვილი სახელზე 114.

ღრმა მწუხარებაში მყოფი ნიკოლოზ სერგოს ძე კოპალეიშვილი აუწყებს ნაცნობ-მეგობრებს, რომ მისთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

პაშა მიხეილის ას. კოპალეიშვილის

ცხედარის დაკრძალვა მოხდება 13 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე. გამოსვენება ბინიდან, გრიბოედოვის ქ. № 25. 1153

ვ. სოლომონ თევდორეს ძე კაჭარავა მეუღლეთი შუშანა და პატარა ლეილა აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ

პაშა მიხეილის ას. კოპალეიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. 1154

უახლოესი ნათესავები მარო, მაიკო, ილიკო, დათიკო და პოლიფილე კოპალეიშვილები გამოვთქვამთ ღრმა მწუხარებას საყვარელი ადამიანის

პაშა მიხეილის ას. კოპალეიშვილის

უდროოდ დაკარგვის გამო. 1151

დამწუხრებული ბებია ანასტასია, დედა ბაბო შვილით გოგიათი იუწყებიან მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ

ჩიტიკო (ქსენოფონტ) კირიაკოვის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, ავლაბრის სასაფლაოზე რკინის გზის გადაღმა. გამოსვენება ბინიდან—ბერძნების ქ. 5. 1148

მე-102 შრ. სკ. თანამშრომელნი მწუხარებით აუწყებენ ამავე სკ. თანამშრომლის ბაბო გალდავას დისწულის სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა

ჩიტო კირიაკოვის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 13 თებერვალს 4 ნახ. საათზე. გამოსვენება ბინიდან, ბერძნის ქ. № 5 დასაფლავება ავლაბრის სასაფლაოზე, რკინის გზის გადაღმა 1172

უახლოესი მეგობრები: კაპიტონ და ბარნაბ ლაშხები, ალიოშა, თინა და პია ჯაფარიძეები, იოადიონ ბუგიანიშვილი. იპოლიტე ოულაძე, ტიგრან მეტრეველი, საშა ხუციშვილი, ვალერიან ჯაგოშიძე, ტიტე მაისურაძე და გოგია წულუკიძე დასტირიან

კაკო ჯაფარიძის

ტრაგიკულად დაღუპვას და მისი მეუღლის

მარიამ ჯაფარიძის

უდროოდ გარდაცვალებას. 1176

ბიძები: გრიგოლ, ვანო, ილიკო და სიმონ ცოლშვილით, ბიძაშვილები: ვალიკო და იუსტინა ულამაძეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა

ინჟ. მიხეილ (მიშა) ბაქრაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება ქუთაისში. 1170

უახლოესი მეგობრები აკაკი ფურცხვანიძე, ლევან დარახველიძე, დავითაშვილი და გრიშა დავითაშვილი ულრმეს მწუხარებას გამოთქვამენ ახალგაზრდა ინჟინერის

მიშა ბაქრაძის

უდროოდ გარდაცვალების გამო. 1165

თამარა ქავჯაია, თამარა ჩაჩუა, ცაბუ წულუკიძე, შუშანა თუთბერიძე და პეტრე წულუკიძე ვგლოვთ უახლოეს მეგობარს

მიშა ბაქრაძის

უდროოდ დაკარგვას. 1139

ქლიბაძე შალვა შეჯგელია იასონ. ლორთქიფანიძე ლევან, ბინდრაშვილი სერგო და ხუნწარია ალექსანდრე აუწყებენ საზოგადოებას, ახალგაზრდა ინჟინერ

მიხეილ (მიშა) ივანეს-ძე ბაქრაძის

გარდაცვალებას. 1120

ღრმად დამწუხრებულნი მამა - ექიმი ანდრო ლორთქიფანიძე, დედა—ნინა, ძმა—ლევანი, დაი---თინა, აუწყებენ ნათესავებს მეგობრებს და ნაცნობებს მათ საყვარელ

არჩილ ანდროს-ძე ლორთქიფანიძის

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება ქ. სამტრედიაში, შაბათს 14 თებერვალს 3 საათზე. 1174

სამტრედიის რკინის გზის საექიმო უბნის და საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურენი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ უფროსი ექიმის ანდრია ლუარსაბის-ძე ლორთქიფანიძის საყვარელი შვილის

არჩილის (კუკუშკას)

უდროოდ გარდაცვალების გამო. დაკრძალვა ქ. სამტრედიაში, შაბათს 14 თებერვალს. ნ 361

ღრმად დამწუხრებული დედა სოფიო შალიკაშვილისა იუწყება, რომ შაბათს 14 თებერვალს, 3 საათ კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

არჩილ და ელენე საგინაშვილების

ხსოვნის აღსანიშნავად. 1177

მშობლები ლუკა და თინა და დაი ცაციკო (როზიტა) ლომიძეები აუწყებენ თავიანთ ამხანაგებს და ნათესავთ ძვირფას შვილისდა უკანასკნელის ძმის

მიშიკო (ბიჭიკო) ლომიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 13 თებერვალს, ნაშუადღევის 5 საათზე. ვერის ახალ სასაფლაოზე გამოსვენება ბინიდან (ლენინის ქ. № 26). 1162

ბიძები: ჟორჟიკა და ნიკო, მამიდები: ტატიანა და ელისაბედი, ბებია ეფროსინე ლომიძე და ნინო დოლიძე, პატკულია კოლია და ოლია დოლიძეები იუწყებიან

მიშიკო (ბიჭიკო) ლომიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება ბინიდან (ლენინის ქ. № 26). 1162

მამიდა დომნა ქმრით პავლეთი: მამიდაშვილები: ვალიკო, კარლო, ნათელა და სოკრატი აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ 10 თებერვალს გარდაიცვალა მათთვის საყვარელი ძმისწული და ბიძაშვილი.

ბიჭიკო (მიშა) ლუკას-ძე ლომიძე

დაკრძალვა დღეს საღამოს ვერის ახალ სასაფლაოზე. 1159

სამუდამოთ გულდამწვარნი მშობლები რაჟდენი და მარგალიტა, ძმა სერიოჟა, დები ლენა და რუსუდანი ბუაჩიძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მათთვის დაუვიწყარ

თამარა რაჟდენის ასული ბუაჩიძის

უდროოდ დაკარგვას. სამოქალაქო პანაშვიდი საღამოს 7 საათზე, კალინინის ქ. № 75. დაკრძალვა კვირას, 15 თებერვალს 4 ნახ. ს. ვერის ახალ სასაფლაოზე 1188

ულრმეს მწუხარებაში მყოფნი უახლოესი მეგობრები: ქიქო ქავთარაძე, ვანიჩკა ერგემლიძე, გრიშა და ვანიჩკა კიკნაძეები დასტირიან სიცოცხლით სავსე

თამრიკო ბუაჩიძის

უდროოდ დაკარგვას. 1168

თბილისის კოოპ. არტელ „ჰიგიენა“-ს შემადგენლობა ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს მათი დაუღალავი და სპეტაკი წევრის

ილიკო იაკობის-ძე გოგეჯიშვილის

უდროოდ გარდაცვალების გამო. გამოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1187

დამწუხრებულნი დედა სოფიო, ძმები ზაქარ და ავეტიკ მაზმანოვები ცოლშვილით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ტრაგიკულად დაიღუპა მათთვის დაუვიწყარი

რუბენ გიორგის-ძე მაზმანოვი

სამოქალაქო პანაშვიდი საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა შაბათს, 14 თებერვალს, ხოჯივანქის სასაფლ. გამოსვენება 4 საათზე ბაიდარის ქ. № 30. 1171

დები: სირან, ვარსენიკ, ევა, სიძეები საქულ, გრიგოლ, სოლის და კაპლო შვილებით იუწყებიან მათთვის მუდამ მოსაგონარის

რუბენ გიორგის-ძე მაზმანოვის

ტრაგიკულად გარდაცვალებას გამოსვენება 14 თებერვალს, 4 საათზე ხოჯავანქის სასაფლაოზე ბაიდარის ქ. № 30. 1171

დამწუხრებულნი: დედა მარიამი, მამა ალექსანდრე, ცოლი ეთო, პატარა შვილი მიშიკოთი, ძმა ნიკოლოზი, და ნინა, რძალი სონია, ძმისწულები შარაბიძეები, ცოლის ძმა გრიშა ოგაჯეხოვი აუწყებენ საზოგადოებას, რომ დაუვიწყარ

მიშა ალექსანდრეს-ძე შარაბიძის

ხსოვნის აღსანიშნავად 14 თებერვალს, 5 საათზე კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი. 1161

დამწუხრებული ძმა შალვა მეუღლე თამარით და შვილებით, და დაი ტასო კალატოზიშვილისა იუწყებიან

მიხეილ გაბრიელის-ძე ორჯონიკიძის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 6 საათზე მალაკინის ქ. № 23, დაკრძალვა 14 თებერვალს 4 საათზე. კუკიის სასაფლაოზე. 2—1 1163

დამწუხრებულნი მშობლები ნიკოლოზი და ეკატერინე ბუტკოვსკები შვილებით: პავლე, ვასილი, ფილიქსი, გიორგი. სტანისლავი, ვალენტინა და ანტონინა, დისწულები ივლიტა, პეტევანი, ლევანი და გიორგი ყანჩაველები იუწყებიან

ვლადისლავ ნიკოლ.-ძე ბუტკოვსკის

დაკარგვას. დაკრძალვა ქალ. ბათუმში. 1164

ულრმეს მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ეკატერინე, შვილებით; ნინო და სულიკო იუწყებიან, რომ

იოსებ სოლომონის-ძე მინდიაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი შაბათს 14 თებერვალს 5 საათზე. კუკიის სასაფლაოზე. 1179

დამწუხრებულნი: დედ-მამა ივანე და ილიტე, დები: ოლია და მატრონე, ძმები: პოლიკარპე მეუღლით და კოტე, სიძეები: ლადიკო ჯაველიძე და დამიანე ჭეიშვილი იუწყებიან, რომ 14 თებერვალს დანიშნულია ტრაგიკულად დაღუპულ დაუვიწყარ

ჩითან ლლონტის

ხსოვნის აღსანიშნავად სამოქალაქო პანაშვიდი ს. ჭალის სასაფლაოზე. 1156

მშობლები: სევერიანე და მაშო გეწაძეები შვილებით: თალიკო, შურა, ძამანტი და კუკურათი, სიძეები: კოლია ტუკვაძე და ბიძინა ბარბაქაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა, მათთვის დაუვიწყარი

რაისა სევერიანეს ასული გეწაძე

გამოსვენება 14 თებერვალს. რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს პროზექტურიდან, რკინის გზის სადგურზე. დაკრძალვა სოფ. ღერჯოლაში. 117[illegible]

დამწუხრებული მეუღლე მარო, მშობლები: ეტლია, [illegible], ძმები: კოსტა დათიკო, რძალი პოლინე. ძმისშვილებით აუწყებენ ამხანაგებს, მეგობრებს და ნათესავებს, რომ 15 თებერვალს 2 საათზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ძველ მებრძოლ ბოლშევიკ ამხ.

საული გოგიჩაიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად სოფ. ლესაში. 1167

მწუხარებაში მყოფი მშობლები: ვასო და სონია. დები ტუშა ხუტა და გოგონა აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ, რომ 15 თებერვალს, 5 საათზე ქუთაისში, სათიჩხის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ

მარო (ჯუნ უდა) ვასო გურულიშვილის ას.

ხსოვნის აღსანიშნავად. 1089

ღრმად დამწუხრებული ცოლი დარიკო, ძმა იაშა, შვილები: ალიოშა, ნინა, სერიოჟა, კიკია მანჯგალაძეები, დები: მაშო, ბაბო, [illegible], დაიკო ქმრებით და შვილებით, დისშვილები: თინა და ჯუჯუ ნიჩუები იუწყებიან მათთვის საყვარელი

მექი ვასილის-ძე მანჯგალაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა შაბათს, 14 თებერვალს სოფელ ლანირში. [illegible]

ტირაჟი — 73.377 საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი“, კამოს ქ. № 88. მთავლიტი № 904